ჩემი ხატია სამშობლო, სახატე — მთელი ქვეყანა

# ლიტერატურული საქართველო

პარასკევი
30
მარტი
№ 13 (2741)
გამოცემის 58-ე წელი
1990

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის ორგანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დღეს იწყება პირველი ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში!



## იბერიული

### საფეხბურთო წელიწდეულის ეროვნულ კარიბჭესთან

ძველი იბერიის დიად დასიზმრებას,
თვალის ახელას და სისხლის გაღვიძებას,
მუხლის გამაგრებას, მაჭრის დაღვინებას,
ვენთა გახელებას, ულლის გადაგდებას, —
ველით, რაინდებო, თქვენგან!

გოლის გატანას და ბურთის დამშვიდებას,
ბადის გაგლეჯას და მრევლის აღტკინებას,
ურჩხულ-გველეშაპთან ჯიქურ დაჭიდებას, —
ვითხოვთ, მზეჭაბუკნო, თქვენგან!

იმერ-ამიერის ღვთიურ დაწყვილებას,
ციურ ასპარეზს და ვარსკვლავთ გაბრწყინებას,
მოყვრის გახარებას, მტრის არ გაცინებას,
ქართულ გრიგალ-ქარს და დელგმას, —
ვითხოვთ, უფლისწულნო, თქვენგან!

ერმა რაც ისურვა, ღმერთმა რაც ინება, —
შუქთან შეუღლებას, რწმენად შეერთებას,
ბზარის გამთელებას, ღამის გათენებას,
დიდად დიდგორული საქმის გაგრძელებას,
მუდმივ აფრენას და მუდმივ აფეთქებას, —
ვითხოვთ, ერისკაცნო, თქვენგან!

ლექსთა დაბადებას, ჰანგთა ღაღადებას,
სულის განათლებას, ზრდას და გამრავლებას, —
ველით გამარჯვებას თქვენგან!

კერპთა შერისხვას და წარმტაც წარმატებას,
ძმათა ჭეშმარიტი ძმობის ქადაგებას,
გულის სიყვარულით გულზე გადაგებას,
მუდმივ აღდგომას და მუდმივ ამაღლებას, —
ვითხოვთ, ქართველებო, თქვენგან!

**მორის ფოცხიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ეკონომიკა პარლამენტში

**ჩვენს კორესპონდენტს ესაუბრება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი რომან გოცირიძე**

— ბატონო რომან, რა სიძნელეების დაძლევა მოუწევს ახალ უზენაეს საბჭოს ქვეყნის სრული დამოუკიდებლობისაკენ მიმავალ გზაზე.

— საქართველოს მომავალი პარლამენტის* დეპუტატთა საქმიანობა დაემთხვა მნიშვნელოვან ისტორიულ პროცესს — კომუნისტური დოქტრინის აგონიისა და მისი საბოლოო კრახის პერიოდს. ამ რამდენიმე წელიწადმა უნდა დააჩქაროს უკანასკნელი იმპერიის, საბჭოური კოლონიური სისტემის დაშლა. მისი გამოცოცხლება-გაჯანსაღება, ანუ პოლიტიკური ტერმინი, რომ ვიხმაროთ — „პერესტროიკა" შეუძლებელია. აქ მხოლოდ ერთი კანონი მოქმედებს: კუზიანის და სამარის...

საქართველოს უზენაეს საბჭოს არ შეიძლება ჰქონდეს იმაზე დიდი და ნათელი მიზანი, ვიდრე ჩვენი ქვეყნის საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან გასვლაა. მხოლოდ ამ აქტის განხორციელების შემდეგ შეიძლება ფიქრი ნებისმიერ სახელმწიფოსთან რაიმე თანასწორუფლებიანი ხელშეკრულების დადებაზე.

საბჭოთა კავშირი დღემდე არსებული სხვა იმპერიებისაგან განსხვავებით არის სოციალისტური იმპერია. ეს ფაქტი განსაკუთრებით უნდა გაითვალისწინოს თავისუფლების მაძიებელმა ერმა. დღევანდელი მძიმე ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა, ქვეყნის სულიერი სილატაკე და კულტურული ჩამორჩენილობა იმის შედეგია, რომ საბჭოთა იმპერიას ზოგადიმპერიულ კანონზომიერებათა გარდა, ახალი, ისტორიისათვის უცნობი თვისებები გააჩნია.

თუ კოლონიური ქვეყნის მდგომარეობა, მისი გასაჭირი ყველა დროში და ყველა სისტემაში ძირითადად ცნობილია და თავისუფლების მოპოვების შემდეგ მათ მიერ გასავლელი გზა არაა უვალი, სხვისგან გაკვალულია, ჩვენ სულ სხვა, დღემდე უცნობი მოვლენის წინაშე ვდგავართ, სოციალისტური ყაიდის დეკოლონიზაცია ჯერ ისტორიაში არ მომხდარა. სწორედ ეს განაპირობებს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისა და თავისუფალი სახელმწიფოს შექმნის პროცესის თავისებურებებს, მის განსაკუთრებულობას.

ჩვენ ჯერ კიდევ ბოლომდე ვერ გაგვირკვევია არა მარტო ის, თუ რა გზით, საშუალებებით და როდის გამოვეყოთ, არამედ, როგორ და რანაირი სახელმწიფო ვაშენოთ.

— იმ ფაქტს, რომ სოციალიზმმა, ვერ გაამართლა ათასგვარ მიზეზსა თუ გამართლებას უძებნიან სხვადასხვა დარგის სპეციალისტები. თქვენ როგორ მიგაჩნიათ, რით არის გამოწვეული არსებული სისტემის კრახი?

— „პერესტროიკის" ყველაზე მოდური მითი ის არის, რომ თითქოს საბჭოთა კავშირის, სოციალისტური სისტემის ამჟამინდელი უბადრუკი მდგომარეობა არის შეცდომების, პირველსაწყისი სწორი იდეების დამახინჯების, ცალკეული, პიროვნებების ბოროტგანზრახულობის, „სწორი გზიდან" გადახვევის შედეგი. აქედან გამომდინარე, გარდაქმნის ამოცანა ყოფილა ამ სისტემისათვის უცხო, გარეშე „დანაშრევის" მოცილება. მისი გაწმენდა ყოველივე ზედმეტისაგან და „სოციალიზმის უპირატესობათა" მთელი სისრულით ამოქმედება. ახალი მითით თურმე ის, რაც დღემდე ავაშენეთ, მთლად სოციალიზმი არ ყოფილა (იმიტომ, რომ მთლად კარგი ვერ გამოვიდა) ზოგიერთებმა „სოციალისტურობის" ახალი კრიტერიუმიც კი შემოიღეს: კარგია, ეს იგი, სოციალიზმია (ამერიკა, შვეცია, შვეიცარია და სხვა ქვეყნები, სოციალისტური სისტემის სახელმწიფოებადაც კი გამოაცხადეს), ცუდია, ეს იგი, ჯერ კიდევ არ არის „ნამდვილი" სოციალიზმი, ან სულაც არაა სოციალიზმი (თურმე სსრ კავშირი ჯერ კიდევ არ ყოფილა სოციალისტური ქვეყანა)...

სოციალიზმის იდეის გადასარჩენად ნელ-ნელა გასწირეს მისი ყველა „მონაპოვარი". ალბათ, მალე ლენინსაც გადაუძახებენ სიმაღლედაკარგული და თავქვედაშვებული აეროსტატიდან...

პოლიტიკური ჟონგლიორობისა და იდეოლოგიური მითთა მთხზველობის მიუხედავად, დღესავით ნათელია, რომ ჩვენი დღევანდელი სისტემა — რაც არ უნდა ვუწოდოთ მას: სტალინიზმი, ადმინისტრაციული თუ დეფორმირებული სოციალიზმი, იგი ვილაცის ბოროტი ნების, თეორიული თუ პრაქტიკული შეცდომების ან ისტორიის ბედუკუღმართობის ბრალი კი არ არის, არამედ ესაა სავსებით ბუნებრივი და კანონზომიერი სისტემა — მარქსისტული (ასპროცენტიანი) სოციალიზმი.

ამ სისტემის ბუნებრივ და კანონზომიერ ხასიათს თუ ვაღიარებთ, მაშინ ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ მას შესწევს უნარი, ყველაფერი, რაც უცხოა, ამ სისტემისათვის, „გადაამუშაოს", მოინელოს თავისი ხეშეში კუჭით, მოაქციოს საკუთარ ყაიდაზე. ამიტომ ნებისმიერი შიდასისტემური რეფორმა (მათ შორის „პერესტროიკა"), განწირულია მარცხისათვის, რადგან მისი მიზანია არა სისტემის შეცვლა, არამედ მისი განწმენდა „მახინჯად მანკისაგან", ანუ „განამდვილსოციალისტურება". ყოველივე ახალი, რაც არაა ორგანული ამ სისტემისათვის, განდევნილი იქნება მისგან, როგორც უცხო სხეული. ამის დამადასტურებლად ანტიკოოპერაციული აქციებისა და ფერმერების რბევის მაგალითებიც კმარა, რომ არაფერი ვთქვათ იმ აგრესიულ-გამთანაბრებლურ განწყობილებაზე, რომელიც მოსახლეობის ფართო ფენებშია გაჟღენთილი.

საბჭოურმა საზოგადოებრივ-ეკონომიკურმა სისტემამ სიახლეები რომ ვერ მოირგო, კიდევ ერთხელ მეტყველებს იმაზე, რომ ადმინისტრაციული სისტემა სხვაა და საბაზრო სისტემა — სხვა. ამიტომ საჭიროა, სისტემაში არა ცოტ-ცოტა ახალი სისხლის გადასხმა (რაც იწვევს რეაქციას), არამედ მისი მთლიანად შეცვლა. ამიტომ კარდამავალი რეფორმისტული პერიოდის ჩვენი ლოზუნგი უნდა იყოს არა „მეტი სოციალიზმი", არამედ — „ნაკლები სოციალიზმი"!...

რაც შეეხება ადმინისტრაციული სისტემის ცნებას: თუ მასში იგულისხმება კლასიკური, მარქსისტული სოციალიზმი, მაშინ იგი სწორად ასახავს ჩვენთან აშენებული საზოგადოებრივი წყობის არსს, მაგრამ, როგორც ჩანს, ფსევდორეფორმატორებმა ამ ცნებით ყალბი თეორიული საფუძველი შეუქმნეს „პერესტროიკას". მათი ლოგიკით გამოდის, რომ თუ ჩვენთან აშენებული საზოგადოება არის ადმინისტრაციული სისტემა, მაშინ რეფორმის ამოცანა ყოფილა მართვის ერთი სახის მეთოდების (ადმინისტრაციულის) შეცვლა მეორეთი (ეკონომიკურით). ამით იქმნება ილუზია, თითქოს საქმე მხოლოდ გაძღოლის მეთოდებში იყოს და არა თვით სისტემის შეცვლაში. რეფორმის ასეთი იდეოლოგიური ინტერპრეტაციის კონკრეტული შედეგია ის, რომ საწარმოები თვითდაფინანსებაზე გადაიყვანეს (ეკონომიკური მეთოდებით მართვა), ხოლო სისტემის კარქასი — სახელმწიფო საკუთრება ხელუხლებელი დატოვეს.

სახალხო მეურნეობის მთელი ორგანიზმის საბაზრო სისტემაზე გადაყვანის ნაცვლად მხოლოდ მისი უჯრედის — საწარმოს განკურნება ისეთივე განწირული მცდელობაა, როგორც საერთოდ ამ სისტემის გადარჩენა.

საქართველოს პარლამენტის ძირითადი ამოცანა უნდა გახდეს არა ადმინისტრაციული სისტემის შეცვლა ეკონომიკურით, არამედ ისტორიულ-როლამოწურული და განწირული სოციალისტური სისტემის დემონტაჟი. რაც უფრო მალე მივხვდებით, რომ შეუძლებელია არსებული წყობის რეფორმირება და რომ აუცილებელია მისი ლიკვიდაცია, მით უფრო ნათელი იქნება ჩვენი მოქმედების სტრატეგია და ტაქტიკა.

— თქვენ ახლა სისტემის დემონტაჟი ახსენეთ. რა გზით უნდა განხორციელდეს ის პროცესი?

— მანამ, სანამ დამოუკიდებელნი არ ვართ, არ შეგვიძლია განვახორციელოთ იგი, მსგავსად ევროპის სოციალისტური ყოფილი სატელიტი ქვეყნებისა. სისტემის დემონტაჟი ორ ეტაპად უნდა განხორციელდეს: პირველი ეტაპი — გამოყოფამდე, მეორე — გამოყოფის შემდეგ. პირველმა ეტაპმა უნდა მოამზადოს რაც შეიძლება ნოყიერი ნიადაგი მეორისათვის. სწორედ პირველი ეტაპის პარლამენტარიებზეა დამოკიდებული ის საფუძველი, რომელიც დამოუკიდებელ საქართველოს ჩაუყრის საძირკველს. რაც უფრო უხეირო იქნება ეს საძირკველი, მით უფრო მეტ სიძნელეს შევუქმნით თავისუფალ საქართველოს.

საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატთა პროგრამა-მინიმუმი რეფორმის ყველაზე რადიკალური იდეების მხარდამჭერი უნდა იყოს. თუმცა, ამ რეფორმას არ შეუძლია შეცვალოს სისტემა, იგი უფრო დაგვაახლოვებს მომავალი წყობის მოდელთან, ამავე დროს ეს კიდევ უფრო გაამწვავებს წინააღმდეგობებს, გეგმასა და ბაზარს შორის, გააღრმავებს კრიზისს, რომლის გადაჭრის საშუალება იქნება ერთადერთი რამ: საბჭოთა კავშირის დაშლა და თავისუფლების არჩევანის მინიჭება რესპუბლიკებისათვის.

დეპუტატებმა უარი უნდა თქვან ხანგრძლივი პერიოდის შემცველ გარდამავალ პროცესზე. ერთი შეხედვით იგი თითქოს იძლევა მშვიდი, უმტკივნეულო რეფორმის, საბაზრო მექანიზმის თანდათანობით ამოქმედების, ცხოვრების დონის შენარჩუნების, დემოკრატიის ნელ-ნელა დანერგვის გარანტიას, მაგრამ ისტორიულმა გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ სისტემის ცალკეული მხარის ნაწილ-ნაწილ შეცვლას არასდროს და არსად გამოუწვევია მთლიანად სისტემის შეცვლა. ამიტომ, ჩვენი ამოცანაა არა ცალკეული, პატარ-პატარა, ზედაპირული ცვლილებების განხორციელება, არამედ რაც შეიძლება სწრაფად ერთდროული ურთიერთგანმაპირობებელი ღრმა ცვლილებების გატარება.

„არც მწვადი დავწვათ და არც შამფური" — დღევანდელ პირობებში ჩვენ არ გამოგვადგება. შეუძლებელია ძირეული ცვლილებების ისე განხორციელება, რომ არ შეეხოს საზოგადოების რომელიმე ფენას, არ გამოიწვიოს ვინმეს უკმაყოფილება. თავდაპირველად, ალბათ, შესაძლოა ცხოვრების დონის დაქვეითებაც (თუმცა, იგი ამჟამადაც აშკარაა). ამგვარი მოვლენები რეფორმის გზაზე დამდგარმა ვერცერთმა ქვეყანამ ვერ აიცილა.

— და მაინც, კონკრეტულად, როგორი ეკონომიკური და სამეურნეო პოლიტიკა უნდა აირჩიოს საქართველოს პარლამენტმა?

— ეკონომიკის საბაზრო ორგანიზაციის იდეა უნდა გახდეს პარლამენტის სამეურნეო პოლიტიკის მაგისტრალური ხაზი.

გეგმიანი მეურნეობა და საბჭოური კოლექტივიზმი არის ზურგის შექცევა ევროპული ცივილიზაციის მონაპოვრებისადმი, რომელიც დაფუძნებულია ინდივიდუალიზმის პრინციპებზე და რომლის ძირითადი ნიშანია პიროვნებისადმი პატივისცემა, თითოეული ადამიანის შეხედულებებისა და მისწრაფებების აღიარება, საკუთარი ცხოვრების დამოუკიდებლად მოწყობის უფლება.

საზოგადოების დეკოლექტივიზაცია, ჯოგური, კომუნური, ღირებულების შეცვლა ინდივიდუალური, პიროვნული თავისუფლების ღირებულებებით ცენტრალიზებული ეკონომიკის მქონე სახელმწიფოში შეუძლებელია. ამიტომ, დირექტიული დაგეგმვის უარყოფა და „გეგმაზომიერი, პროპორციული განვითარების" იდეოლოგიური საფუძვლების მოსპობა, მისი ადმინისტრაციული სტრუქტურების მოშლა პარლამენტისათვის პირველი რიგის ამოცანა უნდა გახდეს.

საბჭოთა იმპერიის მიერ თავსმოხვეული ინსტიტუციური წესების ამოძირკვა, ცენტრალიზებულ-გეგმური სისტემის დაშლა, არათავისუფალ ქვეყანაში ერთბაშად შეუძლებელია. თუ რამდენ ხანს გასტანს დირექტიული დღევანდელობიდან კომერციულ ხვალინდელ დღეზე გარდამავალი პერიოდი, დამოკიდებული იქნება გატარებული პოლიტიკის თანმიმდევრობაზე... რაც უფრო სწრაფად გავირბენთ ამ დისტანციას, მით უფრო ავიცილებთ ტკივილებს. ეს პერიოდი იქნება ყველაზე მძიმე, რადგან კონკურენციული და ცენტრალიზებული მექანიზმების ერთდროულად მოქმედება მუდამ არაეფექტიანია. მათი ერთმანეთში არევისას შედეგი იმაზე ცუდი იქნება, ვიდრე ამ მექანიზმების ცალ-ცალკე თანმიმდევრულად გამოყენების დროს, რადგან ადმინისტრაციული სისტემა და ბაზარი ანტიპოდებია. ისინი დაფუძნებულნი არიან არსებითად განსხვავებულ პრინციპებზე.

საქართველოს პარლამენტმა ჯერ კიდევ გამოყოფამდე უნდა დაიწყოს საზოგადოების ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების განსახელმწიფოება. საკუთრების ფორმათა მრავალფეროვნებისა და შერეული ტიპის ეკონომიკის საფუძველზე სრულიად თავისუფალი უნდა გახდეს მწარმოებელი. მხოლოდ ამის შემდეგ, შეიძლება მახინჯი სახელმწიფო მანქანისაგან დამოუკიდებელი სამოქალაქო, თვითმართვადი საზოგადოების შექმნაზე ფიქრი.

სახელმწიფო არ უნდა ერეოდეს ისეთ სფეროებში და არ უნდა იღებდეს თავის თავზე ისეთ ფუნქციებს, რომელიც არ გამომდინარეობს მისი ბუნებიდან, რომლის შესრულების უნარი არ შესწევს. სახელმწიფოს უნდა დაუბრუნდეს მისთვის ჩვეული, ტრადიციული ფუნქციები. მკაცრად უნდა განისაზღვროს სახელმწიფოს როლი ეკონომიკაში, აიკრძალოს მთელი რესურსების გადანაწილება ცენტრიდან, მხოლოდ კომერციული ბანკების მეშვეობით უნდა გადანაწილდეს სახსრები სხვადასხვა ფენებში.

რეფორმის ძირითადი ეტაპი უნდა გახდეს წარმოების საშუალებების დენაციონალიზაცია (პრივატიზაცია). მისი გატარების ძირითადი ფორმა იქნება სახელმწიფო საწარმოთა სააქციო კომპანიებად გადაქცევა. სახელმწიფოს შეუძლია დარჩეს საწარმოთა მფლობელად, ოღონდ მხოლოდ ეკონომიკურ საფუძველზე — აქციების ფლობით.

დენაციონალიზაციის პრობლემა იქნება მომავალი საქართველოს საზოგადოებრივი ფენებისა და პოლიტიკური პარტიების პოლარიზაციის ძირითადი ფაქტორი. დენაციონალიზაციის მოთხოვნა დღეს ყველაზე არაპოპულარული თემაა და მას საზოგადოების მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი თუ დაუჭერს მხარს. მაგრამ ისტორიულმა გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ყველაზე მაღალგანვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებშიც კი, სადაც სახელმწიფო საკუთრების ხვედრითი წილი მატულობს და როცა რაღაც განსაზღვრულ ზღვარს გადასცდება, იწყება ეკონომიკის განვითარების დონის დაქვეითება, არასტაბილური ხდება სოციალური და პოლიტიკური მდგომარეობა, რის გამოც, სახელმწიფო იძულებული ხდება გაჰყიდოს თავისი საწარმოები კერძო პირებზე (აქციონერებზე). სახელმწიფოს ხელში გადასული დარგები, როგორც წესი, ნაკლებადეფექტიანია, ბევრ შემთხვევაში, კი წამგებიანიც. ზარალის დაფარვა და მათი შემდგომი სუბსიდირება კერძო სექტორიდან ამოღებული სახსრებით წარმოებს.

საწარმოო ძალთა განვითარების დღევანდელ პირობებში, ყველა ქვეყანაში (განვითარებულში თუ განვითარებადში), სადაც კი იზრდება კერძო საკუთრება, უარესდება ეკონომიკური მდგომარეობა, რადგან სახელმწიფო ბიუროკრატიისათვის ძალზე მარტივია წარმოების საშუალებათა გასახელმწიფოება, მაგრამ ძალზე ძნელია (უფრო ხშირად, შეუძლებელი) მათი ეფექტიანად გამოყენება.

თუ რატომაა ეფექტიანობა საკუთრების ფორმაზე დამოკიდებული, ძნელი მისახვედრი არ არის. კერძო კომპანიების მიზანია, რაც შეიძლება მცირე დანახარჯებით მეტი შედეგის მიღება. სახელმწიფო საწარმოს კი ამოძრავებს არა იმდენად ეკონომიკური შედეგი, რამდენადაც „ჰუმანური" მიზანი — მუშახელის დასაქმება. კერძო საწარმოთა გაკოტრების შემთხვევაში ზარალობს ყველა — მუშაც და მესაკუთრეც, სახელმწიფოს კი ნაკლებად ადარდებს ამგვარი პრობლემები. ჩინოვნიკი პასუხს არაფრისთვის აგებს.

ისტორიამ ეტყობა იდეოლოგიური დალტონიზმით დაავადებული ადამიანებისთვისაც იზრუნა, როცა ძალზე მარტივი, თვალსაჩინო შედარებისათვის „შექმნა" ორი გერმანია (დასავლეთი და აღმოსავლეთი), ორი კორეა (ჩრდილოეთი და სამხრეთი), სამი ჩინეთი, (სახალხო რესპუბლიკა. ტაივანი, ჰონკონგი). მათი აყვავების (დაცემის) მიზეზები არ უნდა იყოს ძნელი მისახვედრი.

დასკვნა მხოლოდ ერთია: ეკონომიკის ეფექტიანად წარმართვა საზოგადოებრივი პროგრესის განვითარების დღევანდელ ეტაპზე შესაძლებელია მხოლოდ საბაზრო მეურნეობის, თავისუფალი მეწარმეობის პირობებში.

თუ ქართული პარლამენტი შეძლებს რეფორმის გადაყვანას დენაციონალიზაციის რელსებზე, მაშინ საზოგადოებაში აწყამად არსებული ანტაგონიზმი, გამოხატული კონფლიქტით, პარტიულ, სახელმწიფო და სამეურნეო სტრუქტურებს, პოლიტიკურ დაჯგუფებათა და სოციალურ ფენებს შორის, თანდათანობით გადაიზრდება დაპირისპირებულობის უმტკივნეულო ფორმაში. ეს უკვე იქნება წინააღმდეგობა ახლადწარმოქმნილ სამოქალაქო ინსტიტუტებსა და სახელმწიფოს შორის, რაც სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების მანიშნებელი იქნება.

12 მარტი, 1990 წ.

* ანექსირებული ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს არც შეიძლება ეწოდოს პარლამენტი — ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. ამ ცნებაში ვგულისხმობ არატრადიციულს, არამედ პარლამენტ-პროტოტიპს (რ. გ.).

# ჟურნალისტი იცვლის პროფესიას

**კვლავ მესხეთიდან გადასახლებული თურქების გამო. იქნებ მათ შორის ქართველებიც არიან. ფერგანის ტრაგედიის გამოძახილი. სისხლისღვრა პარკენტის რაიონში. უზბეკეთის სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმისა და უზბეკეთის სსრ მინისტრთა საბჭოს მიმართვა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსადმი. თურქები — ქართველების „საკუთარი სისხლი და ხორცი?!".**

შარშან ფერგანის ოლქში დატრიალებულმა ვანდალურმა რბევამ და ხოცვა-ჟლეტამ მთელი მსოფლიო გააცვიფრა. გაუგონარმა სისასტიკემ ყველა დროის ბარბაროსთა მოქმედებას გადააჭარბა. სახალხო დეპუტატთა მაღალი ტრიბუნიდან კი ასეთი გაუგონარი სიცრუე მოისმინა მილიონობით ტელემაყურებელმა. თვით ყრილობას უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მაშინდელმა პირველმა მდივანმა თვალებში ნაცარი შეაყარა. თითქოს, დღისით, მზისით, ყველაფერი უბრალოდ მოხდა. ხენდროს ფასის გულისთვის ადგილობრივი მცხოვრები და მესხეთიდან გადასახლებული თურქი წაკინკლავდნენ. რამდენიმე წუთში ეს წაკინკლავება ჯგუფურ ჩხუბში გადაიზარდა. მერე აზვირთდა, აბობოქრდა და სისხლმოწყურებული ბრბო ერთმანეთს დაერია. მარგილანის, კოკანდისა და იაიპანის რაიონებში თავებსა ჰკვეთდნენ და ცოცხლად წვავდნენ მესხეთელ თურქებს, უწვავდნენ სახლკარს, მანქანებს, ანგრევდნენ და არბევდნენ ყველას და ყველაფერს, არ ინდობდნენ ბავშვებს, ქალებს, მოხუცებს.

საკავშირო პრესა და ტელევიზია, როგორც ამ დროს იცის ხოლმე, პირში წყალს იგუბებს, ხალხს სიმართლეს უმალავს, ალამაზებს და არბილებს ფაქტებს, ამცირებს მსხვერპლთა რაოდენობას, თითქოს ამით სისხლიანი ტრაგედიის მნიშვნელობის შემსუბუქება შეიძლებოდეს. თუმცა, ჭირმა თავი არ დამალა და აქა-იქ მაინც გაჟონა სიმართლემ. ცენტრალური პრესის თანამშრომლებს ავიწყდებოდათ რას ბეჭდავდნენ გუშინ და მეორე დღეს უკვე სრულიად განსხვავებულ ინფორმაციას იღებდა მკითხველი. 12 ივნისს საქდესმა მთელ ქვეყანაში გაავრცელა ეს ცნობა:

**Становится ясно, что происходящее в Ферганской области, как и в некоторых других районах республики, — это хорошо продуманная и организованная акция. Для ее проведения нужны и солидные денежные средства. Судя по всему, они у экстремистов имеются. Каков их источник?**

—„ეს არის კარგად მოფიქრებული და ორგანიზებული აქცია". გვატყობინებდა „იზვესტია" და ამ ფრაზას ნურც ჩვენ დავივიწყებთ.

ისიც უნდა ითქვას, რომ ამ სისხლიან მოვლენას საკმაოდ ძლიერი ხელი მართავდა.

მას შემდეგ იმავე ცენტრალურ პრესაში ხშირად იბეჭდება გულისამაჩუყებელი წერილები, რომ ამ ორმოცდახუთი წლის წინათ მესხეთიდან გადასახლებული თურქები თავიანთ ისტორიულ სამშობლოში უნდა დაბრუნდნენო. ამას წინათ გაზეთი „იზვესტია" წერდა ქართველი ხალხის დიდ კეთილგანწყობილებაზე და მოგვიწოდებდა, რომ საქართველომ დროზე უნდა გადაწყვიტოს „თურქი მესხების" პრობლემა. უფრო დიდი ჰუმანურობა და გულმოწყალება გამოიჩინა „დრუჟბა ნაროდოვის" მთავარმა რედაქტორმა სერგეი ბარუზდინმა. მისი აზრით, ქართველმა ხალხმა „საკუთარ სისხლსა და ხორცზე" უნდა იფიქროს, რათა სამამულო ომის დროს მესხეთიდან უკანონოდ გადასახლებული თურქები თავიანთ ისტორიულ მიწა-წყალს დაუბრუნდნენ. სერგეი ბარუზდინის მტკიცებით მესხეთიდან გადასახლებული თურქები ქართველი ხალხის „საკუთარი სისხლი და ხორცი" ყოფილან.

ამ არამკითხე მოამბეს „ლიტერატურულ საქართველოსა" და „კომუნისტში" კი გაეცა საკადრისი პასუხი, მაგრამ კიდევ ერთხელ უნდა შევუძახოთ, რომ თურქები არასოდეს ყოფილან ქართველების სისხლი და ხორცი. რა დავარქვათ „დრუჟბა ნაროდოვის" რედაქტორის „თავგამოდებას?!" სიბეცე? ელემენტარული უმეცრება? მწყრალად ყოფნა ისტორიის სახელმძღვანელოსთან, რომელიც საშუალო სკოლის მოსწავლეებმაც კი კარგად იციან? არა! ხალხთა მეგობრობის „მოამაგემ" კარგად იცის, 1944 წელს საზღვრისპირა რაიონებიდან რისთვის აჰყარეს და გადაასახლეს თურქები, ისიც კარგად იცის, რას ამბობს და რისთვისაც ამბობს. ეს არა მარტო მისი მოვალეობაა, არამედ მისი სულის კვილია, „უფროსმა ძმამ" სხვის საქმეში ხელი უნდა აფათუროს. თუ რა მდგომარეობაა ჩვენთან, მან და მისთანებმა არ იციან, და არც უნდათ, რომ იცოდნენ. სრულებითაც არ აინტერესებთ, რომ დღეს საქართველოში რთული პოლიტიკური და დემოგრაფიული ვითარებაა. ვერ ავცდით ეთნოკრიზისებსაც, რის აცილებასაც ქართველი ხალხი, მისთვის ჩვეული ჰუმანურობისა და სტუმართმოყვარეობის (ბევრმა ჩვენს სტუმართმოყვარეობას „ყბადაღებულის" იარლიყიც კი მიაწება) გამო ნამდვილად ცდილობდა. თუ ვინმე ამის საწინააღმდეგოდ თბილისში ხალხმრავალ მიტინგებზე გამოტანილ ლოზუნგებს დაუწყებს ძებნას, ეს ამაო გარჯა იქნება. მცდარი და მიუღებელი ლოზუნგი ყველგან შეიძლება იპოვო, დედამიწის ნებისმიერ კუთხეში. ერთი ან ორი ლოზუნგი რომ მთელი ერის მისწრაფებას, სულისკვეთებასა და სახეს გამოხატავდეს, მაშინ რა ვუყოთ „პამიატის" მიერ რასობრივი სიძულვილით განმსჭვალულ ლოზუნგებს, რომელთაც მოსკოვში,—გორკის ქუჩაზე, მანეჟის მოედანზე თუ არბატზე, ყოველ წუთში დააფრიალებენ „პამიატელები?" ქართველ ხალხს ერთი ლოზუნგი აქვს: — უყვარდეს ადამიანი და გაუფრთხილდეს თავისი ქვეყნის ღირსებას, პატივი სცეს სხვას და ასეთივე პატივისცემა მოითხოვოს სხვისაგან. მაგრამ თუ დღეს ჩვენი ხალხი უარს ამბობს მესხეთიდან გადასახლებული თურქების ჩამოსახლებაზე, ამისი ობიექტური მიზეზები საკმაოზე მეტი აქვს. ამ მიზეზების კვლევით თავი არასოდეს აუტკივებია ცენტრს, არავინ კითხულობს სად დავასახლოთ სტიქიური უბედურებისაგან უსახლკაროდ დარჩენილი სვანები და აჭარლები, არავინ კითხულობს გვაქვს თუ არა დაუსახლებელი მიწა, არავინ კითხულობს გაღატაკებული ეკონომიკით როგორ ავაშენოთ ათასობით საცხოვრებელი სახლი...

მე ხელთა მაქვს მივლინებიდან ჩამოტანილი 27 თებერვლის „ვეჩერნი ტაშკენტი", სადაც გამოქვეყნებულია უზბეკეთის დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ 26 თებერვალს ჩატარდა უზბეკეთის სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმისა და უზბეკეთის სსრ მინისტრთა საბჭოს ერთობლივი სხდომა თურქი მესხების მონაწილეობით. ამ სხდომაზე მიიღეს მიმართვა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოსადმი, სადაც ნათქვამია:

**Такими проявлениями межнационального конфликта явились события июня 1989 года в Ферганской области с человеческими жертвами и беспорядки 19—24 февраля 1990 года в ряде районов Ташкентской области, где только благодаря принятым экстренным мерам они не привели к гибели людей. В настоящее время в республике делается все, чтобы не допустить межнациональной напряженности и конфликтов на этой основе.**

**Президиум Верховного Совета и Совет Министров Узбекской ССР, отмечая, что работа Комиссии Верховного Совета СССР по проблемам турко-месхетинского населения не получила должного развития, убедительно просят Верховный Совет СССР активизировать ее деятельность и регулярно информировать о принимаемых мерах по удовлетворению исконного желания турок-месхетинцев вернуться на землю предков.**

ჰა, თურმე რაში ყოფილა საქმე! აქ კიდევ ერთხელ უნდა გავიხსენოთ რაფიკ ნიშანოვის მიერ მაღალი ტრიბუნიდან ნათქვამი ფრაზა: „კონფლიქტი ხენდროს გამო", იმ ხენდროსი, რომელიც, შეიძლება გამოხდეს ხანი და ბევრს ყელზე დაადგეს. კიდევ ერთხელ უნდა გავიხსენოთ არამკითხე მოამბის როყიოდ წამოსროლილი სიტყვები: ქართველები „საკუთარი სისხლისა და ხორცის" ბედ-იღბალს არად დაგიდევენო.

ყველას კარგად მოეხსენება, რომ ერთი თვის წინ ხენდროს სეზონი არ იყო, მაგრამ ტაშკენტის ოლქში, ბუკასა და იანგიულის რაიონებში ისევ გაღვივდა ეროვნებათშორისი შუღლი. იანგიულის რაიონში, სოფელ მიხაილოვკაში, ენგელსში, პეტროვკაში, ნავოიში, ხაგრაყულში მრავლად ცხოვრობენ მესხეთიდან გადასახლებული თურქები. ისინი ცხოვრობენ, აგრეთვე, ტაშკენტის ოლქის სხვა რაიონებში, ხოლო ფერგანის ოლქში ჩასულს კი, კაციც აღარ დამხვდა ე. წ. თურქი-მესხებიდან, რომ რაიმე ეთქვა მომხდარ ტრაგედიაზე. ისინი მთლიანად გადაასახლეს ცენტრალურ რუსეთში.

სხვა გზა არა მქონდა და ტაშკენტიდან ავტობუსით ჩავედი სოფელ ხაგრაყულში. სარედაქციო დავალება მაქვს — უნდა შევხვდე მესხეთიდან გადასახლებულ თურქებს (იქნებ მათ შორის ქართველებიც არიან?!). დაველაპარაკო მოხუცებს, იქ დაბადებულ და გაზრდილ ახალგაზრდობას, მინდა შევიტყო მათი ჭირ-ვარამი. ოცდაათკილომეტრიანი გზა დაახლოებით ერთ საათში გავიარეთ. შევედით სოფელში და მგზავრებით გაჭედილი ავტობუსი უცებ აჩოჩქოლდა. ფანჯრიდან ვხედავ — სოფელში დიდი არეულობაა, ისმის წივილ-კივილი, სადღაც მინები ჩალეწეს. ქვებს ისვრიან, ერთმანეთს კეტებითა და მარგილებით დარევიან.

ავტობუსი სოფლის ცენტრში გაჩერდა და უცებ დაცარიელდა. მე მარტო დავრჩი. გარბიან და გამორბიან, ან ჯგუფ-ჯგუფად დგანან ქუჩებში, ქალების მოთქმა და გოდება მთელ სოფელში ისმის, ტირიან ბავშვები, რომ იტყვიან ძაღლი პატრონს ვერა ცნობს.

ავტობუსის გვერდით ვდგავარ და ორასიოდე მეტრის მოშორებით ცეცხლმოკიდებულ სახლებს გავყურებ. მოულოდნელად 30-35 წლის შავგვრემანი მამაკაცი წამომადგა თავზე:

— ვინა ხარ, აქ რას აკეთებ? — მეკითხება რუსულად და გამტერებული მომჩერებია. მე არ ვიცი ჩემს წინ ვინ დგას, რა უძევს გულში და რა მიზნით გამომელაპარაკა.

— აქ რა გინდა? საიდან ჩამოხვედი? — მეკითხება უცნობი და თავით ფეხამდე მათვალიერებს.

ამ დროს მე მახსენდება ჟურნალისტიკის პრაქტიკაში საყოველთაოდ მიღებული და დიდი ხნის ნაცადი ხერხი — ჟურნალისტი იცვლის პროფესიას. სიფრთხილეს თავი არა სტკივა, გული მიგრძნობს, რომ ამ უბედურების ჟამს, როდესაც აქეთ-იქიდან ისმის ტირილი და გოდება, სოფელში მრავლად არიან მილიციელები, რომელთაც ცალ ხელში რეზინის ხელკეტები უჭირავთ, მეორეში — იარაღი და ცდილობენ ჯგუფ-ჯგუფად შეგროვილი ხალხი დაშალონ, არ შეიძლება ჩემი ვინაობის გამხელა, მაგრამ ამ წუთში მოგონილი პროფესიაც რომ არა მაქვს! ვინა ვარ, რა ვარ? მე ვიცვლი არა მარტო პროფესიას, არამედ ეროვნებასაც და ვპასუხობ, რომ ეროვნებით ბერძენი ვარ, ვცხოვრობ ტაშკენტში და აქ მეგობართან ჩამოვედი, რომელიც ჩემთან ერთად ჯარში მსახურობდა.

— ვინ არის შენი მეგობარი? რა ჰქვია, რა გვარია?— თავს არ მანებებს და სახე თანდათან ერევა.

მე დავუსახელე უზბეკი ჭაბუკის გვარი და სახელი, რომელიც მართლა მსახურობდა ჩვენს პოლკში ამ ოცი წლის წინათ.

— აქ ეგეთი არავინ ცხოვრობს. — კბილებში გამოსცრა მან, მრისხანე სახეზე ეტყობა რომ თვალში არ მოვუდივარ.

— მეზობელ სოფელში ცხოვრობს, პეტროვკაში. აქამდე ავტობუსით ჩამოვედი. ტაქსი მინდა დავიქირავო, — ვუპასუხე რაც შეიძლება მოგონილი სიმშვიდით.

— არა, შენ არა ხარ ბერძენი! — იღრიალა და ჯიბეში ხელი ჩაიყო. — შენ ქართველი ხარ! — ჩემდა გასაოცრად ეს უკვე ქართულად მითხრა, ჯიბიდან ჯაყვა ამოიღო და გახსნა.

შეიძლება ეს არის საბედისწერო წამი, გამიელვა უცებ. ვიცი, რომ იმედი სჯობს სასოწარკვეთას, ამიტომ არ უნდა ავღელდე, შიში ადამიანური თვისებაა, მაგრამ მაინც არ უნდა შემეტყოს. იმის გამჟღავნება, რომ მე საქართველოდან ჩამოვედი და ჯიბეში უზბეკეთის მწერალთა კავშირში დამოწმებული მივლინება მიდევს, უკვე წარმოუდგენელია.

— მაჩვენე პასპორტი! თუ ბერძენი ხარ, მაჩვენე პასპორტი — გახსნილი დანა მუცელზე მომადო.

—არ გინდათ ჩვენი ჩასახლება საქართველოში? იცი, რას გიზამ?! იცი, რას გიზამ?! — რუსულად შედარებით გამართულად ლაპარაკობდა, დროდადრო დამახინჯებულ ქართულსაც გამოურევდა. —მაინც ჩამოვალთ ჩვენს სამშობლოში! სულ ერთია ჩამოვალთ! მესხეთი ჩვენი სამშობლოა! გავმრავლდებით და მთელ საქართველოს გავათურქებთ! იცოდეთ, თურქეთი ჩვენ გვიჭერს მხარს. მაინც ჩამოვალთ, ძალით ჩამოვალთ მესხეთში, საიდანაც თქვენმა ძაღლმა გადმოგვასახლა... მაჩვენე პასპორტი! — უნდა, რომ უბის ჯიბეში ძალდატანებით ჩამიყოს ხელი, თან უშვერი გინებაც მოაყოლა არა მარტო ჩემი, არამედ მთელი საქართველოს მისამართითაც.

მე ვდგავარ აწურული, დამცირებული და შეურაცხყოფილი ვუსმენ ამ სიტყვებს და უძლური ვარ. ჩემს წინ სულით ხორცამდე გადაგვარებული, სისხლმოწყურებული პირუტყვი დგას, რაც არ უნდა ვეცადო, ვერაფერს შევასმენ, იგი დღე და ღამე საქართველოს რჯულის მოქცევასა და გათურქებაზე ფიქრობს. მითუმეტეს, ამ დროს, ხან სად გაისმის არაადამიანური ღრიალი და ხან სად, სოფელი კვამლშია გახვეული. ჩემი გაბიაბრუება ოთხ-ხუთ წუთს გაგრძელდა. მისი გონების სიბნელემ, ღვარძლმა და შეურაცხყოფამ უფრო მეტად დამთრგუნა, ვიდრე მზეზე ალაპლაპებულმა დანის პირმა.

მკითხველის გასაღიზიანებლად როდი ვწერ ყოველივე ამას, არც შურისძიების გრძნობამ ამაღებინა ხელში კალამი. ბოლოს და ბოლოს, უნდა ვიცოდეთ ვინ-როგორი თვალით იყურება ჩვენს მამულში! ერთი რამ უდავოა. ახლა ფიცი-მტკიცი აღარ სჭირდება იმას, რომ ქართველმა ერმა მტერს მტრული პასუხი უნდა გასცეს და მოყვარეს — მოყვრული. მკითხაობის დრო აღარ არის! ერთი ფაქტის განზოგადებას თავს არავის მოვახვევ, მაგრამ აღვნიშნავ, რომ საქართველოში არაერთი და ორი სხვა ეროვნების ასიათასობით კაცი ცხოვრობს და ქართველ ხალხს არასოდეს მოუთხოვია ისტორიულ სამშობლოში მათი დაბრუნება. ერთხელ და სამუდამოდ უნდა გაიგოს ყველამ, რომ თურქის ისტორიული სამშობლო თურქეთია და არა მესხეთი!

საქართველოს გათურქების ჟინით შეპყრობილმა გადამთიელმა ვერ მიაღწია თავის მიზანს, ძალით ვერ ჩამიძვრა ჯიბეში და ვერ ნახა ჩემი პასპორტი. მილიციელის გამოჩენისთანავე (უზბეკი ჭაბუკი იყო, სერჟანტის სამხრეები ეკერა. მარჯვენა ხელი ზურგს უკან დამალა, დანა დაკეცა და შეუმჩნევლად ჩააცურა ჯიბეში. უცებ სახეზე ღიმილიც კი გადაიფინა, ჩვენ კიდევ შევხვდებითო, მომაძახა და გამშორდა. მილიციელის დახმარებით ვაჩერებ ტაქსს და ვბრუნდები ტაშკენტში.

იყო თუ არა, ამ შეტაკების დროს მსხვერპლი? (თუ ვერწმუნებით უზბეკეთის დეპეშათა სააგენტოს მიერ გავრცელებულ ცნობას — მსხვერპლი არ ყოფილა), ტაქსის შოფერმა ის კი მითხრა, რომ დაჭრილები არიანო.

როგორც „ლიტერატურნაია გაზეტა" (7 მარტი) იუწყება, 3 მარტს კიდევ ერთი ტრაგედია დატრიალდა ტაშკენტიდან 50 კილომეტრის დაშორებით, პარკენტის რაიონში. „თურქი მესხებისა" და ადგილობრივი მოსახლეობის შეტაკების შედეგად დაიღუპა ოთხი კაცი, ოთხივე უზბეკი, ერთი მილიციის ოფიცერი, ერთი ექიმი და ორი მოქალაქე. 40 სამხედრო მოსამსახურე დაჭრილია.

ასე დამთავრდა ჩემი მივლინება.

რა არის აქ მოგონილი, შეთხზული და შელამაზებული? არც ერთი სიტყვა! „ჟურნალისტის ცოდვა" ავტორის სინდისზე იყოს. შეთხზულია მხოლოდ სერგეი ბარუზდინის მიერ მოიმახული „საკუთარი სისხლი და ხორცი". რუსმა პოეტმა, „დრუჟბა ნაროდოვის" რედაქტორმა არ იცის, ან არ უნდა რომ იცოდეს, რამდენ ხანს გმინავდა ქართველი ხალხი თურქობის უღელქვეშ. ის თავისივე გამონაგონითაა გულდამძარებული მესხეთიდან გადასახლებული თურქების გამო, მაგრამ ძველ საბჭოთა კავშირში მიმოფანტული 60 მილიონი(!) „საკუთარი სისხლისა და ხორცის" ბედ-იღბალი არ აწუხებს, არ ენაღვლება.

სად არის ძაღლის თავი დამარხული?

პასუხი ნათელია. საქართველო ვისთვის მშობლიური მიწაა, ვისთვის სამხედრო სათარეშო პოლიგონი და ვისთვის კი მაჰმადის რჯულზე მოსაქცევი „ისტორიული სამშობლო".

მაშ ვინ უნდა იზრუნოს მესხეთიდან გადასახლებულ თურქებზე? მითუმეტეს, თუ მათ შორის არიან ნამდვილი ქართველები (ან ქართული ორიენტაციის ოჯახები?) ეს კითხვაც სრულიად კანონზომიერია. თუ ჩვენ ჭეშმარიტი ქართველები ვართ და, მართლაც, კაცთმოყვარეობა, ჭირთათმენა და ჰუმანიზმია ის ფესვი და ძირი, რამაც დღემდე მოგვიყვანა და გაგვაძლებინა, ხურავის ვათქმევინებთ, რომ ჩვენ სხვის გაჭირვებას გულგრილად შევყურებთ. ჩვენ იმდენი საკუთარი ჭირ-ვარამი გვაწუხებს, რომ სხვის მიმართაც ველარ ვიქნებით გულგრილნი.

ერთი რამ გადაჭრით უნდა ითქვას: მესხეთელი თურქების ბედზე, უპირველეს ყოვლისა, უნდა ეზრუნათ მათ, ვის მიწაზეც აგერ, უკვე თითქმის ნახევარი საუკუნეა ეს ხალხი სახლობს.

სხვათაშორის, ტაშკენტში ნახევარ მილიონამდე კორეელი ცხოვრობს. მაგრამ არასოდეს, არავის აზრად არ მოსვლია, არც კი გაუფიქრებია ისტორიულ სამშობლოში მათი გარეკვა. არც უნდა გაიფიქრონ! იქნებ გულუბრყვილობაა ამგვარი კითხვის დასმა? გეთანხმებით! მაგრამ ადამიანის გაჩენის დღიდან გულუბრყვილობაც იყო დიდი სიმართლე.

დღეს უზბეკეთში მცხოვრებ და ფერგანის ოლქიდან ცენტრალურ რუსეთში გადასახლებულ თურქთა უმეტესობას უკვე წარმოდგენაც არა აქვს საქართველოზე. წამოვიდა ახალგაზრდა თაობა, რომლისთვისაც საქართველო აღარ არის „ისტორიული სამშობლო". ნურავინ იფიქრებს, დღეს ისეთი არეული დროა, გაუთვალისწინებელი რამ შეიძლება ყველგან მოხდესო. ფერგანის სისხლიანი ტრაგედია არ უნდა მომხდარიყო. ამგვარი ბარბაროსული აქციები ერთ საათში არ მწიფდება და, როგორც ვთქვით, მარტო ხენდროსთან არ არის დაკავშირებული. იგი თანდათანობით ვითარდება და გონიერი მმართველის თვალში შედეგებიც ადრევე იკვეთება. შეუძლებელია უზბეკეთში, და კერძოდ, ფერგანაში, კარგად არ სცოდნოდათ, საითკენ მიდიოდა და როგორ ვითარდებოდა მოვლენები, ძველ ბრძენთაგან თქმულა: „უნდა იცოდე სხვისი რელიგია და პატივს სცემდე მას". სხვისას ვინ ჩივის, რა სახეს იღებდა ურთიერთობა ორი ხალ-

(დასასრული მე-4 გვ.)

(დასასრული)

...ხისა, რომელთაც ერთი სარწმუნოება აკავშირებს. ეს ვერავინ დაინახა, ან ვიყოთ მართალნი და ვთქვათ: არავინ დაინახა! და მოხდა საშინელება, დაიღვარა უდანაშაულო ადამიანთა სისხლი. უმოწყალო სისასტიკით დახოცილებს სამარეც არ აღირსეს და ცოცხლებთან ერთად დაწვეს. ჩვენ ეს ძალიან გვაშფოთებს, მწუხარებით ვივსებით, ვერც კი წარმოვიდგენთ იმას, რაც სინამდვილეში მოხდა. სიმართლე არც პრესითა და ტელევიზიით გაგვიმხილეს (უზბეკეთის მწერალთა კავშირში რამდენიმე მწერალმა მკითხა: 9 აპრილს მართლა სასანგრე ნიჩბებით დახოცეს ხალხი თუ ჰყლეტაში მოჰყვნენო). გარდაქმნისა და დემოკრატიის პირობებში ჯერჯერობით ბოლომდე არ შეცვლილა საბჭოთა პრესისა და ტელევიზიის მუშაობის სტრუქტურა. მაგრამ სიმართლე დაუფარავად უნდა ითქვას: უზბეკეთის ხელისუფლება არ გაუფრთხილდა იმ ხალხს, რომელიც მის მიწაზე ცხოვრობდა და შრომობდა. არადა, უნდა გაფრთხილებოდა!

ჩვენ საამისო მაგალითები ბევრი ვიცით და ყველაზე ნათელ მაგალითად გამოგვადგება ბოლოდროინდელი მოვლენები: მარნეულისა და ბოლნისის რაიონში მცხოვრები ზოგიერთი აზერბაიჯანელის საკმაოდ ექსტრემისტული მოთხოვნების დროსაც კი არავინ დაზარალებულა, ხოლო სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტის დღეებში ორივე ამ ხალხის წარმომადგენლები, საკმაოდ რომ ცხოვრობენ საქართველოში, ძალზე უშიშრად გრძნობდნენ თავს, ლტოლვილებმა დროებითი თავშესაფარიც კი იპოვეს ჩვენთან.

ეს გაკვეთილი უნდა იყოს ყველასათვის!

გაკვეთილი უნდა იყოს იმ დაუფიქრებელი პუბლიკაციების ავტორებისთვისაც, რომლებიც ძალზე ადვილად იკვლევენ გზას ცენტრალური პრესის ფურცლებისაკენ.

გაკვეთილი უნდა იყოს „დრუჟბა ნაროდოვის" რედაქტორისთვისაც, რომელიც დიდი ხანია საქეიფოდაც კი არ ჩამოსულა საქართველოში და თურმე ზეპირად იცის, როგორ ლოზუნგებს აკრავენ ქართველ თავადთა ნაშიერნი თბილისის ქუჩებში.

გაკვეთილი უნდა იყოს, „იზვესტიაში" გამოქვეყნებული წერილის ავტორისთვისაც, რომელიც მთელ ქვეყანას უმტკიცებს, მესხეთში თურქებს ზარ-ზეიმით ელიანო და თანაც ამ ვარაუდს იმაზე აგებს, რომ ქართველები თურმე ოდითგანვე კაცთმოყვარეობით ვიყავით გამორჩეულნი. შარშან ხომ იგივე „იზვესტია" და სხვა ცენტრალური გაზეთები ცინიზმით აღსავსე წერილებს ბეჭდავდნენ, მთელ მსოფლიოს მოსდეს, რომ მცირე ერებს ვავიწროვებდით, ვჩაგრავდით და ჩვენს ძალმომრეობას საზღვარი არა ჰქონდა.

„ლიტერატურული საქართველო" არაერთხელ წერდა იმის თაობაზე, რომ საქართველოს ერთი გოჯი თავისუფალი მიწა აღარა აქვს! ეს უნდა შეიგნოს და შეისმინოს ყველამ, მტერმაც და მოყვარემაც!

რა ვქნათ, რომ აღარა გვაქვს?!

გავუფრთხილდეთ იმას, რაც ჩვენს წინაპრებს სისხლითა და ოფლით დღემდე ჩვენთვის მოუტანია!

იქნებ გადასახლებულთა შორის მართლა არიან ქართველები? ამ კითხვას კონკრეტული ავტორები და მათ კი თანამოაზრენიც ჰყავთ. ამ მტკივნეულ პრობლემაზე ნუ ვიმსჯელებთ ცალმხრივად, ნუ ვიტყვით, რომ თვით ამ კითხვის დასმა მკრეხელობაა და მათი ავტორები კი შესაჩვენებლად გასამეტებლები. რაკი კითხვა არსებობს, მას პასუხიც უნდა გაეცეს. ეს კი ძალზე ძნელია, დიდ დაფიქრებას, ყოველი ვითარების აწონ-დაწონას, მომავლის გონივრულ განჭვრეტას მოითხოვს. ეს იმ კითხვას ჰგავს, რითაც ილია ჭავჭავაძემ თავისი „ოთარაანთ ქვრივი" დაასრულა:

„მაგრამ სხვა ვინ არ არის ცოდო?

ერთიც ეს არის საჭირბოროტო და წყევლა-კრულვიანი საკითხავი ამ უთავბოლო და უსწორმასწორო წუთის-სოფელში".

**თემურ აბულაშვილი.**
ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი.

ტაშკენტი-თბილისი.

# „მართალს ვიტყვი..."

დღეს, ქართველ ერში ეროვნული თვითშეგნების ამაღლების ჟამს, კუთხურ პარტიკულარიზმსა და, უფრო უარესი — სეპარატისტულ მოძრაობაზე გვიწევს საუბარი, რაც დიდად სამწუხაროა. თანაც, როგორც პრესიდან შევიტყვეთ, ეს სენი თურმე ძირძველ ქართველებში — აჭარლებსა და მეგრელებში გაჩენილა!

ვინაიდან მე სამეგრელოდან ვარ, მეგრელი ვარ, ცხადია, ყველაზე უკეთ ამ კუთხეს ვიცნობ და ამჯერად მხოლოდ მასზე საუბრით შემოვიფარგლები.

შემიძლია თამამად განვაცხადო: სამეგრელოში არავითარი სეპარატისტული მოძრაობა არ არსებობს, მისი არც ძირი ჩანს სადმე და არც კვალი! ხოლო რაც შეეხება ზოგიერთი მეგრელი კაცის დროდადრო დაჩივლებას, განაწყენებას თუ ცალკეულ გამოხდომებს აფხაზეთში ან სამეგრელოში, როგორც ჩემს სამეგრელოსა და აფხაზეთს, ისე ერთიან საქართველოს ვდებ ამაში ბრალს და, თუ რატომ, ქვემოთ მოგახსენებთ.

ერთი ძველი ამბავი მინდა გავიხსენო.

პირველ კლასში „დედაენის" გაკვეთილზე, ერთ-ერთმა ბავშვმა მე მეგრელი ვარო, წამოიძახა. მერე ეს წამოძახილი იქცა ჩვენთვის იმ „მეგრელის" დაცინვის საბაბად, და არა მარტო იმ წუთსა და საათში, წლების განმავლობაში, არც მასწავლებელი პატიობდა ამას და არც ჩვენ, ყოველდღე ატირებამდე მიგვყავდა, რომ ქართველია და არა მეგრელი და ეს არ იცის! რომ მეგრელი, კახელი, იმერელი, გურული, სვანი... ყველა ერთია, ქართველი, საქართველოს ისტორიისა და მისი მიწა-წყლის პატრონი. ამით იმისი თქმა მინდა, რომ მეგრელმა ბავშვმა თავიდანვე იცის თავისი ქართველობა (იმ ქართულის არმცოდნე, სკოლაში უსწავლელ ასი წლის მოხუცსაც, დიდებულად ესმის, რომ ის ქართველია სულით, ხორცით... და ეს ეამაყება! ამ შეგნებით ზრდის თავის შვილებს); რომ, მხოლოდ ქართული ენაა მისთვის მთავარი, მშობლიური, მაგრამ... ამ „მაგრამზე" მინდა ქვემოთ ვილაპარაკო, ვილაპარაკო თამამად და, რაც მთავარია, ჩემი ქვეყნის, მისი ერთიანობის საკეთილდღეოდ!

წარსულში თუ ჩავიხედავთ, გონიერი სამეგრელო კი არა, სამი პატიოსანი, მშრომელი გლეხკაცი ერთდროულად არ წამოგებია რაიმე ავანტიურას. ამას იმიტომ ვამბობ, რომ არც აშორდიას შეუქმნია ამ კუთხისათვის სერიოზული საფრთხე და არც ყბადაღებულ უვანიას, სხვათაშორის, არც ასეთ რამეებში დიდად გამობრძმედილ რუს პროვოკატორებს. მეგრელი კაცი, თუ თავად არ ესმოდა, ყოველთვის სადად მოაზროვნე ადამიანს მიაპყრობდა ხოლმე მზერას და, მადლობა ღმერთს, მსგავსი ადამიანები სამეგრელოს არასოდეს ჰკლებია, ამის განსჯის, ყურისგდების უნარი კი, დამერწმუნებით, აქაურ უბირ გლეხსაც აქვს. ამ კუთხის კაცი რაღაც ღვთიური მოწიწებით არის გამსჭვალული ჭკვიანი, განსწავლული პიროვნებებისადმი. სამეგრელოში მწერლის ხატია შექმნილი და ასი მოქმედი უვანია ვერ გადაწონიდა, ვთქვათ, ბატონ კონსტანტინე გამსახურდიას ერთ სიტყვას. უფრო მეტიც, მან იცის თავისი წარმომავლობა, ისტორია, საკუთარი მიწა-წყლის ფასი და ერთიანი საქართველოს ერთგულება ძვალ-რბილში აქვს გამჯდარი. ეს ერთგულება ჯერ კიდევ როდის — ფარნავაზს ქუჯიმ დაუმტკიცა. ეს თავდადება ბაგრატ III-ს აგრძნობინა სამეგრელომ. ჭყონდიდელიდან მოდის იგი, ცოტნედან მოდის... აგერ, თუნდაც 1924 წლის აჯანყება გავიხსენოთ. ეროვნული დამოუკიდებლობისთვის ბრძოლას თითქმის ყველაზე მეტი — 900-მდე ადამიანი ამ კუთხიდან შეეწირა. ეს ყველაფერი რომ ჭეშმარიტებაა, სადად მოაზროვნე ქართველობამ დიდებულად იცის.

მაშ, რა მოხდა?

უნდა ვაღიაროთ: ერის ისტორიის, მისი ერთიანობის, კულტურული მემკვიდრეობის თაყვანისცემის, მასთან გენეტიკური და სულიერი კავშირის ნაცვლად, ჩვენი დღევანდელი (მეგრელის, ქართლელის, კახელის, ხევსურის, გურულის, სვანის და ა. შ.) ურთიერთობა მეტ-ნაკლებად ანეგდოტის დონეზეა დაყვანილი. ამ ერთმანეთის დაცინვა-ქირქილს უვიცობაც უწყობს ხელს და „გონიერი" პროვოკაციაც. ანეგდოტების შეთხზვა კი, მოგეხსენებათ, დიდებული ვიცით. მშობელ დედას გავწირავთ, ოღონდ ერთი გულიანად გადავიხარხაროთ.

თავიდან ვთქვი და ახლაც ვიმეორებ: მეგრელმა ბავშვმა კარგად იცის, რომ ის ქართველია, მაგრამ, ვთქვათ, ქართლელმა ბავშვმა ხუსტად იცის ან საერთოდ არ იცის მეგრელის ქართველობა და, ჩვენდა სამწუხაროდ, უკვე მეგრელ სტუდენტს ზოგიერთი ქართლელ-კახელ-რაჭველი თანაჯგუფელისთვის ამისი მტკიცება სჭირდება. ვერც მათ დაადანაშაულებ, ვინაიდან არ უსწავლებიათ სკოლაში, ან ცუდად უსწავლებიათ, რომ მეგრული ენა მისივე ენაა — ძირძველი ქართულის განშტოება და, თუ ორი მეგრელის „ღლურტული" ყურს ჭრის რომელიმე მათგანს, ეს ისევ ჩვენი — ქართული თავმოუბმელობისა და უწვრთნელობის ბრალია. არადა, აქეთ მეგრელიც რჩება განაწყენებული. ის ფიქრობს: ძმა, რომელსაც ჩემი ენა ყურს ჭრის, სადაური ძმა არისო! ნურც იმას დავმალავთ, რომ არაქართველის შეგრძნება, ჩვენდა სამარცხვინოდ, მეგრელს აქ, დედაქალაქში უფრო უჩნდება, ვიდრე ზუგდიდში ან წალენჯიხაში. ეს შეგრძნება თბილისის ნებისმიერ უბანში, შენს მეზობლებში ჩამჯდარს ან სამსახურში — კოლეგებსა და მეგობრებს შორის შეიძლება დაგებადოს და კიდევ ერთი ნერვი ჩაგწყდეს. ქართველთა უმეტესობამ დიდებულად იცის, რა ქართველიცაა მეგრელი, მაგრამ ეს ყველაფერი მაინც ასე ზედმიწევნით რომ გესმოდეს — შენი ისტორია ზედმიწევნით უნდა იცოდე. ილიას, აკაკის, გოგებაშვილის წიგნებს ხშირად უნდა იღებდე ხელში. ივანე ჯავახიშვილის, ნიკო ბერძენიშვილის, პავლე ინგოროყვას, აკაკი შანიძის, ვარლამ თოფურიას, გიორგი ახვლედიანისა და სხვათა ნაშრომებს უნდა იცნობდე, თუმცა ამდენის ერთად ცოდნა ყველას არ მოეთხოვება და სანამ ის ერთადერთი და სავალდებულო, „აი ია"-სავით ყველასათვის ხელმისაწვდომი, მართალი წიგნი არ დაიწერება, შეიძლება უფრო გაგვიჭირდეს, არცოდნა ხვალ-ზეგისთვის ცოდვის ტოლფასი გახდეს!

ჩვენ თავად ვქმნით იმის პრეცედენტს, რომ ეჭვით შევხედოთ ერთმანეთის ურთიერთობას, სიყვარულს, ქართველობას... უსაფუძვლო ეჭვს ვქმნით ხოლმე და როცა უკან ცუდად გვიბრუნდება, ისევ ჩვენ გვიკვირს.

ვთქვათ, რუსთაველზე, მთავრობის სახლის წინ გამართულ მიტინგზე, სადაც ბატონი ზვიად გამსახურდია დგას, ხოლო ბატონ მერაბ კოსტავას სული იქაურობას წმინდანივით დაჰნათის, ბატონ გიორგი ჭანტურიას ასეთ შეკითხვას უგზავნის ვიღაც დემაგოგი: როგორ უყურებენ მეგრელები ეროვნულ მოძრაობასო. მართალია, ბატონი გიორგი მოჭრით პასუხობს: როგორც ყოველთვის, ავანგარდში დგანანო, მაგრამ, დამერწმუნებით, ასეთ დროს ყველა იქ მდგომ მეგრელს ხუნთქვა ეკვრის... ისე ნურავინ გამიგებს, თითქოს საკუთარი თავის ერთგულების გამო შეღავათებს ვითხოვდეთ. ქართველი ვარ და ჩემს ქართველობაზე ვინ უნდა მიგოროს კოჭი, ან რისთვის უნდა მომეფეროს, მაგრამ ნურც ალალ-მართალ სულსა და გულს დამიწვავენ-მეთქი, იმას ვამბობ! არადა, ასე როყიოდ წამოსროლილი სიტყვა ხშირად ბადებს წყენას, უნდობლობას, ცინიზმს...

ორი-სამიოდე წლის წინათ, დიდად პატივცემულ ბატონ ვახუშტი კოტეტიშვილს ზუგდიდის სახელმწიფო თეატრიდან მეგრული ხალხური პოეზიის საღამო მიჰყავდა, რომელიც ტელევიზიითაც გადაიცა. ბატონმა ვახუშტიმ ორსტროფიანი მეგრული ლექსი წაიკითხა ასეთი კომენტარით: სპარსეთში, ომარ ხაიამის საფლავთან, ლექსის წაკითხვა მთხოვეს სპარსულად და იმდენად არ გამჭირვებია, როგორც ახლა, ამ ლექსის წაკითხვისასო! ბატონი ვახუშტის ამბავი რომ ვიცი, დარწმუნებული ვარ, ეს სიტყვები იუმორით თქვა, მაგრამ მართალი გითხრათ, მაინც გული დამწყდა. რაც უნდა სპარსული ენის სპეციალისტი იყოს, (რატომღაც მინდა მჯეროდეს), ბატონი ვახუშტისთვის მეგრული უფრო მშობლიურია, მისია, ქართულია, ვიდრე სხვა, თუნდაც ასე „ტკბილხმოვანი" სპარსული. ანდა, ასეთი მაგალითი: უნიჭიერესი ქართველი მწერალი, ბატონი რევაზ ინანიშვილი, სკოლის მოსწავლე გოგო-ბიჭებში ჩამჯდარი, ტელევიზიით ამბობს: მე, ბავშვებო, კახელი მწერალი ვარო. ჩემთვის გასაგებია, რა კონტექსტში თქვა მან ეს, ისედაც ვინ არ იცის, რა ქართველიცაა ბატონი რევაზ ინანიშვილი და, საერთოდ, კახელი კაცი, მაგრამ მოდით და ერთი წუთით დავუშვათ, „მეგრელ" მწერალს თუნდაც ხუმრობით ეთქვა მსგავსი რამ... არც მეტი, არც ნაკლები, ანათემა არ ასცდებოდა! ის კი არა, იმისი შიშით, რაიმე არ დაგვწამონო, მეგრული ხალხური პოეზიის ბრწყინვალე ნიმუშები ვერ გადმოგვიქართულებია (რაც სვანებმა კარგა ხანია თარგმნეს და დიდებული საქმეც გააკეთეს; ერთიორად გამდიდრდა ქართული ფოლკლორი).

ძალით ვქმნით პრეცედენტსმეთქი!

არადა, ისიც ცნობილია, არა ერთი თანამედროვე პოეტი მეგრული ხალხური პოეზიით რარიგად სარგებლობს და ერის საუნჯეს ხელალებით ძარცვავს.

განაწყენება კი, იცოცხლე, მეგრელმა კაცმა იცის. ამის საბაბს, ნებით თუ უნებლიეთ, ვაძლევთ მას.

გააფხაზებული მეგრელები რომ არაო, ვინმეს საყვედურით დაცდება და აქაც ფიცხობს მეგრელი, ვინაიდან იცის, მარტო მისი მოგვარე, ვთქვათ, გურგულია ან კვარაცხელია კი არაა გააფხაზებული, გააფხაზებულია წერეთელი, თაყაიშვილი, ჩხეიძე, ლაღიძე... და ამ გვარების „მოშველიებით" თავს გააფთრებული იცავს. არადა, ეს ერთი შეხედვით მართალი სამდურავი, ისევ უმართებულოდ ესმის მას. იმიტომ, რომ გააფხაზებულია არა მეგრელი ან იმერელი, საერთოდ, ქართველი კაცი და ეს ასე უნდა ითქვას.

ახლა ბევრი გააფხაზებული ქართველი ცდილობს ეროვნების აღდგენას. ეს პროცესი უკვე დაწყებულია და აქ დიდი გონივრულობა გვმართებს, კი არ უნდა დავაფრთხოთ ისინი, ხელი უნდა შევუწყოთ, დავეხმაროთ. ქართველი კაცის გათათრების, გარუსების, გააფხაზების, გასომხების მიზეზებია საკვლევი, თუ გნებავთ — სატირალი, და არამც და არამც რაღაცრაღაცეების ერთმანეთზე წამოძახება!

ამ ბოლო დროს ერთი მტკივნეული, სამარცხვინო ცნობა გაჩნდა.

აფხაზეთში მცხოვრები მეგრული ეთნოგრაფიული ჯგუფის ნაწილი „მეგრელად" ჩაეწერაო. ეს ცნობა გუდაუთის გაზეთ „ბზიფშია" დაბეჭდილი, რაც, არა მგონია, სწორი იყოს, მაინცდამაინც „აქ" ნუ ვენდობით „ბზიფს!" თავად სამეგრელოში კი, თამამად შემიძლია განვაცხადო, ამისი მსგავსი არაფერი მომხდარა და მტკიცედ მწამს, არც არასოდეს მოხდება. რაც შეეხება აფხაზეთს, შეიძლება მართლაც მიჰყიდა ვინმემ ეშმაკს სული, ანუ ქალბატონ გაგულიას „თანამზრახველები" გამოუჩნდნენ, მაგრამ თითებზე ჩამოსათვლელი გაგულიები თუ დგებუაძეები სამეგრელოს არ აშინებს და არც ჩრდილს აყენებს. თუმცა, იმ გაგულია-დგებუაძეთა არსებობაც არანაკლებ ჩვენი ბრალია, გონიერი საქართველოს ბრალი!

რატომ?

როგორ ჩატარდა აღწერა-გამოკითხვა? ვინ ჩაატარა?! რა პროპაგანდა გავწიეთ?!

არაფერი არ ვიცით, თითქმის არაფერი!

არადა, როცა შენი მთავრობა „ამეებისთვის" ვერ იცლის, ანუ, როგორც იტყვიან, ყურზე სძინავს, მაშინ შენ — ქართული მწერლობა ხარ, მეცნიერება ხარ თუ სტუდენტობა — მეტი სიფხიზლე გმართებს. თუმცა, ამ ბოლო დროს არც უმაგისობაა და დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, დღეს უფრო უკეთაა საქმე სამეგრელოსა თუ ცხუმ-აფხაზეთში, ვიდრე გუშინ და გუშინწინ. უკეთესად იმიტომ, რომ უკვე იციან, ვინ მტერია და ვინ მოყვარე. როგორც იქნა, მიხვდნენ, შეიგნეს და გუშინ გააფხაზებული თუ გარუსებული, მშობლიურ ფესვს ძალად, მოტყუებით თუ შეუგნებლად მომწყდარი, დღეს გაქართველებას ცდილობს, ან საკუთარ წიაღს თავად თუ არა, შვილს მაინც უბრუნებს. მარტო ასეთ ფაქტს დავუკვირდეთ: ოჩამჩირის I საშუალო ქართულ სკოლაში, 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ, ორჯერ მეტი ბავშვი ეუფლება მშობლიურ ენას, ხოლო ზუგდიდის ოთხი(!) რუსული სკოლიდან ერთში ძლივს შეკოწიწდა პირველი დაწყებითი კლასი. ასობით ბავშვი ეროვნების დაკარგვას, გარუსებას გადაურჩა!

ისევ „განაწყენებულ" მეგრელს დავუბრუნდეთ.

საანეგდოტოდ სულაც არ გვაქვს საქმე, მაგრამ რაკი მეც ქართველი ვარ, უამისობაც არ შემიძლია.

მეგრელი ჰყვება: რა ხალხია ეს ქართველები! აფხაზი იძახის, არა ვარ ქართველი, თავი დამანებეთ! ესენი აძალებენ — ქართველი ხარო! მეგრელი თავს იკლავს — ქართველი ვარ, ხალხნო, მომხედეთო! შენ არა ხარ ქართველი! — პირს ძალით უმუწავენო.

არადა, საანეგდოტო კია.

ახლა კონკრეტულად ზუგდიდის შესახებ.

დღე არ გავა, ვინმე არ შემეკითხოს: რა ხდება ზუგდიდში?!

მე მათ თვალებში შიშს ვკითხულობ, თითქოს რაღაცა იციან და ამოწმებენ ან დაჯერება აღარ უნდათ. არადა, იმთავითვე ვიცი, უსაფუძვლოა ეს შიში! მოგონილია, ჭორია, თახსირი დემაგოგის მიერ შეთხზული!

ზუგდიდში ხდება ის, რაც მთელ საქართველოში და, მაშინ გვმართებს გლოვა და ტირილი, ეს ასე რომ არ იყოს! უფრო მეტიც, ქართული სული დუღს და გადმოდუღს, ქალაქი დასავლეთ საქართველოს ეროვნული მოძრაობის ცენტრად არის აღიარებული.

ამ დღეებში, სხვადასხვა პარტიებისა და სახალხო ფრონტის ერთობლივი მოთხოვნით, ქალაქისა და რაიონის ხელმძღვანელობა გადადგა. მათივე მოთხოვნით აღებულ იქნა ლენინის ძეგლიც.

სხვათა შორის, ამ ღირსშესანიშნავ დღეს იქ შევესწარი. „ბელადის" კვარცხლბეკიდან, წინწაწეული ფეხის წვერი რომ ედგა, ის ქვა გადმოვარდა და სხვას რომ მოეყოლა, ვერ დავიჯერებდი: საფლავის ქვა აღმოჩნდა, წარწერებიანი საფლავის ქვა!

რამდენად სიმბოლურია, თავად მკითხველმა განსაჯოს!

მოკლედ, იმ კუთხით, ანუ ეროვნული თვალსაზრისით, რისი შიშიც აქვს ბევრ ჩემს ნაცნობ-უცნობს, უსაფუძვლო შიშია! მეტიც: მტკნარი სიცრუე! ზუგდიდში ყველაფერი რიგზეა!

მართალი გითხრათ, სხვა რამეში კი უჭირს ზუგდიდს!

უჭირს ის, მთელი ათეული წელი პატრონი რომ არ გამოუჩნდა ქალაქს, ღირსეული გულშემატკივარი, ერისკაცი! თვითდინებაზე იყო და არის ყველაფერი მიშვებული და, რა თქმა უნდა, იძალა კორუფციამ, მექრთამეობამ, ქურდობამ, მკვლელობებმა...

დამერწმუნეთ, ერთი უცნაური, ზედმეტად ქართული ქალაქია ზუგდიდი.

რა ვუყოთ, თუ ზოგიერთი მასპინძლის ეზოში მხოლოდ კონდრისა და ყვავილების სურნელი გცემს, ზოგიერთში კი... ფულის სუნი!

არც ამაშია ზუგდიდი თუ ზუგდიდელები დამნაშავე. ეს, უპირველესად, ჩვენი გაუკულმართებული წყობის შედეგია და ასეც „ვიმკით".

სხვანაირად რა უჭირს ზუგდიდს!

სასტუმრო „ოდიშის" რესტორანში შეგიძლია შეხვდე ქამარში მაუზერგარჭობილ „კანონიერ ქურდს", რომელიც აკაკის „გამზრდელს" ზეპირად გეტყვის, ან ისეთ ინტელიგენტს გადააწყდე, რომელსაც სამი საათი შეუძლია კამათი, გიორგი ლეონიძის ლექსში: „ყორღანებიდან გნოლი აფრინდაა" სწორი თუ „გაფრინდა...

ზუგდიდი ერთი უტეხი სულის მართალი, ცოდვილი, თამამი, იდუმალი ქალაქია, ისეთი, საერთოდ, როგორიცაა ჩვენი ქალაქები!

**ზაურ კალანდია**

# „თავისუფალი ბრბოსაგან ისე, როგორც მეფისაგან"

## ინესა მერაბიშვილი

სიკეთისა და კეთილდღეობის ჟამს რომ ჩასძინებოდა ქართველობას, იქნებ გამოღვიძებაც სხვაგვარი გვქონოდა, მაგრამ რარიგ მოუწყობელ ხანაშიც ჩაიძინა ერმა, იმის შესაფერის ვითარებაშიც იღვიძებს ახლა.

„მტერისა შინა ყოლასა ლომისა გზასა ზედა წოლა სჯობიაო", — უთქვამს ქართველ კაცს, თუმცა, დღეს არც ერთი გვაკლია და არც მეორე.

„სიტლანქე მოდისო", — გვაუწყა გალაკტიონმა და მართლაც იგი ისე მოგვეძალა, რომ ლამის აღგვავა კიდეც პირისაგან მიწისა.

— დრო ნაღრძობია, ო, წყეულო განსაცდელო. რატომ მერგო მე წილად მისი განკურნება?! — შექსპირის ეს ცნობილი სიტყვები კი თითქოსდა ჩვენი დროის გმირისთვისაა განკუთვნილი.

მართლაც რომ, ნაღრძობ დროში მოგვიწია ცხოვრება. უყურებ განვლილ წლებს და უნებლიედ გიჩნდება აზრი, რომ ნაღრძობი იყო, უპირველეს ყოვლისა, ჭკუა ადამიანისა, მისი ზნეობა, სინდისი და, რაც მთავარია, სული მისი.

და აი, ამ ნაღრძობ დროში იმარჯვა იმ კაცთა კეთილმა გონმა და ნებამ, რომელთაც განგებამ მკურნალთა უკეთილშობილესი მისია დააკისრა.

დღეს საქართველო მიისწრაფვის ნათელი მომავლისაკენ, პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობისაკენ.

როგორ გვესახება ქართველი ხალხი და თითოეული ჩვენთაგანი ასეთ მომავალში?

ამ წერილის შექმნას საფუძვლად ის მოდელი დავუდეთ, რომელიც ერთ პოეტურ სტრიქონშია მოქცეული და რომელიც მსოფლიო მოქალაქემ — გენიალურმა ლორდ ბაირონმა თითქმის ორი საუკუნის წინ უსურვა კაცობრიობას, ადამიანს:

„მე მომავალი ასეთი მსურს სამაქვეყნისა —
თავისუფალი ბრბოსგან ისე, როგორც მეფისგან".

ბრბოს პრობლემა წინა ათეული წლებისგან განსხვავებით ახლა, გარდაქმნისა და საჯაროობის ხანაში წამოიჭრა განსაკუთრებული სიმწვავით. და ეს იმიტომ კი არა, რომ ბრბო უახლოეს წარსულში აღარ არსებობდა. არამედ, პირიქით, იმიტომ, რომ გაბატონებული იდეოლოგია მთელი ძალისხმევით მალავდა მას, რამეთუ „ხალხის" სახელით ნიღბავდა. თავისმოწონების გარეგნულ საჭიროებას მოკლებული ბრბო მთელ თავის პოტენციას შიდა ფესვების გაზრდაში ხარჯავდა და დღეს იგი იმ მავნებლურ ენერგიას წარმოადგენს, რომლის გადაშენება არცთუ ისე იოლი საქმეა. მიმდინარე პროგრესულმა მოძრაობამ კი აშკარად გამოავლინა მისი რაობა, მისი რეალური სახე.

თანამედროვე ქართული ენის ლექსიკონში „ბრბო" მრავალმნიშვნელოვან ცნებად არის წარმოდგენილი: „ადამიანთა უწესრიგო გროვა", „თავმოყრილი ხალხი", „არაორგანიზებული, ბნელი ხალხი". ანალოგიური მდგომარეობაა სხვა ენებშიც ამ ცნების აღმნიშვნელ სიტყვათა ირგვლივ. ნებისმიერი ენის მატარებელი საზოგადოებისათვის მტკივნეული და სამარცხვინოა სიტყვის ბოლო მნიშვნელობით არსებობა— „ბნელი ხალხი" ხომ უმძიმესი ბორკილია ყოველი ერისთვის, მთელი კაცობრიობისათვის.

როგორც ჩანს, „ბრბო" ისტორიულად ყოველთვის ერთ შინაარსს როდი იტევდა. თუ სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის მიხედვით ბრბო მხოლოდ „ჯართა სიმრავლეა", XIX ს-ში მას ბნელი და ადვილად მართვადი ხალხის მნიშვნელობით გამოიყენებენ: „ეს ბრბო მდუმარე, მარად მორჩილი. ნუთუ კვლავ ათრევს ბორკილს საზიზღარს?" (ი. ევდოშვილი). მეოცე საუკუნის გარიჟრაჟზე ბრბო ჩამოყალიბდა არა მარტო როგორც უმეცარი, არამედ როგორც უზნეო და აგრესიული ძალა — მ. ჯავახიშვილის ჯაყო იმდროინდელი ბრბოს პირმშოა, და არა მარტო პირმშო, იგი ჩვენი დროის ბრბოს წინაპარია.

როგორია ბრბოს სოციალური და ლინგვისტური სტატუსი ჩვენს სინამდვილეში?

როდესაც ლორდ ბაირონმა, უძველესი და გამოჩენილი გვარის შვილმა, ლორდთა პალატაში შედგა პირველად ფეხი, მისი მჭევრმეტყველური ნიჭი და მოქალაქეობრივი სინდისი მანუფაქტურის წინააღმდეგ აჯანყებულ იმ ფეიქართა დასაცავად აღიმართა, რომელთაც პარლამენტში შემოსული ბილის თანახმად სიკვდილით დასჯა ელოდათ. ბაირონის ასეთი მოქმედება, რასაკვირველია, იმას არ ნიშნავდა, არისტოკრატობაზე ხელს ვიღებ და ბრბოს ვუერთდებიო. არამედ იგი იქით იყო მიმართული, რომ მისთვის ჩვეული კაცთმოყვარული ლოგიკით პროგრესის წინააღმდეგ ამდგარი მდაბიო ხალხი რამენაირად ეხსნა ბრბოს მდგომარეობიდან პარლამენტის თვალში.

როგორ პარადოქსადაც არ უნდა ჟღერდეს და გამოიყურებოდეს, ყოველი, ფაქტია, რომ ბრბომ დღეს ჩვენსავე პარლამენტში გამოავლინა თავი. საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატთა მეორე ყრილობაზე იგი, როგორც უმეცარ და მავნებელ აგრესორთა სიმრავლე, წინ აღუდგა არა მარტო შიშველ სიმართლეს, არამედ თვით კაცობრიობის გადარჩენის გლობალურ საკითხებს. მოაზროვნე ქართველმა უმალ სწორად განსაზღვრა ასეთ მოვლენათა შინაგანი რაობა.

თუ ადრე მორჩილი ბრბო ბოლშევიკტურმა მოძრაობამ ბრმა იარაღად გამოიყენა, შემდგომში ბრბო თვითონ მოგვევლინა რეაქციულ ძალად და ახლა პროგრესის თანაბრად იბრძვის მის წინააღმდეგ. იბრძვის, როგორც ცნობიერად, ისე ქვეცნობიერად. ცნობიერად როგორც მეტ-ნაკლები ძალაუფლების რეალური მფლობელი, ხოლო ქვეცნობიერად, როგორც შთამომავალი სულიერი თუ გონებრივი უმეცრებისა და სიბნელისა. სოციალურად ბრბო იერარქიულია. ამ იერარქიის ყოველ ცალკეულ საფეხურზე ბრბოს თავისი საკმარისი პრეტენზია აქვს პროგრესის მიმართ. ყოველივე ამას კი, მოგეხსენებათ, ისტორიული საფუძველი გააჩნია. სახელმწიფო, სადაც მიწასთან გასწორდა სარწმუნოება, სადაც სამოცდაათი წლის მანძილზე, როგორც არაერთხელ აღინიშნა, უღმერთობა ოფიციალურ იდეოლოგიად იყო მიჩნეული, სადაც უმეცრებამ ცოდნა ჩაქოლა, სადაც მოირღვა და მოიშალა განათლების მიღების ღრმად ტრადიციული გზა, სადაც ყოფითი კეთილდღეობა, როგორი ნიჭისა და შრომის ფასადაც არ უნდა ყოფილიყო იგი მიღწეული, ფართო მასების მტრობის ობიექტს წარმოადგენდა (და წარმოადგენს კიდეც დღესაც), სადაც წერა-კითხვის საყოველთაო გავრცელებამ პრაქტიკულად დამღუპველი სიცრუე გაავრცელა, სადაც მატერიალური დოვლათისა და სიმდიდრის შექმნას მხოლოდ უზნეო მომხვეჭელობა მართავდა, გზას აძლევდა სიბნელესა და სიტლანქეს საზოგადოების ნებისმიერი შრეებისაკენ. არჩევანი კი ცალკეული ინდივიდის პრაქტიკულ შესაძლებლობებსა და უნარზე რჩებოდა. ასეთ პირობებში უდაოა, უჭირდა სათნოებას. უჭირდა სიკეთეს, ნიჭსა და სილამაზეს, უჭირდა კაცურ-კაცობას, რამეთუ უჭირდა სამართალს, უჭირდა სარწმუნოებას... ყოველივეს უჭირდა არა მარტო სულიერად, არამედ ფიზიკურადაც.

ბრბო, როგორც ენობრივი ნიშანი, აუცილებლად მოიცავს შემდეგ სემებს, ანუ მნიშვნელობის უმცირეს ელემენტებს: „სიმრავლე", „ვულგარიზმი", „დაბნეულობა", „მორჩილება", „უწესრიგობა", „შური". „უმეცრება", „სიბნელე", „მავნებლობა", „აგრესიულობა". „მდაბიოობა"... იმისდამიხედვით, თუ როგორია სიტყვის ურთიერთობა რეალურ სინამდვილესთან, ნებისმიერი სიტყვის შემთხვევაში, მასში იცვლება ხოლმე სემათა რელევანტურობა, ანუ ფასეულობა. ზოგიერთი სემა წამოიწევს წინა პლანზე და განაპირობებს კიდეც მის კონკრეტულ მნიშვნელობას ეპოქის, დროისა თუ ცალკეული სიტუაციის შესაბამისად.

საჯაროობის პერიოდში გარკვეულმა წრეებმა ბრბო უწოდეს მოიტინგეებს, ბრბო უწოდეს თვით 9 აპრილის ტრაგედიის მონაწილეებს. ვგონებ, საკამათო არცაა, რომ ასეთ ფართო თავყრილობაზე მოსული ყოველი მოქალაქე ვერ იქნება ყოველთვის ხალი და დამოუკიდებლად მოაზროვნე, არც იმის დაშვება შეიძლება, რომ ყოველ მათგანში ბრბოს ინსტინქტის არსებობა იქ მოსვლით გამოირიცხებოდეს. შორს ვართ ასეთი გულუბრყვილობისაგან. მაგრამ ნუთუ შეიძლება კაცმა ბრბოს სახელით მოიხსენიოს სიმართლის სათქმელად თუ მოსასმენად შეკრებილი ხალხი, თუ მათ სულს ასე მოსწყურდა თავისუფლება, თუ ყოველი სიყალბისა და ბოროტების უკუგდებისკენაა მიმართული და ლიბოდ კი ერისკაცობა და პროგრესული აზროვნება უდევს? ხალხის ამ სახელით შერაცხვა იმდენ ცინიზმსა და კაცთმოძულეობას იტევს, რომ მისი ავტორი თავს ვერ იმართლებს, აქ ბრბო „თავმოყრილი ხალხის" მნიშვნელობით ვიხმარეო. ადამიანში იმდენად იმძლავრა მავნებლურმა ფსიქიკამ, იმდენად წამოიწია ბრბოს ცნებაში ბნელი ხალხის შინაარსმა, რომ აშკარად საქმე გვაქვს არა ადამიანთა თავმოყრასთან, არამედ მხოლოდ ადამიანთა სიმრავლესთან და მათი აზროვნების წესთან, სწორედ აზროვნების მოშლაზე მიუთითებს ბ-ნი ალ. ჯავახიშვილი, როდესაც 30-იანი წლების ბრბოს იხსენებს: „ხელისუფლება კარგად გრძნობდა, რომ არსებობდა ჩაკუჩებული, ჩუმი წინააღმდეგობა. ამიტომაც წამოიწყეს რეპრესიები. პატარა იმპულსია საჭირო, რომ ხალხი ბრბოდ იქცეს. ეს იმპულსი ზევიდან იყო მოცემული. წარმოუდგენელია, რაც მაშინ ხდებოდა. არავითარი ლოგიკა აღარ არსებობდა. არ დამავიწყდება 1936-37 წლებში რა ატმოსფერო იყო უნივერსიტეტში... სრულიად ნორმალური ადამიანები ერთბაშად შეიცვალნენ, ერთმანეთს აბეზღებდნენ... ეს იყო შეშლილი ადამიანების საზოგადოება".

ეს იყო შურსა და მავნებლობაში ტაბუახსნილი ბრბო, რომლის რეალური სახე აღარ ემთხვევა ადამიანთა უწესრიგო გროვას და თავმოყრას. როგორც სიმრავლე იგი სულის დაცემითა და აზროვნების მოშლით განისაზღვრება და აქ უკვე მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ ამ სიმრავლის ერთეულები როგორ არიან სივრცეში განლაგებულნი.

ცოტაა იმის თქმა, რომ საკავშირო პარლამენტში ჩვენი დეპუტაცია საუკეთესო სახით იყო წარმოდგენილი. განა ის ოსი და ის აფხაზი, ვინც იქ უმუხთლა ყოველივე წმინდას ადამიანში, ჩვენი ტკივილი არაა? განა მათი დღევანდელი პოზიცია ბრბოსეულ უმეცრებასა და დაბნეულობას არ გამოხატავს? განა მტაცებლური ინსტინქტი, ერთა შორის იქნება ის გამოხატული თუ ოჯახის წევრებს შორის, მტაცებლის სულისა და გონების განვითარების უმდაბლეს დონეზე არ მიგვანიშნებს?

განა უკვე ერთ მუშტად შევიკარით და მტერი აღარ ჰყავს ქართველთა შორის ქართულ ნიჭსა და სინდისს? ბრბო თუ არა, მაშ რა ვუწოდოთ იმ ქართველებს, ამ ძნელბედობის ჟამსაც რომ არ შედრეკილან არც ღმერთისა და არც საკუთარი სინდისის წინაშე და პირადი ამბიციების ფასად კვლავ სწირავენ ძველებურად მავანსა და მავანს? ბრბო რომ არ არსებობდეს, ხომ აღარც იმის შიში იარსებებდა, ვაითუ გარდაქმნას ფეხი დაუცდეს და კვლავ რეპრესიებმა იმძლავრონ, ბილწ კორუფციაზე რომ აღარაფერი ვთქვათ. განა ადამიანის დღემდე გაბატონებული ბიუროკრატიული ჩაგვრა არ მეტყველებს მთელი სიგრძე სიგანით ბრბოს არსებობაზე როგორც მჩაგვრელის, ისე ჩაგრულის მხრიდან, თუ ეს უკანასკნელი შეეგუა და აჰყვა კიდეც მას? რა უხერხულიც არ უნდა იყოს ამაზე საუბარი, განა საზოგადოება, სადაც ადამიანები ერთმანეთს ნაგავს ხან თავზე და ხან ფეხებში აყრიან, ბრბოს ინსტინქტით არ სუნთქავს? ბოლოს და ბოლოს, ბრბოდ თუ არა, აბა როგორ შევრაცხოთ დღეს იმ ქართველთა კოლექტივები, მომავალ პარლამენტარებად არამც თუ დეპუტატობისათვის შეუფერებელი, ყოვლად მიუღებელი კანდიდატურები რომ წამოაყენეს. შეაცდინეს და გავლენის ქვეშ მოაქციეს? ალბათ, ასეც არის.

„ბნელთა სიმრავლე, განურჩევლად მათი სოციალური მდგომარეობისა და საზოგადოებრივი მოქმედებისა" — ასე გამოიყურება დღეს, ჩვენი აზრით, ბრბოს ცნება და ასეთია მის უახლესი ლექსიკური მნიშვნელობა. ამ მძიმე ბორკილისაგან სჭირდება თავის გამოხსნა საქართველოს თავისუფლებისაკენ მიმავალ გზაზე. როგორ ეკონომიკურ და პოლიტიკურ დამოუკიდებლობასაც არ უნდა მივაღწიოთ, როგორი ხალი აზრიც არ უნდა მართავდეს ჩვენს ყოფიერებას ჩვენ ვერ შევიქმნებით თავისუფალნი. თუ, როგორც ერი, ბრბოს მატარებელნი დავრჩით. თუ ჩვენს ეკონომიკას, როგორი მაღალი მაჩვენებლებითაც არ უნდა გვახარებდეს ის, ზნეობრივად არ მოვუარეთ, როგორც ზღვა კოჭზით, ისე დაგვცლევა ისიც. ჩვენი დღევანდელი გათიშულობისა და არასაკმარისი კონსოლიდაციის ერთ-ერთი მიზეზიც, ჩვენი რწმენით, სწორედ ბრბოს არსებობაში მდგომარეობს, ვინაიდან იგი, თავის შინაგანი მრწამსით უმეცარი, დაბნეული, მაგრამ პრეტენზიული, საზოგადოების ყველა ფენაშია დაბუდებული.

სათქმელს, იმედია ისე არ გაგვიგებთ, თითქოს ნახევარი საქართველო ბრბოდ წარმოგვედგინოს. სწორედ საქართველოსთანა რაინდული სულისა და პოეტური აზროვნების ქვეყანას არამც და არამც არ ეკადრის ის მდაბიო ხასიათი, რომელიც მას ბოლო ხანებში მიეკრა და მიეტმასნა. საქართველოს გადაულებლად სჭირდება ამ მავნე ენერგიისაგან თავის მაქსიმალური გამონთავისუფლება.

მძიმე ცხოვრებიდან გახლდათ მოსული ანტონ ჩეხოვი და ამიტომაც ხშირად ვიხსენებთ ხოლმე, მის გამონათქვამს: «Я по-капле выбиваю из себя раба».

ჩვენც გვაფრთხილებდა თითქოს ჩვენი წინაპარი, მონად გახდომა ადვილია, კაცად გახდომაა ძნელიო. და მაინც მოვექეცით მონობის უღელში. მაგრამ, ვაი, რომ, დღეს მარტო მონა არ გვყავს ჩვენი სულიდან გამოსადევნი. ჩვენში ხომ ტირანიც კარგადაა დაბუდებული. ამიტომაც სწუხს ბ-ნი ვახტანგ გოგუაძე — „ტირანულად ვესხმით თავს ერთიმეორის განსხვავებული აზრის გამო" და „ტირანულადაც ავიშვით და არა დემოკრატიულად"-ო.

საყოველთაო პროგრესის ფონზე ჩვენ იმდენად ვართ ბრბო, რამდენი მონა და ტირანიცაა ჩასახული ჩვენში. მაგრამ, აი, აქ კი მისი წვეთი-წვეთ გამოდევნა აღარ გვიშველის. წავიდა ის დრო, როცა სულმნათი აკაკი გვაფრთხილებდა: „ჩონგური საქართველოა, სიმები ჩვენ ვართ ყველაო, ერთი მათგანიც რომ გაწყდეს, მაშინვე უნდა შველაო". ჩვენ ბლუჯა-ბლუჯა დაგვწყვიტეს და დაგვაცილეს ერთმანეთს. ახლა მხოლოდ დიალექტიკური ნახტომი თუ გვიშველის და ეს ნახტომი ჩვენს აზროვნებაში უნდა მოხდეს, პირველ ყოვლისა. როდესაც ამ რამდენიმე წლის წინ ბ-ნი მერაბ მამარდაშვილი მოვიწვიეთ უნივერსიტეტში ლექციების წასაკითხად, მან „აზროვნების ესთეტიკის" კურსი შემოგვთავაზა, რის მიმართაც გულგრილი ვერ დარჩებოდა ვერც ერთი მოაზროვნე. ხომ არ შემოგველო „აზროვნების ესთეტიკის" პარალელურად „აზროვნების ჰიგიენის" კურსი და იმ ზოგადსაკაცობრიო და ჰუმანური თვალსაწიერიდან მიგვეწოდებინა ფართო საზოგადოებისთვის, რა თვალსაწიერიდანაც პროგრესულმა კაცმა მორალური ჰიგიენის ცნება შემოიტანა და იწამა, რომ ადამიანმა სუფთად უნდა ატაროს არა მარტო ტანსაცმელი და სხეული, არამედ აზრებიც.

საყოველთაო რწმენამ უნდა აღამაღლოს ყოველი ჩვენგანის სული და საყოველთაო განათლებამ უნდა შეძლოს ადამიანთა გონების განათება. ჩვენმავე სინათლემ უნდა გააპნიოს ჩვენივე ბნელი, მსხვერპლადაც რომ შეეწიროს მას. ეს პროცესი უკვე დაიწყო საქართველოში და მას ახლა უნდა მხარის აბმა. კაცის ღალატი დღეს ხალხის ღალატია, რაც დღევანდელ დღეს ვერც უძრაობით აიხსნება, და ვერც გაურკვევლობით. საკუთარ თავზე და საკუთარ სინდისზე პასუხისმგებლობა ვერ იქნება დღეს ჩვენთვის საკმარისი. მხოლოდ ქრისტიანულ შემწყნარებლობასა და კეთილშობილურ თანადგომაშია ჩვენი მომავალი. ქართველი დედისათვის ის არ კმარა, მარტო საკუთარი შვილი ზარდოს კეთილსინდისიერად. გვერდით სხვა შვილიც ბევრია მისახედი. მწამს, გვეყოფა ენერგია, რომ სითბო შინ და გარეთ თანაბრად გავანაწილოთ. რა გინდ კარგი შვილიც არ უნდა გაზარდოს დედამ, თუ გვერდით ბოროტება იზრდება, სიკეთე განწირულია. განა თუნდაც ამ მოკლე ხანში ცოტა სამაგალითო დედამ ჩაიცვა ძაძები სამაგალითო შვილზე გვერდით გამოზრდილი დანაშაულის გამო? ალბათ ყველამ დავაკელით სხვის შვილს სითბო და ყურადღება.

დღეს ჩვენ ჩვენი რწმენა გვაშვენებს. ხვალ რწმენასთან ერთად დროა საქმემაც დაგვამშვენოს. ჭეშმარიტად თავისუფალი უნდა გახდეს საქართველო, თავისუფალი ბრბოსგან ისე, როგორც მეფისგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩვენი მილოცვა

# რევაზ მიშველაძე — 50

დაბადებიდან 50 წელი შეუსრულდა ცნობილ ქართველ პროზაიკოსსა და ლიტერატურათმცოდნეს რევაზ მიშველაძეს. ამასთან დაკავშირებით საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობამ იუბილარს გაუგზავნა მისალმება:

**ბატონო რევაზ!**

**საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა გულმხურვალედ მოგესალმებათ და გილოცავთ ღირსშესანიშნავ თარიღს თქვენს ცხოვრებაში — დაბადების 50 და შემოქმედებითი მოღვაწეობის 30 წლისთავს.**

**1960 წელს ჟურნალ „ცისკარში" გამოქვეყნდა თქვენი პირველი ნოველები. მას შემდეგ ნაყოფიერ ლიტერატურულ საქმიანობას ეწევით.**

**ქართველი მკითხველი დიდი ინტერესითა და მოწონებით შეხვდა თქვენს ისეთ პროზაულ კრებულებს, როგორიცაა „შიგნიდან გატეხილი ციხე", „გზა", „გალიაში რომ გაგზარდე", „ელდა", „კაცნი" და სხვა. ამ კრებულებში დასმული სოციალური, ეროვნული თუ პოლიტიკური პრობლემატიკა აღელვებს ჩვენს თანამედროვეს და ესეც განაპირობებს თქვენი შემოქმედების პოპულარობას. თქვენი მახვილი კალამი შეუფარავად ახახავს ცხოვრებისეული სინამდვილის ჩრდილოვან მხარეებს, რითაც საზოგადოებრივ ცხოვრებაში დამკვიდრებულ მანკიერ ტენდენციებს ებრძვის, ცდილობს მკაცრ სატირულ ფერებში წარმოსახოს ის ნეგატიური მოვლენები, რამაც ფეხი მოიკიდა ჩვენს ყოველდღიურ ყოფაში.**

**თქვენი ნოველები თარგმნილია რუსულ და საბჭოთა კავშირის სხვა ხალხთა ენებზე, აგრეთვე, უცხოურად.**

**ჩვენთვის კარგადაა ცნობილი თქვენი მეცნიერული მოღვაწეობაც. 1966 წელს მონოგრაფიისათვის „1905-1907 წლების სატირული ჟურნალები" ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის წოდება მოგენიჭათ, ხოლო ფუნდამენტური გამოკვლევისათვის „თანამედროვე ქართული პოემა" 1975 წელს დოქტორის წოდება. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უახლესი ქართული ლიტერატურის კათედრის გამგე, რამდენიმე სამეცნიერო საბჭოს წევრი ენერგიულად იღვწით ქართული ლიტერატურათმცოდნეობის განვითარებისათვის.**

**აქტიური საზოგადო მოღვაწე ბრძანდებით. ხართ საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის, საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების, კულტურის ასოციაცია „პეგასის" პრეზიდიუმის წევრი. სხვადასხვა დროს მუშაობდით ალმანახების „პირველი სხივისა" და „კრიტიკის" მთავარ რედაქტორად.**

**დაჯილდოებული ხართ საქართველოს სსრ სახელმწიფო, ნიკო ლორთქიფანიძისა და მწერალთა კავშირის ყოველწლიური პრემიებით.**

**კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს, ბედნიერებას და ახალ შემოქმედებით მიღწევებს გისურვებთ.**

**საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა**



# ლამაზი დღე

კაცს ღმერთი მაშინ ახსენდება, როცა უჭირს... დღევანდელი საქართველო ერთიანად მიიქცა ქრისტიანობის წიაღისაკენ — ეკლესიისაკენ. ბევრი დადის ეკლესიაში... ბევრი ანთებს სანთლებს... პირჯვარს იწერს... ლოცულობს...

ზოგიერთ ასეთ მორწმუნეს, ჩვენდა სამარცხვინოდ, შეუძლია სიავეც ჩაიდინოს; გაიმეტოს, შეურაცხყოს მოყვასი... ახლა, როცა საზოგადოებრივი ატმოსფერო და ადამიანთა ფსიქიკა ნერვული სტრესებით არის შერყეული, წამალივით გვჭირდება ქრისტიანული საქციელი, მითუმეტეს, თუ საქმე მწერლებს — ადამიანთა სულის ქურუმებს ეხებათ. ქრისტიანობის ღმერთი, უპირველეს ყოვლისა, ზნეობის ღმერთია და ყოველი მწერალი ღმერთის — სამყაროს ამ დიდი ავტორის პაწაწკინტელა თანაავტორია. ცუდ სახიათზე ვდგები და გული მტკივა, როცა მწერლები ერთმანეთს იმეტებენ და განაჭიქებენ.

მე ამ პატარა მისალმების წერილში არავის გამოსარჩლებას არ ვაპირებ, მაგრამ დიდი გულისტკივილით მინდა ყველას გასაგონად ვთქვა: ქრისტიანობისაკენ მიქცეული ერის შვილებს არამც და არამც არ გვეპატიება ერთმანეთის სიძულვილი, გაავება. სიძულვილის გამჟღავნება საკუთარი თავის დამცირებაა ბოლოს და ბოლოს. ჭეშმარიტი მწერალი ზნეობის განკვეთილს უნდა იძლეოდეს, როგორც შემოქმედებით, ისე ცხოვრებითაც.

აქ მინდა ერთი შემთხვევა გავიხსენო დღევანდელი იუბილარის ბიოგრაფიიდან, როცა ბატონი რეზო დამწყებ მწერლად ითვლებოდა, მას კონფლიქტი მოუხდა ერთ გამომცემელთან. მე საჯაროდ დავიცავი ახალგაზრდა, ორჯერ ინფარქტგადატანილი და, რაც მთავარია, მრავალი მშვენიერი მოთხრობის ავტორი-გამომცემელი. ჩემი საქციელით განაწყენებული რეზო კარგახანს არ მესალმებოდა. მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს (მართლაც მშვენიერი დღე იყო) რეზო გადამეხვია, გადამკოცნა... დამდურება რა საკადრისიაო, პირიქით მისაყვედურა.

თუ რატომ გავიხსენე ეს შემთხვევა, ყველა მიმიხვდებით: ახლა ძალიან ჭირს დათმობა... მიტევება... ახლა გვეადვილება და არცა გვრცხვენია ერთმანეთის სიძულვილისა. მართლაც რთულ დროში ვცხოვრობთ. ახლა მტრობას და სიძულვილს არ ვერიდებით, ახლა ყოველგვარი უხერხულობის გარეშე შეგვიძლია მეგობრებს ვუსაყვედუროთ, ერთმანეთს რატომ ვაძლევთ სალამს, რატომ ვსხდებით სუფრასთან ერთმანეთის მოძულეებთან, რატომ ვუძღვნით ლექსს ან რატომ ვესალმებით დაბადების დღეზე. მაგრამ რა ქნას იმ კაცმა, ვისაც მტრობა არ უნდა, ვისაც სიძულვილისა რცხვენია და ქრისტიანული ცხოვრება უნდა?

„ადამიანი ადამიანისათვის მგელიაო" — ამბობდნენ ადრეულ ხანაში. ახლა ამბობენ: ადამიანი ადამიანისათვის ამხანაგი მგელიაო.

აი, ამ მგლობისა უნდა რცხვენოდეს ყველა გონიერ ადამიანს და, პირველ ყოვლისა, შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებულთ, რამეთუ სინამდვილეში ადამიანი ადამიანისათვის ყოველთვის ადამიანია ანუ ღვთის ხატია, თუ ქრისტიანობის მორალს ვერწმუნებით.

სხვათაშორის, ამ მგლობაზე კამათისას ერთმა ახლობელმა შემნიშნა: მგლის თავზე სახარებას არ კითხულობენო, მაშინ ვერაფერი ვუპასუხე, ახლა კი მის გასაგონად ვამბობ: განა ძაღლი (ადამიანის ყველაზე მოყვარული და ერთგული არსება) მოშინაურებული მგელი არ არის?! ეს პასუხი ზოგს ღიმილს მომგვრის, ზოგს შესაძლოა საგულისხმოდაც ეჩვენოს. მწერლობა თავის სულისკვეთებით, თუ საკითხს გავამარტივებთ, მგლებზე (მგლობაზე) მონადირეობაა — კრიტიკული მწერლობა, ან მგლების მომთვინიერებელია — რომანტიკული მწერლობა.

მიტევების, სულგრძელობის, სიყვარულის ნიჭი ყველაზე დიდი ნიჭია. ამ ნიჭის გარეშე არ არსებობს ჭეშმარიტი მწერლობა. ამ ნიჭის გარეშე გაბმული ტანჯვაა კაცთა ცხოვრება. მათ არ იციან, რა არის სულიერი შვება ანუ შინაგანი სინათლე.

რაც შეეხება ბ-ნ რეზოს — ჩვენს იუბილარს, მისთვის არაფერი ადამიანური უცხო არ არის. იგი მტრიანი კაცია (ცუდს რად უნდა მტერობა), ცხოვრებაში მოურიდებელიცაა და თანამგრძნობელიც. უტეხიც და გამგებიანიც. მწერლობაში — უშიშარი და შეუპოვარია. აქაც და იქაც — მოიერიშე, პირში მიქმელი, აქაც და იქაც — საკუთარი მტრის მომმრავლებელი. ეს მისი ბედისწერაა და არა პოზა ან კაპრიზი. უყვარს მწარე სიმართლე, ასე ებრძვის ცხოვრებისეულ თუ კაცთა მანკიერებებს.

რეზო მიშველაძე ერთ-ერთი ყველაზე უფრო პოპულარული მწერალია დღევანდელ საქართველოში.

მისი შემოქმედება ბჟხრი მახვილია; მხილების, უარყოფის, განკვეთის სულისკვეთებით ალესილი და სიმართლის სახელით ალმართული.

ძველ საქართველოში ერთი კარგი ჩვეულება ჰქონდათ ქრისტიანებს: აღდგომის დღეს ერთმანეთს გადაეხვეოდნენ და გადაჰკოცნიდნენ მომდურავები და არა მარტო ისინი... მტრებიც კი!

როცა ჩვენ ერთმანეთს მივუტევებთ, ის დღე იქნება ჩვენთვის აღდგომის დღე ანუ ყველაზე ლამაზი დღე.

ღმერთმა გვიმრავლოს ასეთი დღეები!

**შოთა ნიშნიანიძე**

# ნოველისტი, მეცნიერი

რევაზ მიშველაძეც ერგასისისა გახდა. ნამდვილად არ მეგონა, ამდენისა თუ იყო. გუშინდელივით მახსოვს მისი უნივერსიტეტის წლები, ფეხის ადგმა მწერლობასა და მეცნიერებაში. ცოცხალი, გაბედული, იუმორლალი სიტყვა-პასუხი, პირველი თვითმყოფი ნოველები, მაშინვე რომ ყურადღება მიიქციეს. დღის ის ერთ-ერთი პირველი მწერალთაგანია, რომელიც ავადსახსენებელი მბრძანებლურ-ბიუროკრატიულ ბოროტებას იმ დროს გადაელობა წინ, როცა ყველაფერი რიგზე დაწყობილ-დალაგებული გვეგონა და თავს არხეინად ვგრძნობდით. ვის არ ახსოვს, თუ ამ მიზნით მან, კალამთან ერთად, რა მარჯვედ გამოიყენა ტელეტრიბუნა; ვის დაავიწყდება მისი თამამი გამოსვლები მწვავე სადღეისო საკითხებზე, ხშირად ერთობ მსუსხავი და სარისკოც. დღეს ამ თემებზე ბაასით კაცი ვეღარავის გააკვირვებს. მაშინ კი სხვა დრო გახლდათ. ბედისწერას ადვილად შეეძლო — ეუკუღმართა.

სამწუხაროა, რომ რევაზ მიშველაძე ერთნაირი ენერგიით მოღვაწეობს მწერლობაშიცა და მეცნიერებაშიც. მან დამსახურებულად დაიმკვიდრა თანამედროვე ნოველისტის ღირსეული ადგილი. მწერლის თვალსაწიერი ხვდება სილურ ქვეყნის სიავკარგეს. მან გაბედულად შეიხედა ცხოვრების მივარდნილ კუნჭულებში, ასახა ძველიც, ახალიც, მომავალიც, განვაცდევინა წუხილიც, სიხარულიც, ტყუილიც, მართალიც. სათქმელი გვითხრა უბრალოდ, ნოველის სტილით. უთუოდ ამან განაპირობა მისი მშვენიერი ნოველების პოპულარობა და მკითხველის გულის მოგება. ყოველივე ეს მე მწერლის საშურველ წარმატებად მიმაჩნია. ჩემი ცხოვრების თითქმის ნახევარი დრო ხალხური ნოველის ფენომენის შეცნობასა და მის ლიტერატურულ ნოველასთან ურთიერთობის შესწავლას მოვახმარე და მიმაჩნია, რომ ლიტერატურული ნოველა ხალხური ნოველის პირმშოა. უკანასკნელმა შეამზადა ლიტერატურული ნოველის წარმოქმნისა და განვითარების ნიადაგი. საგულისხმოდ მიმაჩნია იმის ხაზგასმა, რომ ამ შეხედულებას აცხოველებს ნოველისტთა მემკვიდრეობა. რევაზ მიშველაძის ნოველებში, კერძოდ, ვლინდება ხალხურ ნოველასთან არა მარტო სტრუქტურული სიახლოვე, არამედ მისი სურნელება და სითბო, ბოროტებასთან შეურიგებლობა და სიკეთესთან ალერსი. სატირისა და ჩვენეული იუმორის სტიქია. ხალხური ნოველის სატირისა და იუმორის ტრადიცია ნაყოფიერად ამაღლდა მწერლისეულ ნოველაში.

ავტორი საოცარი გულმოდგინებით უვლის ქართულ სიტყვასა და ფრაზას. კუთხეებში მთვლემარე ბევრ ალალ სიტყვას მტვერი მოსწმინდა, ფეხზე წამოაყენა, სული ჩაუდგა და სალიტერატურო ენის სამსახურში ჩააყენა. შეუნარჩუნა ხალხური ელფერი, სიმსუბუქე და სინაზე.

ერგასისი წელი, რევაზ მიშველაძემ რომ უკან ჩამოიტოვა, მღელვარე და აფორიაქებული ეპოქა იყო ერის ცხოვრებაში. გამოცოცხლების გზაზე დამდგარი ქართველობა დღეს ძალებს იკრებს და იბრძვის დიდი ეროვნული იდეალების ხორცშესასხმელად. რევაზ მიშველაძეს თავისი წვლილი შეაქვს ამ სახალხო ბრძოლაში. ღმერთმა ხელი მოუმართოს!

**ალექსანდრე ღლონტი**

# პიკეტი რეაქტორთან

რამდენიმე დღეა. მიმდინარეობს პიკეტი მცხეთა-თბილისის გზის გასაყართან, სოფელ მუხათგვერდთან, ატომური რეაქტორის მიდამოებში. აქცია მოეწყო და გრძელდება საზოგადოება „მცხეთელის" თაოსნობით. მოპიკეტეები მოითხოვენ ატომური რეაქტორის ლიკვიდაციას. გამოთქვამენ სხვადასხვა მოსაზრებებს... მეცნიერთა ერთ ნაწილს გამართლებულად მიაჩნია რეაქტორის არსებობა, რადგან მის გარეშე შეუძლებელია თანამედროვე მეცნიერების ისეთი მნიშვნელოვანი დარგების განვითარება, როგორიცაა დაბალტემპერატურული რადიაციული ფიზიკა, მაგნიტური ნეიტრონოგრაფია, ნეიტრონულ-აქტივაციური ანალიზი და სხვა. სპეციალისტების განცხადებით, რეაქტორის მუშაობას არავითარი მავნე შედეგი არ მოჰყოლია, დღემდე გარემოს გაბინძურებას არ ჰქონია ადგილი და რეაქტორის რადიაციული გამოსხივება მხოლოდ 15 მიკრორენტგენია საათში.

ამასთან დაკავშირებით, მკითხველისათვის ინტერესმოკლებული არ იქნება, თუ ბოლო წლებში მცხეთის რაიონის მცხოვრებთა სიმსივნურ და სხვა დაავადებათა ნუსხას მოვიყვანთ: „1987 წელს ამ დაავადებით (ავთვისებიანი სიმსივნით) გარდაიცვალა 39, ხოლო 1989 წელს — 59 ადამიანი. ყოველწლიურად რაიონში საშუალოდ 4-6 ადამიანი ლეიკოზით დაავადებულია, რომელთაგან 50% ასევე ყოველწლიურად იღუპება. იზრდება ანემიით დაავადებულთა რიცხვიც. 1987 წელს რაიონში აღირიცხებოდა 70 ანომალიური ავადმყოფი, მათ შორის 25 ორსული. ყოველწლიურად იზრდება პათოლოგიურ ორსულობათა რიცხვიც. 1987 წელს რაიონში აღინიშნა 35 ასეთი შემთხვევა. 1989 წელს — 48. ყოველივე ეს გავლენას ახდენს შობადობაზე.

ეკონომიური პრობლემებისთვის უპირატესობის მინიჭებამ, შედეგად ის მოიტანა, რომ საქართველოს ზოგიერთ რეგიონში ქართველ კაცს ლამისაა სამუდამოდ მოეკვეთოს ფეხი. ცენტრის დაქვემდებარებაში მყოფ ქართველ ბიუროკრატიას არ ჰყოფნიდა გამბედაობა, რომ ეკოლოგიური ინტერესები წინ დაეყენებინა ეკონომიკურის წინაშე. ეკონომიკურად მნიშვნელოვანი პროექტის მიღებისას, სრულყოფილად არ განსაზღვრავდნენ ეკოლოგიურ შედეგს და აქედან გამომდინარე. არ უარყოფდნენ ეკოლოგიურად მავნე პროექტებს.

დღეს მთელი მსოფლიოს ყურადღების ცენტრშია ბირთვული კატასტროფის თავიდან აცილება. იმედია, საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა მეტად ჩააფიქრებს მათ, ვისაც საქართველოში მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის განვითარება ატომური მუხტების გარეშე ვერ წარმოუდგენია. ჩერნობილის ტრაგედიის შემდეგ, უფრო მეტი დაკვირვება გვმართებს, მითუმეტეს მაშინ, როცა ჩვენდა სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ჩვენი თავი ჩვენადვე არ გვეყუდნის.

P.S. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტმა გადაწყვიტა გააუქმოს ატომური რეაქტორი.

**ჩვენი სპეც. კორ.**

პარლამენტის ბიბლიოთეკა

# სილოვან ნარიმანიძე — ახალი ლექსები

## საგანთიადო ზარები

საგანთიადო ზარები რეკენ...
სიმშვიდისათვის დაბადებულო პოეზიავ,
თუ არ იმძლავრე,
    არ აიმართე,
ქარიშხლის დრტვინვა გაგრიყავს, აგშლის!
მოთმინებისთვის გაგაჩინა მაღალმა ზენამ,
დღეს ყველა ძაფი, მოთმინების, დაწყვეტილია...
მოვა კი დრო,
რომ კვლავ დამშვიდდე, შენი ადგილი,
    კვლავ მოიძიო...
რომ ჩააფიქრო შენზე ისევ
    შენი მლოცველი?
დღეს კი შენც გიჭირს, ჩემთან ერთად.
    ძალიან ძვიჭირს...
თავბრუდახვეულ გაშმაგებით მოისწრაფვიან,
რომ გადაგთელონ, დაგავიწყონ
    რაც გწამს და გიყვარს.
იქნებ, როგორმე, გადაგვირჩეს
    სამშობლო ჩვენი,
იქნებ, როგორმე, განწირული სამშობლო
                                        ვიხსნათ!
ლექსო, შენ ამ დროს, ნუ გადგები
    განზე ეულად,
შენც მამაცურად შეეგებე მოვარდნილ
                                        გრიგალს!...
სიმშვიდისათვის დაბადებულო,
    დღეს გინდა ფრთები, რადგანაც შენი,
ყველაზე დიდი სიყვარული განსაცდელშია:
შვილებს გიკლავენ ვანდალები,
კარებს გიმტვრევენ,
ბევრი „მოყვარეც" სასიკვდილოდ გაგიდგა
                                        განზე.
დაიმახსოვრე ჯასაჭირის მწარე დღეები.
ყველა, ვინც გვერდში ამოგიდგა, დაიმახსოვრე.
ისინიც კარგად დაიმახსოვრე,
მძიმე წუთებში ვინც გაგყიდა, ვინც გიღალატა.
რეკენ ზარები საგანთიადო.
ყველაზე დიდი სიყვარული განსაცდელშია!...

●

დავემშვიდობე, იყო საღამო,
მზე უკანასკნელ მუქ სხივებს ცრიდა.
და გავყურებდი, შორს საარაგვო
ნისლს დაეფარა,
    იქ ალბათ წვიმდა.
საღამომ რატომ მარგუნა დარდი,
და გახსენების
    დამჩემდა ელდა,
ამ სიშორიდან შენ ისევ სჩანდი,
ჩემო პატარავ, უსაზღვრო სევდავ...
გაუმხელელი დარდია ძნელი, —
მძლეველი გრძნობის გამხელა ჭირდა,
შორს საარაგვოს მაღალი ყელი,
ნისლს დაეფარა,
იქ ალბათ წვიმდა.

## მჯერა

ერთი-ორი დღე სიხარულის დღე,
დრო დანარჩენი — სხვა პირქუშ ფიქრებს,
სულ მუდამ ძლევის ზარი რომ რეკდეს,
ბედნიერებაც მოგწყინდეს იქნებ.
გახსოვს, ოდესღაც, რომ შევევედრე,
და ფიცი მივეც ტანმაღალ ხეებს?..
მჯერა, ის გული, რომელსაც ენდე,
კვლავ მოგანატრებს იმ ლამაზ დღეებს?...

## იდრისი

უკანასკნელი ელვა დაღესტნისა, —
 ქისტი იდრისი...
ჭლექიანი იდრისი ცხენს მიაგელვებს
                    ფლატეებზე,—
კლდიდან კლდეზე ნაპერწკლებს აჩენს.
საღამოს ბინდი ჩაიწურება,
მთვარე ამოვა — მეუფე ცათა,
 თოვლიან მთებზე თეთრ ნაბადს გაშლის.
სისხლით დაცლილა კავკასიონი
და გმირთა-გმირი ამირანიც ბორკილებშია...
ცოლები ბანზე ხალიჩას ჰფენენ,
    ლოცულობს იდრის!...
— ილ ალაჰ, ილ ალაჰ, ილ ალაჰ!..
ლოცულობს იდრის!
იმ სამყაროდან, ამ სამყაროში, შემოფრენილი
                    ხმელი ფოთოლი,
სიო მოიტანს ამბორს მთებისას,
ხევებიდან კი, წყლების ნელი ხმაური ისმის...
ვის გლოვობ იდრის,
ან ვის მოელი, საშველად შენდა?..
მღელვარე ხმებით, რას გიყვება დაღესტნის ქარი?
შენი მზე უკვე ჩასულა, იდრის!..
კლდეების მკვიდრო,
უგზოუკვლოდ ქარივით მფრენო,
შენი მზე უკვე ჩასულა, იდრის!..
მარჯვედ ნასროლი
ტყვია მოგხვდა გამთენიისას, —
შიგ გულში მოგხვდა.
იქვე კლდეებში ჩაიკეცე,
მან ვინც გესროლა, —
გალმა მთებიდან
 სიხარულის ყიჟინა დასცა.
გამარჯვებულმა დროშასავით ამართა ხელი.
შენთვის შეაქე, ვინც გესროლა,
 მარჯვედ ნასროლი.
მადლობა ღმერთს, რომ დაისვენე, —
 იდრის, — ილ ალაჰ!
იმამის ლანდი დაგადგა თავზე,
 პირსავსე მთვარე გადმოგყურებდა...
შენც მთვარესავით მიილეოდი.
უკანასკნელი ელვა დაღესტნის,
ძველ მთვარესავით მიილეოდი,
ძე სალტანისა, მოქანცული,
 ჭლექით სნეული,
ძველ მთვარესავით მიილეოდი.

## მეეტლეები ილხენდნენ ალაზანთან...

1.
მეეტლეები ილხენდნენ შაქრიანთან, —
ხიდთან, ალაზანზე!
უკრავდა ცნობილი მეგარმონე კალილო,
დოლს აბაგუნებდა მედოლე თემო,
დუდუკს აკვნესებდა მეზურნე ზინობა,
მღეროდა დაუდგრომელი ალავერდა.
2.
და მათ უსმენდა პატარა ბიჭი, —
ეტლის კოფოზე ჩამომჯდარი,
შორს სევდიანად გაჰყურებდა ცას
დაღესტანისას,
ველ-მინდვრებს, შავად დაბურულ ტყეებს,
ფრინველთა ფრენას,
(ჭალებიდან ბულბული სტვენდა).
ალაზნისპირის მუხები თითქოს,
ცას შესდგომოდნენ ბუმბერაზ მხრებით,
უმზერდა გზაზე ჩავლილ ცხენოსნებს,
 ურმებს და მაღალ ცივ გომბორის მთას.
3.
ის ბიჭი ახლაც მოიგონებს
იმ დღეს და იმ ლხინს, —
შაქრიანის ხიდს, —
თაღოვანს, მაღალს,
წიფლის ხეები ალაზანმა დროშებივით რომ
                                        ჩაატარა...
დღეს კვლავ იგონებს ის ბიჭი იმ წლებს,
წუთისოფლისგან დარდიანი მეეტლეები,
ალაზნისპირას რომ ილხენდნენ ზაფხულის იმ
                                        დღეს,
იქვე, მავთულზე ჩამომსხდარი კვირიონები,
მუსიკის ხმით რომ გარინდულიყვნენ.
(რაზე ფიქრობდნენ, ვისზე ფიქრობდნენ?)
და ტელეგრაფის მავთულები კი,
მთის ყრუ სოფელში
რომ მიჰქონდათ ქვეყნის ამბები,
ხანდახან რაღაც თავისებურ ჰანგს გამოსცემდნენ...
იგონებს, უკვირს, —
როგორ იარა იქიდან დღემდე,
იმ მძიმე ტვირთით როგორ იარა!..
4.
მეეტლეები ილხენდნენ ალაზანთან,
და იმ ჟამიდან დაიწყო მერე, გზა შორეული,
სადღაც, ღრუბლების და ცის იქით, რომ ჩაიკარგა.
ქვეყანა სჩანდა საოცარი და უსასრულო,
უცხო, საშიში,
როგორც ტყეები შებურვილი და შორეული.
უკრავდა მეგარმონე კალილო,
დუდუკს აკვნესებდა მეზურნე ზინობა,
დოლს აბაგუნებდა მედოლე თემო,
მღეროდა დაუდგრომელი ალავერდა...
იმათ მოლხენას ყურს არც უგდებდა,
თავქვე გარბოდა ალაზნის ზვირთი, —
(მილიონი წლების ახალგაზრდა)...
და თქვენ, ყველანი, იყავით ცოცხლები,
და თქვენ, ყველანი,
გარდასულ დღეზე ჯავრით მოთქვამდით...
მეეტლეები ილხენდნენ ალაზანთან...

# შალვა მჭედლიშვილი

## მზე რიჟრაჟამდე ისვენებს მთებში

ნიტა ტაბიძეს

მზე უკვე ჩადის, მზე უკვე ჩადის...
დაბინდულ მთებზე და ტრამალებზე,
წმინდათაწმინდა სისხლის კვალს სტოვებს,
ო, ღმერთო, ჩემო, მზე ჩამავალი.
ჯვარცმული ეს მზე, რარიგ ჰგავს პოეტს,
და რარიგ მწარე წამებას იტანს...
რარიგ მწუხარედ თოვს მიხაკები,
რარიგ მწუხარედ, რარიგ მწუხარედ!
ნუ ატირდები,
 ძვირფასო ნიტა,
ხვალ ეს მზე ისევ, ისევ ამოვა,
უკვდავ სიმღერად დაიმქუხარებს...
კურთხეულ იყოს აწ და მარადის,
მართალი კაცის, მართალი ლექსი,
მზე სამუდამოდ არ სამარდება,
მზე რიჟრაჟამდე ისვენებს მთებში...

1940 წ.

## დაღესტნის მთებში

ეტაპით მივყავდით...
დაღესტნის მთებში გავიარეთ.

მე ვნახე მთებში შამილის კოშკი,
დიდ იმამივით ამაყად მდგარი
და სისხლის ცრემლი ჩემს თვალებს მოსკდა
და ცრემლს მაშრობდა დაღესტნის ქარი.
და როს არწივმა გადაიარა,
იმამის მსგავსმა, დარბაისლურად,
ზეცას შეჰყივლა მან ნაღვლიანად
და ბანი მისცა მთამ დანისლულმა,
მე ვთქვი: ჰე! დიდო ფრთოსანთ იმამო,
ხარ მარად ლაღი, სვებედნიერი...
კუბოს კარამდე უნდა ვინანო,
რატომ არა ვარ შენებრ ძლიერი!
ეჰ, ჩვენში, ჩვენში, სიცოცხლე მთელი,
ერთ ბრიყვულ კანონს ემონო უნდა —
გდევნიდეს ვიღაც უვიცის ხელი,
ვიღაც მდაბალი გდევნიდეს მუდამ.
რადგან სულს შენსას, სულო უბოროტესს,
თავისუფლების ტრფიალი დაჰყვა,
შენ ჰპოვებ მხოლოდ ჟანგიან ბორკილს,
და იმ ქვეყნადაც ბორკილით წახვალ!

1949 წ.

## ნუგეში

ვორკუტას ვუახლოვდებოდით...

სინათლე,
სინათლე,
    სინათლე მომეცით!
უფსკრულში...
    უკუნში...
    უღმერთოდ ვინთქმები.
პასუხად საზარი ხარხარი მომესმის:
— მონა ხარ,
 მონა ხარ,
    და მონა იქნები!
და მაინც ვყივივარ: სინათლე მომეცით!
გულშავო ყორნებო, ნუ ფარავთ ამ არეს...
რა მინდა ქურდებში, რა მინდა ქორებში,
დე, იყოს წყეულიმც, ეს ბნელი სამარე.
და მაინც თაყვანს ვცემ მზეს მთელი არსებით,
მჯერა განიბნევა ეს შავი ღრუბლები.
ხვალ ისევ ამოვა,
 ხვალ ისევ ამოვა,
მზე ბედნიერების,
 მზე თავისუფლების.

1949 წ.

სოლომონ დემურხანაშვილი



# ავაგის ღამე

დაღლილ-დაქანცული მხედრიონი ტაატით მიამტვერებდა გზას. ხანგრძლივი მგზავრობით გაწამებული და დადუმებული ცხენოსნები ხანდახან შეავლებდნენ თვალს წინმავალ ახოვან მხედარს, რომლის აბჯარი მზის სხივს დროდადრო აირეკლავდა ხოლმე.

გზა კი აღარ და აღარ თავდებოდა, აღარც ამ თვალუწვდენელ ველ-ხრიოკს უჩანდა დასასრული და აღარც მათ წამებას.

ზაფხულის გრძელი დღე ილეოდა. დასავლეთისაკენ დაქანებული მზე უფრო გაცოფებულიყო და წყურვილით და სიცხით თანგავდა მგზავრებს.

ყორანივით შავი ულაყი ტაატით მიდიოდა, თითქოს ისიც გრძნობდა პატრონის ხვაშიადს და აღარ ეწადა ამ ავბედითი გზის გაგრძელება. ავაგის რწმენით ცხენი შეუცდომელი მისანი იყო და წინასწარ უგრძნობდა [illegible] მოსალოდნელ [illegible].

— ჰაი, დედასა! — უნებურად აღმოხდა მჭმუნვარე ფიქრში ჩაძირულს და წამით შეყოვნდა, ალვირი მოქაჩა, ცხენმა გავა განზე მოიქნია და ღონიერი კისერი მარცხნივ მოდრიკა.

ავაგის ეჯიბმა დავით ახალციხელმა ცხენს დეზი წაჰკრა და ოდნავ უკან მავალმა თავის პატრონს უსწორა მხარი.

მხარგრძელმა თავით ფეხამდე შეათვალიერა აბჯარში ჩაჭედილი ეჯიბი. ხშირ წვერს დაეფარა მისი პირისახე. იგი ერთი წლით იყო მხარგრძელზე უმცროსი, მაგრამ ნაადრევად წვერულვაშჭაღარავებული და შუბლდაღარული გაცილებით უფროსი ჩანდა თავის ბატონზე. შუბლიდან ლაწვზე, მარცხენა თვალის გასწვრივ ირიბად ჩასდევდა ნახმლევი, რომელიც ავაგს ნიადაგ ახსენებდა მონღოლებთან შეტაკებას. ეს ამბავი შარშან მოხდა კაენის ციხესთან. უკან ოტებული ავაგ მხარგრძელი ანაზდეულად გადაეყარა მონღოლთა მარბიელ რაზმს. ხანმოკლე შეტაკების შემდეგ ძლივს დაუსხლტნენ ორჯერ უფრო მეტ მტერს. ავაგის თავზე დაშვებულ ხმალს ახალციხელი შეეგება და ისე მძიმედ დაიჭრა, სიკვდილს ძლივს დაუძვრა კლანჭებიდან.

სიყრმიდანვე თანშეზრდილი ახალციხელი ნაცადი და უღალატო თანამებრძოლი იყო.

— თქვით რამე, ბატონო?

მხარგრძელმა თვალებში ჩახედა თავის ერთგულ ეჯიბს. ტანჯვა და დაღლილობა დავანებულიყო ახალციხელის უძირო მუქ-თაფლისფერ თვალებში. ბრგე და ტყვიასავით ჩასხმული ახალციხელი ცხენზე ისე მყარად და წელგამართული იჯდა, თითქოს დაღლილობა არც ეტყობოდა.

— დედამიწაზე ყველა თავშესაფარი უიმედო ყოფილა ადამიანისთვის.

ახალციხელი არ გამახუნებია, ქუშად მიჰყვებოდა გვერდით.

— დღეს მერამდენე დღეა? — ხაფი ხმით ჰკითხა მხარგრძელმა.

— მეოცე დღეა, ავაგ ბატონო.

— შორი გზა ყოფილა ტიალი, — და წამიერი დუმილის შემდეგ დასძინა, — შორი და ეგებ მოუსავლეთიც.

— დღეს თუ არა, ხვალ უკვე ურდოში ვიქნებით, ავაგ ბატონო, — მოწყენით აუწყა ახალციხელმა, — ერთი ღამის გათევაღა მოგვიწევს, აგე, — თითი გაიშვირა და შორს გასტყორცნა მზერა, — ის უნდა იყოს მდინარე კალკი. იქიდან შორს აღარ არის ყაენის სამყოფელი.

„ერთი ღამის გათევაღა მოგვიწევს“... — გულზე ეკალივით დაესო ავაგს ეჯიბის ნათქვამი. ვინ იცის, ეს იყოს საბოლოო ღამე, თუმცა, ამაზე ფიქრი და ვარამი აღარცა ღირს, კაცი ვერსად წაუვა თავის ბედისწერას.

მარიამობის თვის დამლევი იყო. ქართული ქორონიკონით 1240 წელი, ხოლო მონღოლთა წესით ავაზის წელი იდგა.

მეოცე დღეა, რაც ავაგ მხარგრძელმა მცირე ამალით დატოვა საქართველოს ზღვარი და უცხო მიწას თელავს. ოცი დღეა მიამტვერებენ ყოველი ქართველისთვის ჯერეთ უვალ გზას, წყვდიადით მოცულსა და [illegible].

[illegible] ჩალატა ნოინმა თავის საზაფხულო ბანაკში, არარტს იხმო ავაგი და ამცნო, ცათა სწორი ბათო ყაენი ურდოში გიწვევსო, თან რაღაც გაურკვეველმა ცბიერმა ღიმილმა გაუნათა ჩალატას წვრილი, მონღოლური თვალები. არც მხარგრძელმა და ალბათ არც თვითონ ნოინმა არ იცოდა, რისთვის ეპატიჟებოდა ბათო, — მპყრობელი და ხელისუფალი ოვსეთისა, დიდი ყივჩაღეთისა, ხაზარეთისა და რუსეთისა „ვიდრე ბნელეთამდის და ზღვადმდე დარუბანდისა“.

ჩალატა ნოინმა გზა დაულოცა და, ეშმაკმა იცის, მეგზურ-თარჯიმნად თუ მზირად თავისი უნაღარ ბოლოლი[1] აბაღა გააყოლა.

არარტიდან დაბრუნებისთანავე თადარიგს შეუდგა. ხუთიოდე მარჯვე ყმა შეარჩია, რომელთაც სხვადასხვა მოვალეობა ეკისრებოდათ მგზავრობის დროს, მარქაფი ცხენები ხორაგითა და სხვადასხვა სამგზავრო საჭურველით დატვირთა. კარის მოძღვარს საბას ზიარება გამოსთხოვა და შორეულ გზას დაადგა. თავიდან ეჯიბის თანხლებაც გადაწყვეტილი ჰქონდა, მაგრამ ახალციხელს ყბითა შეჰყროდა და ჯერ კიდევ განუკურნებელი ამ ჯოჯოხეთის გზას როგორ აიტანდა.

ორგზის ემუდარა და ეაჯა ახალციხელი, უკვე გამოჯანსაღებული ვარ და თან მიახლეო, მაგრამ მხარგრძელი ჯიუტად იდგა თავის სიტყვაზე. მხოლოდ გამგზავრების წინა ღამეს გასტეხა ბატონის სიჯიუტე. მუხლებში ჩაუვარდა და ეს გულმედგარი კაცი ლამის დიაცივით აქვითინდა.

ახალციხელმა კოწახურისა და დუდგულის ხის ქერქი წაიყოლა თან, როცა ღამისთევად დაბანაკდებოდნენ, იმ ქერქს ხარშავდა და წყლის მაგივრად ნახარშს სვამდა. ეჯიბი მთლად გამოჯანსაღდა გზაში, სამაგიეროდ ჩალატა ნოინის უნაღარ ბოლოლი აბაღა დავარდა გზაში, სისხა შეეყარა და ორ დღეში ლანდს დაამგვანა. აბაღამ გზა ველარ გააგრძელა და ხაზარეთის ულუსრში, ერთ-ერთ იამში[2] დატოვეს.

მხარგრძელი რაღაც მუდამით გრძნობდა, რომ თავის ერთგულ ყმას მარტო თანხლება კი არ ეწადა, სხვა რაღაც დიდი ზრახვაც ჰქონდა და აკი გამართლდა კიდეც მისი ვარაუდი. მეათე დღეს გაანდო ახალციხელმა თავისი ხვაშიადი. რამეთუ, არა უწყი, რას გვიმზადებს ბედი ყაენის კარზე, ასეთი რამ განვიზრახე, ვითომ მე შენი ბატონი ვარ, შენ კი ჩემი ყმაო.

მხარგრძელმა ბოლომდე ვერ იაზრა, რა ჰქონდა ეჯიბს გამიზნული და მხრები აიჩეჩა, ვერ მივხვდიო.

ახალციხელმა გაჟეჟილს გატეხილი ამჯობინა.

— უკეთუ ყაენს ენებოს შენი მოკვდინება, მე მომაკვდინონ და არა შენ.

მხარგრძელი შეკრთა, ცხენი შეაყენა. თხემით ტერფამდე ცეცხლმა ჟრუანტელმა დაუარა და გულაჩუყებულს ბურთი გაეჩხირა ყელში.

აი, თურმე რად გადაიკლა თავი ერთგულმა ეჯიბმა და რათ წამოჰყვა ამ თითქმის მოუსავლეთის გზაზე. ეს რა ჰქონია გუნებაში, რა ზრახვა ხდებია ლომის გულში. ყოვლად ძლიერო ღმერთო, ნუთუ მთლად არ დაშრეტილა ქართველი კაცის სული?

მხარგრძელმა ვეება მარჯვენით პირჯვარი ისახა, თავის ეჯიბს ოდნავ მოჭუტული, ცრემლით აკიაფებული თვალები მიაპყრო და თითქოს ლოცულობსო, ისე წაიჩურჩულა:

— ეს რამ გაფიქრებინა, ღვთისნიერო, რამ!

მერე სამარესავით დადუმდა და ეჯიბს აღარც დალაპარაკებია.

ახალციხელი კი მოუთმენლად ელოდა პასუხს. ყოველ საღამოს, როცა ღამისთევად დაბანაკდებოდნენ და დროს იხელთებდა, „მრავლითა ვედრებითა და იძულებითა არწმუნებდა ავაგს ამისდა ყოფად“.

ერთ ვიწრო ხეობასთან წყაროს წააწყდნენ. მხარგრძელი მყისვე ჩამოქვეითდა, ბალთა შეიწყვიტა. მუზარადი გადაიძრო, წყალს დაეწაფა და მერე გახურებულ პირისახეზე ისხურა.

უკან ჩამორჩენილები ძლივს მობორგავდნენ. ილაჯგაწყვეტილები იყვნენ, კაცსაც და ცხენსაც ქანცი დალეოდათ. ცხენები ველარ უძლებდნენ დამქანცველ მგზავრობას და გზაში მეჯოგეებს უცვლიდნენ, ანდა სულაც ახალ ცხენებს ყიდულობდნენ.

პირუტყვიც დააწყურულეს, თვითონაც მოიკლეს წყურვილი და როცა ისევ გააგრძელეს გზა, მაშინღა იჩინა ჭირმა თავი. დაწყლულებული ცხენები უარესად დავარდნენ, ქანცგამოცლილები ნაბიჯს ველარ დგამდნენ. ტაატით მიმავალ ქარავანს ერთი იმედიღა ჰქონდა, ეგებ, სადმე მეჯოგეებს გადავეყაროთ და ცხენები გამოვცვალოთო, მაგრამ მეჯოგეები აღარ დახვდებიათ. სულ მალე წააწყდნენ მონღოლთა რაზმებს, რომლებიც ალბათ ყაენის კარზე მისასვლელ გზებს დარაჯობდნენ. დაწვრილებით გამოჰკითხეს ვინაობა თუ სადაურობა და როცა გაიგეს, ბათო ყაენის კარზე იყვნენ მიწვეულები, ცხენები შეუცვალეს, ორი მეგზური მიუჩინეს და ურდოსკენ წაუძღვნენ. დაუჭედავი მონღოლური ცხენები საოცრად სწრაფნი და ამტანები იყვნენ. ჭენებით გალიეს დიდი მანძილი და მზის ჩასვლისას უკვე ურდოს მიუახლოვდნენ; უზარმაზარ ველზე იურტების—მონღოლური კარვების ქალაქი დუღდა და ფუსფუსებდა. მის გარშემო ველებსა და გორაკებზე წითელპორფირიანი მხედრები დაჰქროდნენ.

ავაგს ტანში ჟრუანტელმა დაუარა. თითქოს ახლაღა შეიცნო მთელი არსით ბათო ყაენის ზღვარდაუდებელი ძალუფლება. აი, აქ, ამ ურდოში ბევრი მოდის სხვადასხვა ქვეყნიდან და ძალიან ცოტაღა თუ ბრუნდება უკან.

ბინდი წვებოდა, როცა განცალკევებულ ველზე, ურდოდან თითქმის ხუთი უტევანის მანძილზე შეჩერდა ქარავანი. მეგზურებმა უბრძანეს აქ დაბანაკებულიყვნენ, ხოლო დილით იამიმთან[1] გამოცხადებულიყვნენ. ლამისთეველებს ცხენებიდან მოხსნილი ბარგი დაუტოვეს, ცხენები თან გაირეკეს და წავიდნენ.

ახალციხელმა მცირე კარავი დაადგმევინა და მოსასვენებლად გაუმზადა მხარგრძელს. ხალი დააგებინა კარავში, კანდელიც დაანთო, იცოდა თავისი ბატონის ხასიათი, სიბნელეს ვერ იტანდა.

სიტყვა არ გაულია მხარგრძელს, ისე შევიდა კარავში, უფრო სწორად, კი არ შევიდა, დაქანცული სული და ვეება სხეული შეათრია, აბჯარი გაიძრო და სპარსულ ხალზე მიესვენა, რომელსაც უკვე ნესტისა და მტვრის სუნი დაჰკრავდა. გულჩახვეული მდუმარედ იწვა და ის დუმილი — ცივი, ულვთო და სასტიკი, უფრო აუტანელი იყო ახალციხელისთვის, ვიდრე თვით ავაგისთვის.

მთელი ღამე წინ ედო ავაგს, უკანასკნელი თუ ბოლო ღამე, როგორც მისმა ეჯიბმა თქვა. საფიქრელად კი ეს დიდი, ძალიან დიდი დრო იყო. აბა, რომელმა ქაჯმა და ეშმაკმა უწყის, რა ზრახვით იწვევდნენ ურდოში, არა, სიკვდილი ჯერ არ სწადდა ავაგს, სიკვდილის ფასი ჯერ არაფერი გაუკეთებია თავისი ქვეყნისთვის. მისი ღრმა რწმენით, სიკვდილსაც დამსახურება უნდოდა. ჯერ რა მოასწრო ორმოცდახუთი წლის კაცმა, რა გააკეთა, ვერაფერი მსხვერპლი ვერ გაიღო სამშობლოსთვის, დამარცხების სამწარე ბევრი იგემა, გამარჯვების სიხარული კი არცერთი.

უმძიმესი ჟამი დაემთხვა მის ამირსპასალარად კურთხევას. სეფედროშა იმ დროს ჩააბარეს, როცა შვიდივე ცის ბორბალი რისხვით მობრუნდა საქართველოს თავზე. ვინ იცის, ეგებ ღმერთმა ინებოს და მტრისგან ივარქმნილი საქართველო კვლავ გაიმართოს წელში, ღონე მოიცეს ღმრთისმშობლის წილხვედრმა ქვეყანამ და ავაგის მთავარსარდლობით ისევ იპყრას ხელთ მესიის მახვილი.

სიკვდილი ისე არ აწაღვლებდა, ავაგ მხარგრძელს, როგორც სირცხვილი, რომელსაც ხუთიოდე წელია თავის ხალხთან ერთად კისრით მიათრევს მძიმე ჯაჭვივით და რომელიც ვერა და ვერ ჩამოირეცხა, ვერ ამოვიდა მტრის ოლთში.

აი, რა აღონებს და რა უკლავს გულს ურდოში მოსულ ავაგს.

ბინდი თანდათან მძლავრობს. კარვის ღია კალთაში წყვდიადი ჩამოწვა. უხმოდ ილვენთება კანდელი და პატარა ალი ფეხის წვერებზე ცეკვავს. გარეთ უხმოდ ფუსფუსებენ მგზავრები, ეტყობა, დასაწოლად ემზადებიან.

„სადაურსა სად წაიყვან, სად გაუთხრი სადით ძირსა:“

რა უნდა აქ ავაგ მხარგრძელს, რა ბედისწერამ გადმოსტყორცნა ამ შორეულ, უცხო მიწაზე, რა ელის ხვალ ყაენის კარზე, ეგებ, დაჰყვეს თავისი ეჯიბის მუდარას და მის ყმად გაასაღოს თავი, ხოლო ახალციხელი — ამირსპასალარად, მაგრამ ეს ხომ სიმხდალე და სულმდაბლობაა?!

„შენ უფრო სჭირდები ქვეყანას, ავაგ ბატონო, ვიდრე მე. უკეთუ მომაკვდინონ შენს მაგივრად, ამით ბედნიერად ჩავთვლი თავს და ჩემი სულიც სამოთხეში დაიმკვიდრებს სასუფეველს“ — ევედრებოდა და არწმუნებდა ახალციხელი.

ღმერთო, ნუ გასწირავ ავაგს, ნუ შეუცვლი ღამედ დღეს.

ჩურჩული მოესმა და ყური მიუგდო.

— წმინდაო მამაო, წმინდაო ძლიერო, წმინდაო უკვდავო, შეგვიწყალენ ჩვენ! დიდება მამასა და ძესა და სულსა წმინდასა, ამინ!

კარვის წინ ჩურჩულით შემღაღადებდა მისი ეჯიბი უჩინარ ზეციერს. ცოტა ხანში კი ანაზდეულად, თითქოს ქარმა ღვთიური ხმები გადმორეკაო, მოგუდული სიმღერა გაისმა.

— შენ ხარ ვენახი, ახლად აყვავებული...

კი არა მღეროდნენ, კვნესოდნენ თუ გოდებდნენ დაღლილნი და გაუგებარი მოლოდინით გაწამებული მგზავრები.

მხარგრძელს ჟრუანტელმა დაუარა და მთელი სხეული აებურძგლა. სულში სალბუნად ეღვრებოდა ეს ზეციური გალობა. სევდიანიც იყო იგი და გამამხნევებელიც. ასეთი გალობის დროს ისე მოკვდება კაცი, თვალსაც არ დაახამხამებს.

— ნეტარ იყვნენ მგლოვიარენი გულითა, რამეთუ იგინი ნუგეშინისცემულნი იყვნენ! ისმოდა ახალციხელის ლოცვა და ჩურჩული.

რა იყო ეს, ზიარებას ხომ არ უხდიდნენ ავაგის განწირულ სულს?!

მხარგრძელი ისევ თავის საფიქრალს დაუბრუნდა.

თუ ყაენის კარზე სიკვდილი უწერია, განა არა სჯობდა გარნისის ბრძოლაში მომკვდარიყო. იქ ხომ ბეწვზე გადაურჩა სიკვდილს.

გარნისი... ის იყო საქართველოს დაისი, იქ დანაცრდა მისი ძლიერება. იქიდან დაიწყო უკუღმა ბრუნვა საქართველოს ბედის ჩარხმა. თუ არა გარნისთან დამარცხება, ვინ იცის, ავაგი დღევანდელ ყოფაში არ ჩავარდნილიყო.

ნუთუ მართლა შურითა და ქიშპობით დამარცხდნენ ქართველები გარნისთან, ნუთუ მართლა ავაგის მამის, ივანე მხარგრძელის კისერზეა ეს უმძიმესი, სამშობლოს ღალატის ტოლფასი დანაშაული? მსგავსი ბრძოლა არ უნახავს ავაგს, ისრები თოვლივით მოდიოდნენ. ძმებს ახალციხელებს ცხენები მოუკლეს, მაგრამ ქვეითნიც მედგრად იბრძოდნენ და როცა ომი შენივთდა და გაძლიერდა, როცა ჩაბალახზე ცემით ხმლები დაუცვდათ და დაელეწათ ახალციხელებს, მაშინ კი შედრკნენ ქართველები და იოტნენ, მანამდე კი სამგზის გაუგზავნეს ახალციხელებმა მოციქული უზენაეს სარდალს ივანე მხარგრძელს, ჯარი მოგვაშველეო და სამჯერვე ამაოდ. შურით არ გაუგზავნაო ახალციხელებს მაშველი და ამადაც დამარცხდნენო ხვარაზმელებთან. არა, ამას ვერ ირწმუნებს ავაგი, განა ჯალალედინთან მარცხი ამირსპასალარისთვის უფრო დიდი სირცხვილი არ იყო, რომელ სარდალს არ სწყურია გამარჯვების დიდება და პატივი? ეგებ, შეცდა ავაგის მამა და წინამბრძოლთ რაღაც მიზეზით დროულად ვერ მიახმარა მაშველი, ან სხვა რაღაც ჩანაფიქრი ჰქონდა? ან იქნებ მართლა შურით... ვინ იცის, ვინ!

გარნისთან ბრძოლაში დაიღუპა ივანე ახალციხელი, ხოლო შალვა ტყვედ იპყრეს და მერე მოაკვდინეს. რუსუდან მეფე ქუთაისს გადაიხვეწა და ქვეყანა უპატრონოდ დარჩა. შემდეგ ჯალალედინმა თბილისიც აიღო და იქ ცოდვის კალო გამართა.

ჯალალედინის გამარჯვება მთელი მაჰმადიანური სამყაროს ზეიმი იყო. თბილისელი მაჰმადიანები სიხარულით მიეგებნენ დამპყრობელს, ხმამაღლა ადიდებდნენ მაჰმადის რჯულსა და ჯალალედინის სახელს. ალბათ, ეგონათ, თბილისში სამოთხეს აგვიშენებსო, მაგრამ სამოთხის მოიმედეთ ჯალალედინმა ჯოჯოხეთი რომ ანატრებინათ, მაშინღა იცეს თავში ხელი თბილისელმა მაჰმადიანებმა, მაშინღა მიხვდნენ რა ტკბილ ძუძუს სწოვდნენ ქართულ მიწაზე და რა შვებით იყვნენ ქართველების ხელში.

ეჰ, რად ხდება ასე, რომ ქართული მიწა ყველა გადამთიელისთვის ამქვეყნიური სამოთხეა, ყველას ხელის გულზე ვისვამთ და მაინც გვმუხთლობენ და ზურგში დანას გვირჭობენ. ჩვენ კი ჩვენსავე მიწაზე ერთმანეთს ყოფას ვუმძიმებთ, უცხო ჯილაგთ სამოთხეს ვუშენებთ, ჩვენთვის კი ჯოჯოხეთს ვჭედავთ. ვინ დაგვწყევლა ასე, ვინ დაგვიბედა ეს დამაქცევარი ზნე?

— ეკრძალენით ცრუ წინასწარმეტყველთაგან, რომელნი მოვიდნენ თქვენდა სამოსელითა ცხოვართათა, ხოლო შინაგან იყვნენ მგელ მტაცებელ — კარვის ზღურბლზე ისევ ჩურჩულებდა ახალციხელი.

სწორია, ახალციხელო, სწორი. ცხვრის სამოსლით მოდიან ჩვენს მიწაზე და მერე მგლებად იქცევიან ხოლმე ჩვენთვის.

ავაგს ძილი არ ეკარება. ურჩი მაჯლაჯუნა ჩაუძვრა სულში და ცეცხლი დაუგზნო.

რა ელოდა საქართველოს სასტიკი ხვარაზმელების ხელში, მონღოლებს რომ ბოლო არ მოეღოთ ჯალალედინისთვის. ლომმა მგელს პირიდან მსხვერპლი გამოსტაცა და თვითონ დაიძრა მის ჩასაყლაპად, დაიძრა და დამფრთხალი რუსუდანი ისევ ქუთაისში გაიქცა.

შანშე მანდატურთუხუცესი მონღოლთა ფეხის ხმამაც კი დააფრთხო, ლორე მიატოვა და აჭარაში გაიხიზნა, ხოლო ვარამ გაგელმა თავისი სამფლობელო მტერს ნებით მიუგდო და ქუთაისში გადაიხვეწა.

ვერადავეღარ დაიოკა ავაგ მხარგრძელმა ლაფეთებული სარდლები და ერისთავები, ველარ დაიმორჩილა, ანდა უმეფოდ შთენილ ქვეყანაში ამირსპასალარს ვინღა დაემორჩილებოდა. ეჰ, მაშინ მიხვდა ავაგი, რომ უმწყემსოდ დარჩენილ სამწყსოს ტურა და მგელი ადვილად შესჭამდა. თვითონ კაენის ციხეში გამაგრდა და მტერს მედგარ წინააღმდეგობას უწევდა. ამასობაში მონღოლებმა ანისი შელეწეს, ლორე დაიმორჩილეს, სამშვილდე დააჩოქეს და თბილისიც ხელთ იგდეს.

ავაგმა ველარ გაუძლო მეციხოვნეთა წამებას და გადაწყვიტა, ციხის კოშკიდან გადაჩეხილიყო. ეჰ, მაშინაც თავისმა ეჯიბმა იხსნა, ლამით გაპარულ ავაგს ლანდივით აედევნა...

მიხვდა ავაგი, რომ თავს ზევით ძალა აღარ იყო, ამაოდ სტანჯავდა ხალხს და მონღოლთა ხანს ჩორმაღონს სახლთუხუცესი გრიგოლი [illegible]ზავნა. ჩორმაღონმა მოციქული „ოქროს ხაფიცარით“ არწმუნა, რომ კაენით გამოსულ ავაგს არას ავნებდა. იცოდა მხარგრძელმა, თუ მონღოლი წმინდა წყალში ოქროს სამჯერ ამოავლებდა და მერე იმ წყალს დალევდა, ფიცს აღარ გასტეხდა. ნოინებმა ამირსპასალარი დიდი პატივით მიიღეს, თავის ლაშქარს უბრძანეს ავაგის ციხე-ქალაქების წინააღმდეგ აღარ ებრძოლათ, ტყვეებიც გაანთავისუფლეს და ავაგს თავისი სამფლობელოც დაუბრუნეს.

შანშე და ვარამ გაგელიც ამირსპასალარის კვალს დაადგნენ, მერე ჰერეთ-კახეთის ერისთავებმაც ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინეს და დაიდგა საქართველოში მონღოლთა უღელი.

ეჰ, მოირღვა ძლიერი საქართველო — მაჰმადიანური სამყაროს რისხვა და ქრისტიანთა ფარი. ჩაეგო მესიის მახვილი.

ნუთუ აქ დასრულდება ავაგის სიცოცხლე, ნუთუ ველარასოდეს შემართავს მახვილს, ველარასოდეს წაიმძღვარებს წინ ბაგრატოვანთა ძლევამოსილ დროშას.

ახლა კი ვინ არის მხარგრძელი?

ყაენის კარზე საკუთარი ფეხით მისული ზვარაკი, ვისაც ან გასწირავენ, ან გლახასავით შეიწყნარებენ. ამაზე მეტი დამცირება რაღა უნდა იყოს ამირსპასალარისთვის,

ვინ არის ავაგი?

დამონებული ქვეყნის მონა — ამირსპასალარი, დაჩიავებული, ნაკაცარი, [illegible] სამძიმარი. რატომ იმ ღამეს კაენის ციხის კოშკიდან არ გადაეშვა, რატომ? ამ საშინელ დამცირებას ხომ ასცდებოდა. ეს ნაძრახი სიცოცხლე აღარ ექნებოდა. ახალციხელმა შეუშალა ხელი, ვითომ სიკეთე უქმნა, სინამდვილეში კი ღვლეფს გამოსტაცა და ცეცხლში ჩააგდო.

ამ მძიმე [illegible] მხარგრძელს რატომღაც გაახსენდა სიბრძნითა და სწავლულობით განთქმულ ჯავახეთის გამგებელ სარგის თორელთან ბოლო საუბარი.

— უარეს უბედურებას უნდა ველოდოთ, ავაგ, ჯერ სადა ხარ, — ეუბნებოდა საგონებელში ჩავარდნილი თორელი, — ეს არის დაპყრობილი ქვეყნის ბედი. უბედურია პყრობილი ქვეყანა, ვისგანაც არ უნდა იყოს იგი ხელდებული. დაპყრობილი ერი თავის ეროვნულ მოვალეობას ჰკარგავს, ზნეობრივად იხრწნება, ჩიავდება და ბოლოს დაკნინებული და გადაგვარებული ციხის ნანგრევს ემგვანება.

— ასეთი რა შევცოდეთ ღმერთს, სარგის ბატონო, რა? — შემღაღადა დამწუხრებულმა ავაგმა.

თორელმა ყური არ ათხოვა, ისე განაგრძო:

— გონიერი მეფე სიმტკიცეა ერისა, ხოლო უგუნური — ერის უბედურება.

ავაგი შეკრწუნდა. მიხვდა, რუსუდანს გულისხმობდა უგუნურ მეფეში ბრძენი თორელი. ესღა უთხრა კრძალვით.

— გვირგვინოსანზე რათ ინებებთ მაგის ბრძანებას, სარგის ბატონო?

თორელმა გამკირდავად ჩაიცინა.

— ეჰ, ავაგ, მეფეს გვირგვინი კი არ ბრძენმყოფს, არამედ გონიერება, — თორელი ისევ ჩაფიქრდა, ხელში კრიალოსანს ატრიალებდა და სიტყვებსაც თითქოს ამ კრიალოსანივით მარცვლავდა, — ერთიანი სახელმწიფოს შექმნა ყველაზე მეტად ქართველებს გვიჭირს, რადგან საქართველოში ყველას პირველკაცობა გვინდა. ღმერთმა პირველკაცობის ნიჭი უხვად მოგვანიჭა და სანაცვლოდ ურთიერთმორჩილების გრძნობა წაგვართვა. პირველკაცობის ჟინმა და ურთიერთშურმა ბევრი გადახვეწა სხვა ქვეყანაში და სხვის წისქვილზე ასხა წყალი. ერთიმეორის შური გვჭამს და ერთი პირი ამიტომაც არა გვქონია არასოდეს. მგონი ჯალალედინის უთქვამს, ღმერთმა ნუ ჰქნას, ქართველებს ერთი პირი ჰქონდეთ, თორემ მთელ დედამიწას დაიპყრობენო. აი, რა შევცოდეთ ღმერთს და რად გვიჭირს ერთიანი სახელმწიფოს შექმნა.

— მაშ, ალმაშენებელმა როგორ შექმნა ერთიანი და ძლიერი სახელმწიფო, როგორ? — იკითხა შეშფოთებულმა მხარგრძელმა.

თორელმა მწარედ ჩაიცინა და ამოიოხრა:

— ეჰ, ჯერ ერთი მაგისთანა კაცები სამ საუკუნეში ერთხელ თუ იბადებიან და მეორეც ძალა უნდა შეგწევდეს, დათრგუნო ქართველთა ყველა მანკიერება, უპირველესად კი შური და დიდებისმოყვარეობა, რაც აურაცხელ მსხვერპლს მოითხოვს.

მაშ საქართველოს საშველი აღარა ყოფილა, სარგის თორელო. თუ სამ საუკუნეში მხოლოდ ერთხელ უნდა მოგვევლინოს დავითისთანა მეფე, მაშინ ქართველები ვერც ავშენდებით და ვერც მთლად დავიქცევით. მაშინ მთელი ცხოვრება თავის გადასარჩენად უნდა ვიჯახიროთ და ვიქნიოთ ხმალი. ეჰ, ვინ იცის, ბრძენი თორელი მართალსაც ამბობდა. ალბათ, ასეთ ბედზე ვართ ქართველები დაწერილები. შურით და დიდებისმოყვარეობით... იქნებ მამამისმა ივანემ მართლაც შურით არ მიაშველა ჯარი ახალციხელებს, იქნებ მართლაც შურით დავმარცხდით გარნისთან. თუ ასეა, მაშინ... მაშინ რა მიწა იტანს ივანე მხარგრძელის გვამს, როგორ დაალო პირი მშობლიურმა მიწამ მისი სხეულის სამარხად, როგორ.

ო, ეს წყეული და გაუსაძლისი ღამე... მონღოლების ავაზის წელი. ან იქნებ ეს ღამეა ავაზის ღამე და უკანასკნელიც ავაგ მხარგრძელისთვის?!

კანდელი უკვე ჩამქრალიყო, ძლივსღა ბჟუტავდა და სადაც იყო ჩაქრებოდა.

ავაგმა ეჯიბი იხმო, იცოდა, რომ ისიც ფხიზლობდა, კარვის ზღურბლზე იყო გაწოლილი და იმასაც თავისი ბოლმა სჭამდა.

ახალციხელი ლანდივით ფრთხილად შემოვიდა კარავში.

— კანდელი გამოცვალე!

ეჯიბმა ახალი კანდელი დაანთო.

— შენ რაღამ დაგადუმა, ღვთისნიერო, მოთხარი რამე, ან ტკბილი ან მწარე ან სანუგეშო, ან უნუგეშო. სულერთია, ოღონდ კი თქვი რამე.

ახალციხელმა მუდარა შენიშნა ბატონის ხმაში და მერე კანდელის შუქზე ნათლად დაინახა მისი გატანჯული და ჩამქრალებული თვალები.

— ისმინე ჩემი მუდარა, ავაგ ბატონო და ჩემი სულიც დაწყნარდება. ახლავე, თორემ ხვალ უკვე ყაენს უნდა წარვუდგეთ.

მხარგრძელი მძიმე, აუტანელი დუმილით დუმდა. იქნებ დაჰყვეს ეჯიბის ნებას, იქნებ მართლაც ასე სჯობდეს. მძიმედ აილო თავი. ახალციხელს მავედრებელ თვალებს შეხედა და ამოიოხრა:

— ეჰ, ღვთისნიერო, თუ ამირსპასალარი განწირულია, მისი ეჯიბი რაღა ბედდენა. ცხვარს ცხვრის ფეხით დაჰკიდებენ და თხას თხის ფეხითა.

— ცდა ბედის მონახევრეა, ავაგ ბატონო. მერე სინანულს, ახლავე სჯობია საქმის განზრახვა.

— ეგრე იყოს, როგორც შენი სურვილია. ეგრე იყოს. ხვალიდან შენ ამირსპასალარი ხარ, მე შენი ეჯიბი.

ახალციხელმა თითქოს საკუთარ ყურებს არ დაუჯერა, მოულოდნელობისგან პირში ნერწყვი გაუშრა, მერე მიხვდა, რაც უნდა გაეკეთებინა, დაიჩოქა, თვალებზე ცრემლმომდგარი მუხლებზე მოეხვია ბატონს და მრავალგზის ისახა პირჯვარი.

●

ავაგი ბათო ყაენის კარავმა გააოცა. ეს იყო თეთრი პორფირისგან გაკეთებული უზარმაზარი იურტა, სადაც მისი ვარაუდით ათასი კაცი მაინც დაეტეოდა. კარავს ფიცარის ლობე ჰქონდა შემოვლებული და იგი სხვადასხვა ნახატებით აჭრელებინათ. ლობეს ორი დიდი ჭიშკარი ჰქონდა, ერთი [illegible] ღია იყო და გუშაგები არ იცავდნენ, რამეთუ თავად ყაენის გარდა მიწიერთაგან იქ ვერც ვერავინ შევიდოდა, ვერც ვერავინ გამოვიდოდა იქიდან.

მეორე ჭიშკარს დაშნებიანი და მშვილდ-ისრიანი ქეშიკები იცავდნენ. იქ მხოლოდ საგანგებო ნებართვით შედიოდნენ. ავაგი გააოცა ქეშიკთა ცხენების მდიდრულმა მორთულობამ, უნაგირი და რახტი, თოქალთო და ალვირი ოქროთი იყო მოჭედილი. ლობის გარეთ ყაენთან მოსული სხვადასხვა ქვეყნის ელჩები, სულთნები და მთავრები უცდიდნენ თავიანთ რიგს და კუმისს შეექცეოდნენ.

ბევრი სულთანი და მთავარი თავისი ნებით მოსულიყო, რათა ყაენისთვის მორჩილება გამოეცხადებინა.

დიდი ყოფილა ძალა და უფლება მონღოლთა ყაენისა!

ბათოს კარზე უკვე მიღება დაწყებულიყო.

დილით, ვიდრე ავაგი აქ მოვიდოდა, იამამიმ მიიღო თავის კარავში საქართველოდან წარმოგზავნილები. პირობის თანახმად, ახალციხელმა ამირსპასალარად გაასაღა თავი, ხოლო მხარგრძელი მის ეჯიბად.

იამამიმ ერთი ჩია ტანის ქოსა კაცი მოუჩინა თარჯიმნად და ყაენთან შესვლის წესები გააცნო, რასაც ყველა იქ მოსული უსიტყვოდ უნდა დამორჩილებოდა, თუ სიცოცხლე არ ჰბეზრებოდა. ყაენის კარავში შემსვლელს ორ ცეცხლშუა უნდა გაევლო, ვინაიდან მონღოლთა რწმენით, თუ ვინმეს ბოროტი რამ ჰქონდა განზრახული ან საწამლავი შეჰქონდა, ცეცხლი გააქარწყლებდა. ყაენის კარვის ზღურბლზე ფეხის დაბიჯება დიდ ცოდვად და დანაშაულად ითვლებოდა. ხოლო, როცა ყაენის კარავში შევიდოდნენ, იქვე აღმართულ ჩინგიზ ხანის კერპისთვის თაყვანი უნდა ეცათ.

იამამიმ ეს წესები თარჯიმნის მეშვეობით რამდენჯერმე გაამეორებინა ზეპირად და როცა დარწმუნდა, ყველა წესი კარგად დაიმახსოვრესო, ბათოს კარზე გაისტუმრა სათანადო რაზმითა და თარჯიმნითურთ.

და, აგერ, ბათო ყაენის ვეება კარავიც, სადაც ბევრი შედის და იქიდან როგორ გადის, კაცმა არ იცის, რადგან ყაენთან შემსვლელნი სულ სხვა-სხვა კარით გამყავდათ თუ გამქონდათ მცველებს, ავაგმა ისიც შეიტყო, რომ ორი დღის წინათ ჩერნიგოვის მთავარს, მიხეილს რაღაც ბრალდების გამო წაჰკვეთეს თავი ყაენის კარზე.

დაე, მოსახდენი მოხდეს, სადაც წვრილია, იქ გაწყდეს. წინასწარ რათ ეძლევა ავაგი დაღრეჯილობას. ეჰ, ტყუილად არ უთქვამს ბრძენ თორელს, უარეს უბედურებას უნდა ველოდოთო. უბედური ყოფილა დაპყრობილი ქვეყანა და უფრო უბედურნი ამ ქვეყნის შვილები.

არა, აღარ უნდა ავაგს ამაზე ფიქრი, თუმცა ვილამ აცალა, სადღა იყო ფიქრის დრო, ორი ხმალშემართული ქეშიკი მიუახლოვდათ და ყაენის კარვისკენ წარუძღვნენ. და იმ წუთიდან ავაგს აღარაფერზე უფიქრია, მხოლოდ თავის ეჯიბს შეავლო თვალი, იგი ისე მხნედ და საზეიმო იერით მიუძღოდა წინ, თითქოს საქართველოს მეფის კარზე, მეჯლისზეა მიწვეული.

დანარჩენი თითქოს თვალის დახამხამებაში მოხდა. ორ ცეცხლშუა გავლაც, ყაენის უზარმაზარი კარვის ზღურბლის ფრთხილად გადალახვაც და ხელმარცხნივ აღმართულ ჩინგიზ ხანის კერპისადმი თაყვანისცემაც.

ეს ყველაფერი თითქოს იძულებით კეთდებოდა, შიშისა და მუქარის ქვეშ. კიდევ რამდენიმე ნაბიჯი და აგერ, კარვის შუაგულში, ვეება ტახტზე მჯდომარე ბათო ყაენიც. თვალშისაცემად სადიერი, ახოვანი ტანის ბათო საუცხოო ბალდაქინში იყო გამოწყობილი. გვერდით ასევე მდიდრულად მორთული ერთადერთი ცოლი ეჯდა, — ალბათ მრავალთაგან უპირველესი. ტახტის ძირას, გრძელ მერხზე, სხვა დიდებულები ისხდნენ, ხოლო დანარჩენებს ტახტის უკან იატაკზე მოეკეცათ ფეხი.

ამ ვეება, ხალხმრავალ კარავში ისეთი სიჩუმე იდგა, ბუზის გაფრენასაც კი გაიგონებდა კაცი. ქანდაკებასავით უძრავად იდგნენ ხმალშემართულნი ულდანები[1].

ყაენის ტახტის წინ ხუთიოდე ნაბიჯზე შეჩერდნენ. სიჩუმე თითქოს უფრო დაიძაბა. ბათო გამჭოლი თვალებით გმირავდა მოსულებს. ავაგმა ახლა უფრო ნათლად დაინახა, რომ სამი საფეხურით აღჭურვილი ყაენის გრძელი ხის ტახტი მთლად ოქროთი იყო მოჭედილი.

თარჯიმანმა ბათოს მოსულთა ვინაობა მოახსენა და მხარგრძელს ნიშანი მისცა. ახალციხელის უკან მდგომი ავაგი, ვისაც ამიერიდან ეჯიბის მაგივრობა უნდა გაეწია, ნაბიჯით წინ წარსდგა, ყაენს ჩოქით თაყვანი სცა და მოახსენა:

— ჩალატა ნოინმა წარმოგვგზავნა თქვენი უზეშთაესისა, მშვენიერებითა და სათნოებით უცილმატებულობის წინაშე და თქვენის ნებით გეახლებით საქართველოს ამირსპასალარი ავაგ მხარგრძელი და მე, მისი ყმა და ეჯიბი დავით ახალციხელი. — გულზე ხელი დაიდო ავაგმა და ახალციხელს გადახედა.

ახალციხელმაც თაყვანი სცა ყაენს.

ყველაფერი რიგზე მიდიოდა. ავაგ მხარგრძელი დიდებულად ასრულებდა ეჯიბის მოვალეობას.

ირგვლივ ისევ დაძაბული დუმილი იდგა. ავაგმა შენიშნა, ბათოს როგორ გაუნათდა მიმზიდველი და საკმაოდ სანდომიანი სახე, ის სახე, რომელიც მის წარმოდგენაში პირქუში, მრისხანე და სასტიკი უნდა ყოფილიყო.

ბათო უფრო გაიბადრა, თვალები გაუბრწყინდა და ბაგე გახსნა:

— მე შევიტყე, რომ ქართველებს გაქვთ სჯული კეთილი, ხართ სიტყვის არგამტეხნი და უღალატონი. არა მსგავსად სპარსთა, ცრუქთა, მოღალატეთა, ფიცის არშემნახველთა, რომელთა შორის მრავალნი იპოვებიან მწამვლელნი და ურცხვენი მამათმავალნი. ყოველივე ეს ეუწყა მზის თანასწორ მანგუ ყაენს ყარაყორუმს, რომელმან ბრძანა: ვინაითგან ქართველნი წყობითა შინა კეთილად გიხილავენ და ტყუილი არა არს მათ შორის და მინდობა იციან, თქვენთანა აჰყრენით მტერთა თქვენთა ზედა ბრძოლად. ხოლო სასრხნი მოსწყვიდენით და მის ქვეყანა თავადნი აქა წარმოგვზავნენით. ამად გიხმეთ, რომ ჩვენთან დაჰყოთ და მოგვცეთ ფიცი ერთგულებისა.

ბათო ყაენმა ქვეშეურდომით გადახედა, მერე [illegible] ხმით და უბრძანა:

— საუკეთესო კარავი ქართველ ამირსპასალარს და მის ამალას, ყველა საჭირო აღჭურვილობა, არაფერი მოაკლდეთ, ვიდრე ჩვენს კარზე იქნებიან.

ყაენმა ნიშანი მისცა და მიღება დამთავრდა. ქართველებს გასასვლელი კარისკენ მიაცილებდნენ ქეშიკები.

და ამ დროს მოხდა გაუთვალისწინებელი ამბავი. ალბათ მოულოდნელი, უცაბედი სიხარულისგან ავაგმაც და მისმა ეჯიბმაც დაჰკარგეს სიფრთხილე. წინასწარ დათქმული პირობა დაავიწყდათ და როგორც წესი, მხარგრძელი წინ წარუძღვა თავის ეჯიბს. ამის მხილველი ბათო განცვიფრდა და შეაჩერა ისინი.

— ჯერეთ არსად მიხილავს და არც მსმენია, რომ ყმა ბატონს წინ უძღოდეს, ხოლო ბატონი უკან მიჰყვებოდეს.

მხარგრძელს ჟრუანტელმა თავში დაჰკრა და ფეხის ტერფებში ცივად ჩაიარა.

ახალციხელი არ დაბნეულა, გაიღიმა და ყაენს მიუგო:

— დიდო და განმარჯვებულო ხელმწიფეო, ეგე არს პატრონი და მე — მონა მისი.

ბათო უფრო გაიცდა. ახლა იგი იჭვნეული დუმილით ითხოვდა ზუსტ პასუხს. ახალციხელმა კი განაგრძო:

— მე ვაიძულე, დიდო ყაენო ამ საქმის ყოფად. ვინაიდან არა გვსმენოდა თქვენი ესოდენი სიკეთე და სათნოება და არცა ის ვუწყოდით, რას შეგვამთხვევდით, ვიფიქრე, უკეთუ ყაენს ენებოს ჩემი პატრონის მოკვდინება, მე მომკვდარიყავ უწინარეს და არა პატრონი ჩემი.

ნიავივით ჩუმმა შრიალმა გაირბინა კარავში და მერე შემზარავად დაძაბული სიჩუმე ჩამოდგა.

ბათო წამოდგა, პირი აღმოსავლეთით ჰქმნა, სამი თითი გაატკაცუნა და ხმამაღლა წარმოთქვა:

— თენგრი მანქუ, თენგრი ქურუნდურ![1]

— მერე თავის საკრებულოს გადახედა და თქვა — აი, შესაშური სიყვარული და ერთგულება ყმისა. უკეთუ ქართველთა მოდგმა ასეთია, ვბრძანებ, ყოველი ქართველი, რომელიც მორჩილებს თავის პატრონს, თანასწორი იყოს თავისი პატრონისა, მამული და საქონელიც მის ხელში იყოს, რამეთუ ყოვლად მინდობილნი ყოფილან. ეგე ბრძანება დაიწერეთ ქალაქებს და წარიგზავნეთ ყარაყორუმს მზის თანაბარ მანგუ ყაენთან. ო, თენგრი ქურუნდურ, მომეც ძალა მეც ვიყო ასეთი ყმა და ასეთი პატრონი.

1. ნოინის ყმა და ხელქვეითი.
2. ღამისსათევ და ცხენების გამოსაცვლელ სადგურებს მონღოლები იამს უწოდებდნენ.

1. თანამდებობის პირი ყაენის კარზე, ვისაც დესპანების მიღება ევალებოდა.

1. ყაენის პირადი მცველები.

1. ღმერთო, ძლიერო, ღმერთო, უკვდავო.

მხატვარი ჯემალ ლოლუა

# ნიჰილიზმის მკვიდრება საქართველოში

ავთანდილ ჯოხაძე

XIX საუკუნის ევროპულ საზოგადოებას ნიჰილიზმის ეპიდემია მოედო. ამ სულიერი დაავადების „ჰიპმოქრილი ექსპერტი" — ფრიდრიხ ნიცშე (1844-1900) მომავალ ორას წელიწადში ნიჰილიზმის საყოველთაო გავრცელებას გვიწინასწარმეტყველებდა. სამწუხაროდ, ნიცშე მართალი გამოდგა. პიროვნების მიერ სულიერი ღირებულებების უგულებელყოფის, ანუ ნიჰილიზმის მძიმე სენმა საქართველოსაც უწია. ეს სავალალო ვითარება გარეგან ფაქტორთან ერთად შინაგანმა მიზეზმაც განაპირობა. ჯერ შინაგანი წინაპირობის შესახებ:

საქართველო ძველთაგანვე ქრისტიანული ქვეყანა იყო. როგორც ქრისტიანული კაცობრიობის ისტორიულმა თავგადასავალმა დაგვანახა, ქრისტიანული საზოგადოება თავისი განვითარების გარკვეულ ეტაპზე ნიჰილიზმით დაავადების საშიშელ საფრთხეს შეიცავს. მოკლედ მოვხაზოთ ქრისტიანულ საზოგადოებაში ნიჰილიზმის გავრცელების ზოგად-სქემატური სურათი:

ვლადიმირ სოლოვიოვის განმარტებით, ჭეშმარიტი რელიგიური ცხოვრების თავიდათავი ღმერთის უპირობო ერთგულება, ანუ რელიგიურ-მორალური მცნებების მორჩილებაა. იუდაიზმისაგან და მუსულმანობისაგან განსხვავებით, ქრისტიანობა ჭეშმარიტი სულიერი ცხოვრების კიდევ ერთ, დამატებით წინაპირობასაც გულისხმობს: ადამიანის სრულყოფის, მისი სრული განღვთობის ანუ ღმერთკაცობის იდეალის ხორცშესხმას. ყურანი არ შეაგონებს თავის მკითხველებს: „იყავნით თქვენ სრულ, ვითარცა მამაი თქვენი ზეცათაი სრულ არს" (მათე. 5, 48). ყოველმხრივი სრულყოფის იდეალი ამ რელიგიისათვის უცხოა. ისლამი მორწმუნისაგან ოდენ ღვთისადმი მორჩილებას და თავის პირად ცხოვრებაში იმ საზღვრების დაცვას მოითხოვს, რომლებიც მცნებებით არის დადგენილი. ქრისტიანული რელიგია კი მრევლს ადამიანური ცხოვრების ყოველი მიმართულებით განვითარებას და სრულყოფას ავალდებულებს. ქრისტიანული ორბიტის ქვეყნების სოციალურ-პოლიტიკური და კულტურულ-სამეურნეო დაწინაურება სწორედ ამ იდეოლოგიური თავისებურების დასტურია. მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარება და შესაბამისი სოციალურ-პოლიტიკური ცვლილებები ქრისტიანული საზოგადოების სრულყოფისაკენ მისწრაფებამ გამოიწვია. საზოგადოების ტექნიკურმა დაწინაურებამ ათასი ცთუნება შეუქმნა ადამიანებს — ზნეობრივი მოთხოვნა-ვალდებულებების დონემაც შესაბამისად აიწია. ადამიანთა უმრავლესობის მორალური შეგნება კი საზიფათოდ ჩამორჩა მკვეთრად ამაღლებულ ზნეობრივ მოთხოვნებს, ახალმა სამოქალაქო და სამეურნეო ვითარებამ რომ წამოაყენა მათ წინაშე. მორალურ შეგნებასა და ზნეობრივ მოთხოვნებს შორის შესაბამისობის აღდგენის ინსტინქტურმა სურვილმა ტრადიციული მორალური (და შესაბამისი პოლიტიკური) ღირებულებების დაწუნება, ახალი, ხშირად საეჭვო, ღირებულებების შემუშავება და, საბოლოო ჯამში, საერთო იდეური კრიზისი გამოიწვია, რაც რაციონალისტური და სციენტისტური იდეოლოგიის ექსპანსიის სახით გამოვლინდა. შედეგად დაქვეითდა ეკლესიის ავტორიტეტი, რელიგიურ რწმენაზე დაფუძნებულ ტრადიციულ მორალურ ღირებულებათა მიმართ უნდობლობა გაიზარდა...

ნამდვილი რელიგიური ცხოვრების მეორე, ქრისტიანობის მიერ შემოტანილი, აუცილებელი პირობის ერთგულებამ, საზოგადოების ყოველმხრივი განვითარების იდეის ისტორიულმა რეალიზაციამ, რელიგიური ცხოვრების უპირველესი წინაპირობა — ღმერთის ერთგულება და მისი მცნებების მორჩილება — დაარღვია. ამ უპირველესი წინაპირობის ერთგულება-შენარჩუნება სციენტიზმის ხანაში მხოლოდ რწმენისა და ცოდნის შემარიგებელი დოქტრინის („ფილოსოფია თეოლოგიის მხევალი") შემუშავებით შეიძლებოდა, რაც ახალი დროის თეოლოგიის და ქრისტიანული ფილოსოფიის საზრუნავს წარმოადგენდა, ოღონდ ამ დისციპლინების მონაპოვარი ფილოსოფიურად მოაზროვნე ადამიანთა ვიწრო წრის ფარგლებს ვერ გასცილდა; მრევლში ბრმა, ოდენ ავტორიტეტზე დამყარებული რწმენის ადგილი გააზრებულმა რწმენამ ვერ დაიჭირა, ბრმა რწმენა კი უძლური იყო სკეპსისის შემოტევის წინაშე; ეჭვმა და ურწმუნობამ გზა გაიკაფა, მით უფრო, რომ ახალი დროის ფილოსოფიის ერთი დიდი ნაკადი ფილოსოფიას თეოლოგიის მხევლად სულაც არ თვლიდა და ამოცანად ისახავდა ინტუიციური (გამოცხადებისეული) მონაცემების გარეშე, მარტოოდენ რაციონალური აზროვნების ამარა გაემართა თავისი ონტოლოგია. ურწმუნობა და, ამის კვალდაკვალ, უზნეობა ფრთებს შლიდა, რაც ნაირ-ნაირი სეკულარიზირებული ერესის იოლ შეწყნარებას განაპირობებდა. სეკულარიზირებული ანუ რელიგიის მეურვეობისაგან გამოხსნილი ახალი იდეოლოგია, უმეტეს შემთხვევაში, მეამბოხური სულისკვეთების, საბოლოოდ კი ტიტანიზმის მედროშედ გამოდიოდა და სწორედ მრევლის, მასების სათანადო განწყობილებას გამოხატავდა. უგულებელვყოფთ რა ამ რთული პროცესის დადებით მნიშვნელობას, ყურადღებას იმაზე გავამახვილებთ, რომ ეს მეამბოხური სულისკვეთება იოლად გადაიზარდა ამორალიზმსა და ეგოიზმში, რომელმაც საბოლოო დასაბუთება და აღიარება მაქს შტირნერის ფილოსოფიაში ჰპოვა. ეგოიზმი კი ნიჰილიზმის განვითარების მაღალი, უკანასკნელისწინა საფეხურია...

მანქანური წარმოება და შესაბამისი იდეური სულისკვეთება რაღაც დოზით XIX საუკუნის საქართველოშიც გავრცელდა. ამ ტენდენციის იდეოლოგიური გამანელებლის — პატრისტიკის, თეოლოგიის და ქრისტიანული ფილოსოფიის გაცნობა, მით უმეტეს, შესწავლა, ჩვენი მოქალაქისათვის იმხანად ძალიან ჭირდა. ანსელმ კენტერბერიელის, ალბერტ დიდის, თომა აქვინელის, იოანე დუნს სკოტის და ნიკოლო კუზანელის ნააზრევიდან წამოსული ნათელი ჩვენამდე საერთოდ არ აღწევდა. საზოგადოების დაბალი ფილოსოფიურ-თეოლოგიური კულტურის გამო ინტელექტუალური მორწმუნის ტიპის ადამიანები, უბრალო მრევლზე რომ აღარაფერი ვთქვათ, თვით სამღვდელოებასა და ინტელიგენციაშიც საკმაოდ იშვიათი ხილი იყო (სამწუხაროდ, ეს ვითარება დღემდე უცვლელია). გონების მხრივ გააზრების და დასტურის გარეშე კი დოგმებსა და დოგმატებში დაკრისტალებული წარუვალი მორალურ-მსოფლმხედველობითი ღირებულებების და ჭეშმარიტების შეწყნარება ჩვენშიც სულ უფრო ძვირად ხდებოდა...

ქრისტიანული საზოგადოების ისტორიული განვითარების ეს თავისებურება — რწმენის კრიზისი — მივიჩნია საქართველოში ნიჰილიზმის გავრცელების ერთ-ერთ შინაგან წინაპირობად, რასაც ზედ მნიშვნელოვანი გარეგანი ფაქტორიც დაერთო:

რუსეთთან შეერთების შედეგად საქართველო რუსული ინტელიგენციის იდეური გავლენის სფეროში ჩაიკეტა. XIX-XX საუკუნეების მიჯნის რუსული ინტელიგენციის იდეური პოზიცია და განწყობილება თვითონ რუსი მოაზროვნეების მიერვე (ბერდიაევი, ფრანკი და სხვა) შეფასებული იქნა, როგორც მორალიზმი, რაც, ტერმინოლოგიური დაპირისპირების მიუხედავად, პრაქტიკაში ამორალიზმის და მაშასადამე ნიჰილიზმის განსახიერებაა. ამა თუ იმ ზნეობრივი იდეის მხურვალე სიყვარული, მისი ლამის იდეა ფიქსად გადაქცევა, ერთი მხრივ, რუსი ინტელიგენტის თავგანწირვის და უდიდესი გმირობის წყარო ხდებოდა, მაგრამ, მეორე მხრივ, ყველა სხვა იდეის შეუწყნარებლობის მიზეზადაც იქცეოდა. ასეთი სულიერი მდგომარეობა თანამედროვე რუსი სპეციალისტების მიერ სავსებით სწორად შეფასდა, როგორც ნიჰილისტურ-ანტირელიგიური, ვინაიდან აქ საქმე გვაქვს არა აბსოლუტური ღირებულების ანუ ღვთაების რწმენასთან, არა უმაღლესი იდეის ზეადამიანური მნიშვნელობის აღიარებასთან, არამედ იდეალის შეფარდებითი ღირებულების უმაღლეს ჭეშმარიტებად შერაცხვასთან. უკვდავყო და გააბსოლუტურო „ადამიანური, მეტისმეტად ადამიანური" (ნიცშე), — აღნიშნავს სემიონ ფრანკი, — გააბსოლუტურო რაციონალისტური, გონებისმიერი იდეა, უგულებელყო მისი დროებითი და შეფარდებითი ხასიათი, — ეს ნიშნავს იყო ფანატიკოსი. ანტირელიგიურობა და ფანატიზმი (იდეების კულტი) იქცა XIX-XX საუკუნეების მიჯნის რუსული ინტელიგენციის ძირითად განწყობილებად. რა თქმა უნდა, ეს ადამიანები უმრავლეს შემთხვევაში გულწრფელად ესწრაფოდნენ ამქვეყნიური ბედნიერების საყოველთაოდ დამკვიდრებას, ოღონდ უკვე ცოცხალი ადამიანები კი აღარ უყვარდათ, არამედ მხოლოდ ადამიანური ბედნიერების თავიანთი იდეა. სწირავდნენ რა თავს ამ იდეას, მით უფრო წარბშეუხრელად გასწირეს სხვა ადამიანები. თავიანთ თანამედროვეებში, ერთი მხრივ, სოციალური ბოროტების მსხვერპლი დაინახეს, მეორე მხრივ კი — ამ ბოროტების მიზეზი. პირველნი ეცოდებოდათ, ცხადია, მაგრამ ვერაფრით ეხმარებოდნენ (რადგან მათ საქმიანობას შედეგები მომავალში უნდა გამოეღო), მეორენი კი სძულდათ და მათ წინააღმდეგ ბრძოლაში ხედავდნენ თავიანთ უახლოეს ამოცანას. ამიტომ, ინტელიგენტის იდეალის განხორციელების ძირითად საშუალებად, სიძულვილის განცდა იქცა. მომავალი კაცობრიობის სიყვარულის გრძნობიდან თანამედროვე ადამიანების სიძულვილი დაიბადა. სიძულვილი რუსი ინტელიგენტის ძირითადი აფექტი გახდა, ოღონდ ეს სიძულვილი არ არის პირადი, ეგოისტური სიძულვილი. რუსი ინტელიგენტი — როგორც მიუთითებენ — ბუნებით მოსიყვარული, რბილი ხასიათის ადამიანია. მის სულში გაბატონებული სიძულვილი, მისი მრწამსის ნაყოფია და ეთიკური იმპულსის ფუნქციას ასრულებს. შესაბამისად მას სუბიექტურად ბრალი არც ედება. სიძულვილის ეს გრძნობა ხშირად მორალურად ღირებული და სოციალურად სასარგებლოა, მაგრამ, როცა სიძულვილი მყარად იკიდებს ფეხს სულიერი ცხოვრების ცენტრში და თრგუნავს სიყვარულს, რომელმაც დაბადა იგი, მაშინ პიროვნების არასასურველი ზნეობრივი მეტამორფოზა, მისი საბოლოო განიჰილისტება ხდება.

რუსული ინტელიგენციის ეს განწყობილება მორალიზმის სახელით კია ცნობილი, მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, სწორედ ამორალურ-ნიჰილისტური საქმიანობის საწინდარი და ჭეშმარიტი სულიერი ცხოვრების ზემოხსენებული უპირველესი წინაპირობის უგულებელყოფის, რაციონალისტური ფანატიზმის ნაყოფია. ქრისტიანული ორბიტის ქვეყნებისათვის დამახასიათებელი ისტორიული განვითარების თავისებურება, რწმენის კრიზისი, ყველაზე მწვავე და მასშტაბური სწორედ რუსეთში იყო. შუა საუკუნეების დასავლეთის საზოგადოებრივი იდეალი — თეოკრატია — სახელმწიფოებრივ და სამართლებრივ წარმონაქმნებს, თუ შეიძლება ასე ითქვას, ქრისტიანული იდეოლოგიით ჟღენთავდა. დაახლოებით იგივე ითქმის ქართულ სინამდვილეზეც. რუსეთში კი სამართლებრივ-სახელმწიფოებრივი ცხოვრება არავითარ რელიგიურ ელემენტს არ შეიცავდა. რელიგიური ცხოვრება აქ მთლიანად სხვა სიბრტყეში მიდიოდა. ამიტომ იყო, რომ ტრადიციული მორალური ნორმების რღვევას და რწმენის კრიზისს აქ თითქმის არავითარი სამოქალაქო წინააღმდეგობა არ შეხვედრია. აქ რაციონალისტურმა ნიჰილიზმმა თავის აპოგეას მიაღწია. საქართველოს პირველი ანექსია-ოკუპაციის შემდეგ, რუსულმა სახელმწიფო მანქანამ ქრისტიანული იდეოლოგიით ნასაზრდოები ქართული სამართლებრივი პრაქტიკა ხელის ერთი მოსმით აქცია წარსულად. ნიჰილიზმის გავრცელების ზემოთმოხაზული შინაგანი წინაპირობის არსებობის გამო კი საქართველოში რუსული ინტელიგენციის და ნიჰილიზმის იდეური გავლენა სულ უფრო და უფრო მზარდი ხდებოდა...

დავახასიათოთ ნიჰილიზმი მისი მორალურ-ფსიქოლოგიური და სოციალურ-პოლიტიკური შედეგების მიხედვით:

როგორც აღვნიშნეთ, ნიჰილიზმით დაავადებული ადამიანი იდეურად მორალისტია (სხვისი ჭკუის სწავლება უყვარს), მაგრამ პრაქტიკულად ფარისეველია და რაციონალისტური იდეურობის გამო სწორედ ჭეშმარიტი ზნეობრივი განცდების მიმართ არის გულდასხურული. ბოლომდე ჩამოყალიბებული ნიჰილისტი ისეთი სულიერი წყობის ადამიანია, რომელსაც საქმიანობის საფუძვლად ზნეობრივი, სინდისიერი შეგრძნებები აღარ გააჩნია. ასეთნაირი იმპულსების გარეშე დარჩენილი ადამიანი რომელიღაც გარეშე იდეის (თუ ინტელიგენტია) ანდა ბიოლოგიურ-ინსტინქტური მიდრეკილების ამარა მოქმედებს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, ის შემეცნების უნარს, გამჩენის მიერ ბოძებულ ამ უდიდეს მადლს, მარტოოდენ ბიოლოგიურ-ჰედონისტური ინტერესების დასაკმაყოფილებლად იყენებს. ასეთი ადამიანი სხვა არაფერია, თუ არა გონიერი ცხოველი. ბიოლოგიური ქმნილების ფარგლებით ადამიანის შეზღუდვა სულის ერთგვარ აფორიაქებას და ამბოხს იწვევს, რაც აქამდე მიჩუმათებული, მაგრამ ჯერაც ცოცხალი მორალური გრძნობების გამოღვიძების საბუთია. თუ ადამიანმა ამ გრძნობის უზენაესი უფლებამოსილება ახლა მაინც არ აღიარა, მაშინ ამბოხებულ-აზღვავებული სულიერი ენერგია ისევ ჰედონისტური სიამოვნების, განცხრომისმოყვარეობის მიმართულებით გაიხარჯება. განცხრომისმოყვარეობის საბოლოო ნაყოფი გაწბილებაა. აქედან მაჩინჯი პროტესტი, სადიზმი იბადება, მაგრამ სადიზმით მოგვრილი შვება და ვნებათაგანმუხტვა მაინც ვერ ანელებს ქრონიკულ გაწბილებულობას — ადამიანის ასეთ ნერვიულ-ფსიქოლოგიურ გადაძაბვას სულიერი აშლილობა მოსდევს. სათანადო იდეურ-პოლიტიკურ პირობებში, ეს სულიერი აშლილობა მასობრივი ფსიქოზების, ფიურერიზმის, სისხლისსმელობის დაუოკებელი წყურვილის მიზეზი ხდება. წარმოიქმნება პოლიტიკური მმართველობის შესაბამისი ფორმები, ჩნდებიან ბელადები და ფიურერები, რომელთა კულტი და თაყვანისცემა სხვა არაფერია, თუ არა ვნებისმოყვარე ნიჰილისტის მიერ თავისი სულისკვეთების შესაბამისი პოლიტიკური მმართველობის მომხრეობა, ძალმომრეობისა და ტირანიის აღმსარებლობა, — ნიჰილისტის მიერ თავისი სულიერი განწყობილების შესატყვისი საქმიანობის კანონიზაციის აგრესიული მოთხოვნა. ბელადი-ტირანი ნიჰილიზმის ამორალური კოდექსის პერსონიფიცირებული სიმბოლოა და მისი ერთგულება ნიჰილისტის მიერ საკუთარი მორალურ-პოლიტიკური კრედოს ერთგულებას მოასწავებს. მაგრამ ტირანი მარტო სიმბოლო როდია. ის რეალურად არსებული ნიჰილისტია, უპირველესი ნიჰილისტი, რომელიც ფოლადის ხელებით იკაფავს გზას სასტიკი კონკურენციის პირობებში და „დამსახურებულად" იმკვიდრებს დიდი ბელადის სტატუსს. მისი ზეობის პირობებში ზნეობრივი მოთხოვნილებების შესატყვისი პოლიტიკური საქმიანობა სინდისის დათრგუნული, მაგრამ აღმოუფხვრელი გრძნობის საყოველთაო გამოღვიძების საფრთხეს შეიცავს. ამ საფრთხის თავიდან აცილების მიზნით, ბელადის წაქეზებული ნიჰილისტური ბრბო ავადმყოფურად რეაგირებს სინდისიერ ადამიანთა „მშვიდობისმოყვარეობაზე": იწყება სისხლიანი ანგარიშსწორებები, საუკეთესო ადამიანთა ხალხის მტრებად გამოცხადება, რაშიც ბელადთან ერთად, და იქნებ მასზე არანაკლებადაც, მისი ნიჰილისტური ქვეშევრდომები და ქვეშევრდომთა ქვეშევრდომები, თვით უკანასკნელი რიგითი მოქალაქეებიც სცოდავენ.

სტალინური ტირანიის ხანა ნიჰილისტური გუნება-განწყობილების შესატყვისი პოლიტიკური მმართველობის ფორმირების და ფუნქციონირების ხანა იყო. ნიჰილისტური განწყობილების შესატყვისი იდეური ვითარების კანონიზაციამ და იმხანად შექმნილმა საყოველთაო-სავალდებულო „განათლების" სისტემამ სათანადო მორალურ-პოლიტიკური შეხედულებების პროპაგანდის და დამკვიდრების მეშვეობით, ძალიან გააფართოვა ნიჰილიზმის სოციალური საფუძველი. ამ პროცესმა, ცხადია, გვერდი არც საქართველოს აუარა, მაგრამ კანონიზებული ნიჰილიზმის უმძიმესი მორალური შედეგები ჩვენში მაშინ ჯერ კიდევ წინ იყო. ქართული საზოგადოების მორალური გრძნობები, უმეტეს წილად, მაშინ ჯერ მაინც ჯანსაღი რჩებოდა, რისი ისტორიული მიზეზიც არა მარტო ქართული სამართლებრივი ტრადიციების დასავლურთან ერთგვარ იდეურ სიახლოვეში (რუსულისაგან განსხვავებით) არამედ თვით ქრისტიანობამდელ ხანაში შემუშავებულ, შემდეგ ქრისტიანულად გადამუშავებულ და ბოლომდე მოღწეულ ქართულ ადათ-წესების არსებობაშიც.

რაკი სიტყვა ზნეობრივ გრძნობებზე ჩამოვარდა, მკითხველს შევახსენებთ, რომ ადამიანის ზნეობრივ სახეს მორალურ შეხედულებებზე მეტად ზნეობრივი გრძნობები განსაზღვრავს. ადამიანს შეიძლება გამრუდებული შეხედულებები გააჩნდეს, შეიძლება სწორად ვერ გაარჩიოს, რა ბოროტებაა და რა — სიკეთე, მეტიც, შეიძლება არასწორი, სწავლების გზით შეთვისებულ-გაზუთხული მსოფლმხედველობის გამოისობით პრინციპულად მცდარად ესმოდეს ამა თუ იმ პოლიტიკური ან ყოფითი მოვლენის მორალური ღირებულება — ზნეობრივად კი უდანაშაულო იყოს. აქ ზნეობრივი უბრალოების გარანტიას ზნეობრივი გრძნობის, ანუ კეთილი ნების არსებობა განაპირობებს.

დღეს ფართო გავრცელება ჰპოვა ვალდორფის სკოლის სასწავლო-აღმზრდელობითმა მეთოდმა, რომლის უმნიშვნელოვანესი დამსახურება ის არის, რომ 7-14 წლების ასაკში, მოზარდს ასათვისებელ მასალას ესთეტიზირებული სახით აწვდიან. მასწავლებელი სახელდახელო „სპექტაკლს" დგამს გაკვეთილებზე. მისი მოძრაობა არტისტულია, აზრები, რამდენადაც შეიძლება, მშვენიერების ნიშნით აღბეჭდილი. შესათვისებელი მასალის მოცულობა და მეცნიერული სიღრმეების წვდომა მეორეხარისხოვანი ამბავია. შედეგად აღიზრდება ადამიანი, რომელსაც მაქსიმალურად აქვს განვითარებული სწორედ მეცნიერულ-რაციონალისტური აზროვნების, ანალიზის, მეხსიერების და მსგავსი უნარები და, რაც მთავარია, გააჩნია უაღრესად განვითარებული ზნეობრივი გრძნობები: უსამართლობისადმი შეურიგებლობის, გულმოწყალების, თანაგრძნობის და მსგავსი თვისებები. ეს თვისებები, საერთო-სასწავლო პროცესის ესთეტიზირების შედეგად ვითარდება, ზნეობრივი გრძნობების მომწიფების მიზნით მოზარდის იდეური დამუშავების, ყოველგვარი აგიტაცია-პროპაგანდის გარეშე. ზნეობრივი გრძნობების ფორმირების მექანიზმი აქ ემპირიული გზით როდია ამოცნობილი. სასკოლო აღზრდის ამ ახალი მეთოდის ავტორმა, იდუმალმცოდნეობის დოქტორმა, შეძლო შეემუშავებინა თანამედროვეობის ახალი პედაგოგიური პრინციპები. მაგრამ ემპირიული მონაცემების და ცნებითი აზროვნების უნარის ამარა ზნეობრივი გრძნობების ფორმირების ამ მეთოდის მიგნება ყოვლად შეუძლებელი ჩანს. მსგავსი

რეალიების გასარკვევად, საიზროვნო მასალას მხოლოდ ინტელექტუალური ინტუიცია (კანტის ტერმინია) შოიპოვებს, ამგვარი ინტუიცია კი, დღესდღეობით საკმაოდ იშვიათი ნიჭია. შორეულ წარსულში, როცა ადამიანი თავისი ცნობიერების განვითარების ე. წ. მითოლოგიურ საფეხურზე იმყოფებოდა, ასეთი ნათელმხილველური უნარი უფრო ფართოდ, ან იქნებ, სულაც საყოველთაოდ გავრცელებული უნდა ყოფილიყო. ძირძველი ქართული ყოფითი კულტურა სწორედ ნათელმხილველი და ნათელმხმენელი წინაპრების შემოქმედებითი გენიის ნამოღვაწარი ჩანს. ყველაფერს: ოდა სახლის ჩუქურთმა იქნება ეს თუ ღვინის დაყენების და გამოყენების წესები, პიროვნული ურთიერთობის ნორმები თუ ჩაცმულობა, — მისი შემქმნელი ხალხის მჭვრეტელობითი გენიალობის ბეჭედი აზის. აქ უსათუოდ გათვალისწინებული ჩანს მოზარდის ზნეობრივ გრძნობებზე ამ ფენომენების ზემოქმედების შესაძლო შედეგებიც. ქართული ყოფა, სათანადო და სასურველი ზნეობრივი გრძნობების ფორმირების მძლავრი პირობა იყო. ვიდრე მოზარდი ამ მაღალი ესთეტიზმით აღბეჭდილ ქართული ყოფითი კულტურის კეთილისმყოფელ გარემოში იმყოფებოდა, ახლებურად „განათლებული" და „პოლიტიკურად მომზადებული" ჭკუების ზნეობრივი შეგნების გამრუდების მიუხედავად, ზნეობრივი ჯანი ძირითადად მაინც მრთელი რჩებოდა, რის გამოც, როგორც აღვნიშნეთ, ნიჰილიზმის საბოლოო მორალური შედეგები მაშინ ჯერ კიდევ არ მოწეულიყო. მაგრამ ზნეობრივ გრძნობებზე ზნეობრივი შეგნება ძალადობდა, მისთვის სასურველი მიმართულებით გარდაქმნიდა მას, მთავარი კი მაინც ის იყო, რომ სამეურნეო და კულტურული ცხოვრების სასტიკმა რეგლამენტაციამ და ყოველდღიურ ყოფაში სახელმწიფოებრივ დონეზე შემუშავებული იდეოლოგიის შემოჭრამ, არნახულად შეავიწროვა ქართული ყოფითი კულტურა, ნირი უცვალა მას. სამოქმედო სივრცის უკიდურესობამდე შეზღუდვამ, გასაქანის არ არსებობამ, იმდენად დაამახინჯა და გადააგვარა ძველი, რომ მათი მავნე ტრადიციებად გამოცხადება დღეს თითქმის აღარ იწვევს პროტესტის გრძნობას.

ალბათ, დადგება დრო, როდესაც აღიარებულ იქნება ჩვენში გაბატონებული სასკოლო წესების დანაშაულებრივი ხასიათი. მუშტრის მეთოდმა, ჰუმანიტარული დისციპლინების პოლიტიზაციამ, სოციალურ და ისტორიულ ხდომილებათა ყალბმა იდეურმა ინტერპრეტაციებმა, უტაქტოდ დაპროგრამებული ტექნიკური დისციპლინებით მოზარდის ფაქიზი გონების გადატვირთვამ, — რაც, საბოლოო ჯამში, გონებრივი უნარების განვითარების შეფერხებას და ადამიანის სულის გახისტებას განაპირობებს, — ეროვნული კულტურის ისტორიის უგულებელყოფამ, მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შორის ურთიერთობის ლამის სამხედრო წესებზე დაფუძნებულმა ნორმებმა საბოლოოდ ის შედეგი გამოიღო, რომ სკოლა იქცა მოზარდთა ზნეობრივი დეგენერაციის ორგანიზებულ დაწესებულებად.

ყოფა-ცხოვრების ელემენტთა სათანადო გარდაქმნა, ადამიანის სულის ღრმა შრეებზე ზემოქმედების იდუმალი მექანიზმის გათვალისწინებით, მათი გამართვა, სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების ფართო დემოკრატიზაციას და ამის შემდეგ ცხოვრებაში ზემხედველ (რუსთაველის ტერმინია) ადამიანთა აქტიურ მონაწილეობას მოითხოვს. ეს ამოცანა, ალბათ, მომავალში გადაიჭრება, დღეს კი საზოგადოების სრული დემორალიზაციისაგან თავის დასაღწევად, ნიჰილიზმის სასტიკი შემოტევისაგან თავდასაცავად და სუსტად განვითარებული (სრული ჩაკვლა თითქმის შეუძლებელია) ზნეობრივი გრძნობების შესანარჩუნებლად და გასაღრმავებლად ერთადერთი სასწრაფო დახმარება სწორი მორალური შეგნებისა და შეხედულებების, მართებული იდეურ-ზნეობრივი მოძღვრების დამკვიდრება რჩება. შეგნებისა და შეხედულებების გამოცვლა შედარებით სწრაფადაც შეიძლება, გრძნობების აღმოფხვრა ან გარდაქმნა კი ხანგრძლივი პროცესია.

## წერილი მეოთხე

# ოღონდ ქართულად ილაპარაკეთ...

**გურამ პეტრიაშვილი**

იმპერიის მთავარი მიზანი დაპყრობილი ერების ასიმილაციაა.

ხოლო ასიმილაციის უმძლავრესი ბერკეტი ისაა, რომ დაპყრობილ ერს თავს მოახვიო შენი ენა და ამის საშუალებით შენი კულტურა, ზნე-ჩვეულებები, ფსიქოლოგია და ხასიათი.

მოკლედ რომ ვთქვათ, რუსეთის იმპერია ქართველ ერს რუსული ენის საშუალებით არუსებს.

ასიმილაციის პირველი საფეხური, როგორც ადრე ვთქვით, ორენოვნობაა.

ჯერ ქართულ-რუსულ ცნობიერებას და აზროვნებას ჩამოუყალიბებს იმპერია ქართველ კაცს. ამით მოურყევს ქართულ ფსიქოლოგიას და ხასიათს. შემდეგ კიდევ ერთი შეტევა და... გულში ჩაიკრავს სანუკვარ პროდუქტს — მთლად გარუსებულ სუბიექტს.

მკითხველებს შეუძლიათ გაიხსენონ თავიანთი ნაცნობები, რომელთაც რუსული სკოლა დაამთავრეს და ასე თუ ისე, მაინც ამტვრევენ ქართულს, ხოლო ამ რუსეთუმეების შვილები უკვე ნაღდი რუსები არიან.

ძალიან იშვიათად ხდება, რომ ქართველმა რუსული სკოლა დაამთავროს და მაინც ქართველად დარჩეს.

მაგრამ იმპერიისდა სამწუხაროდ, მთელი ერი არაა ისეთ ჭკუაზე, რომ ყველამ რუსულ სკოლაში შეიყვანოს შვილი, ამიტომ, ისეთი ტემპით ვერ ხორციელდება ასიმილაცია, როგორც „საჭიროა".

რა ქნას იმპერიამ, რა უყოს იმ ქართველ ბავშვებს, რომლებიც ქართულ სკოლაში სწავლობენ?

ისინი როგორ გაარუსოს?

კია რუსული ენა სავალდებულო საგანი ქართულ სკოლაში, მაგრამ ეს ურჩი ქართველები მაინც ქართველებად რჩებიან.

— რა, ვქნა, რა ვქნაო, იფიქრა იმპერიამ და მოიფიქრა ეს მარტივი, მაგრამ ნაღდი ხრიკი:

ქართველ ბავშვებს რაც შეიძლება ადრე უნდა დავაწყებინოთ რუსულის სწავლაო.

ხნიერ ხალხს ახსოვს, „დიდ სამამულო" ომამდე ისე იყო, რომ მეხუთე კლასში იწყებოდა რუსულის სწავლა.

ომის შემდეგ კი უკვე მეორე კლასიდან დაგვაწყებინეს.

ხოლო ბოლოს პირველ კლასში და საბავშვო ბაღშიც შეაღწია რუსულმა.

ეს რომ მართებული არაა, ამას ადასტურებს მსოფლიოს პედაგოგიური პრაქტიკა.

საზღვარგარეთ უცხო ენის სწავლას ბავშვს აწყებინებენ ათი-თერთმეტი წლის ასაკიდან.

ასევე იქცეოდა თანამედროვე ქართული პედაგოგიკის მამა იაკობ გოგებაშვილი: მისი სკოლის ბავშვები მესამე კლასში იწყებდნენ რუსულის სწავლას. სკოლაში კი ისინი რვა წლის ასაკში შედიოდნენ.

ნუ დავიწყებთ იმპერიის დანამუსებას: ცუდად რატომ იქცევიო.

მან სწორედ ის უნდა, რაც პედაგოგიურად გაუმართლებელია და ამიტომ უფრო უკეთ ემსახურება იმპერიულ მიზნებს.

იმპერიას მისმა ხრიკმა, ცხადია, გაუმართლა.

თუ ბავშვს მანამ დააწყებინებ სხვა ენის სწავლას, სანამ მშობლიური ენა არ გამჯდარა ძვალსა და რბილში, და სანამ მშობლიური ენით შექმნილი სამყარო არ დამკვიდრებულა მის სულში, რასაკვირველია, ტვინი აემღვრევა და მისგან ადვილად გამოვა ორენოვანი, ეროვნული თვალსაზრისით არასრულფასოვანი სუბიექტი.

ცნობილ ჩეხ პედაგოგს, იან ამოს კომენსკის ამის თაობაზე აქვს ნათქვამი:

„გსურდეს, ასწავლო ვინმეს უცხო ენა, სანამ ჯერ დედაენას შეითვისებდეს, ეს უდრის იმას, რომ ვინმეს სურდეს ასწავლოს თავის შვილს ცხენოსნობა, სანამ სიარულს ისწავლიდეს" („რჩეული პედაგოგიური თხზულებანი", 1949, წ. ტ. I, გვ. 319).

ამ შედარებაში ჩაქსოვილი აზრი მე ასე მესმის:

დედაენა იმდენადვე მნიშვნელოვანი და არსებითია უცხო ენასთან შედარებით, რამდენადაც სიარული აღემატება ცხენოსნობას.

სიარული საფუძველია ფიზიკური მოქმედებებისა.

ბავშვი სიარულს რომ ისწავლის, მერე შეუძლია მდინარესთან მივიდეს ცურვის სასწავლად, ხესთან — ასაცოცებლად, ბატუტთან — ხატუნაოდ და ცხენთან — საჯირითოდ.

აი, ასევე ადამიანის აზროვნების საფუძველი უნდა იყოს დედაენა.

როდესაც ბავშვს ცნობიერება მშობლიურ ენაზე ჩამოუყალიბდება და ამით შეექმნება საფუძველი მის, ასე ვთქვათ, აზროვნულ არსებობას, მერე შეგვიძლია ვასწავლოთ, რომელიც გნებავთ სხვა, ანუ უცხო ენა.

ასეთ შემთხვევაში უცხო ენა ემსგავსება კერძო სასწავლო საგანს (როგორიცაა ქიმია, ფიზიკა და გეოგრაფია) და ხელს ვეღარ შეუშლის ცნობიერების მთლიანობას.

რა ხდება, როდესაც ადრეულ ასაკში აწყებინებენ ბავშვს სხვა ენის სწავლას?

რა მოხდება ცხენზე რომ შესვათ ბავშვი, რომელმაც ჯერ სიარული არ იცის?

ჯერ ერთი, უნაგირზე თავის შემაგრება გაუჭირდება და უფრო ძნელად ისწავლის ცხენოსნობას, ვიდრე ჩვეულებრივი ბავშვი. მეორეც, და რაც მთავარია, სხეული უშნოდ განუვითარდება, ხერხემალი გაუმრუდდება, ფეხები გაელუნება და მერე იქნებ, საწყალმა, წესიერად ველარც კი ისწავლოს სიარული.

სწორედ ამგვარადვე, ადრეულ ასაკში უცხო ენის სწავლება ამახინჯებს ცნობიერებას და აქვეითებს აზროვნების უნარს.

ვიცი, რომ ოპონენტები ბლომად ეყოლება ამ მოსაზრებებს. ვერ მიშველის ვერც ჩეხი იან ამოს კომენსკის ავტორიტეტი, ვერც რუსი უშინსკისა და ვერც ჩვენი იაკობ გოგებაშვილისა.

თანაც ეს ოპონენტები თეორიულ დავაში არც ჩაებმიან, ისინი პრაქტიკული ქმედებით გამოხატავენ თავიანთ აზრს.

მკითხველმა ალბათ იცის, იმის გარდა, რომ სახელმწიფო ბაგა-ბაღებში რუსულს ასწავლიან ქართველ ბავშვებს, თბილისში გახსნილია კერძო საბავშვო ბაღები, სადაც ინგლისურ და ფრანგულ ენებზეა სწავლა-აღზრდა.

კულტურულობის პრეტენზიის მქონე ბევრ მშობელს შეჰყავს შვილი ასეთ ბაღში:

მათ თავისი ქმედების გასამართლებელი ერთადერთი არგუმენტი აქვთ:

ცნობილია, რომ ბევრ გამოჩენილ ადამიანს ადრეულ ასაკში ასწავლეს უცხო ენებიო.

— ხედავთ? იმათ ხელი ვერ შეუშალა უცხო ენებმა, რომ დიდი მიღწევები ჰქონოდათ მეცნიერებაში და ხელოვნებაშიო — გვეტყვიან ოპონენტები.

როგორი ძველიცაა ეს არგუმენტი, ასევე ძველია მასზე პასუხი.

გენიოსები და დიდი ნიჭით დაჯილდოებული ადამიანები მაგალითებად ვერ გამოგვადგებიან. მათ თავისებური ფსიქიკა და გონებრივი თუ სულიერი შესაძლებლობები აქვთ.

აბა, ახლა იმათი რიცხვი ვიკითხოთ, ვინც ბავშვობაში უცხო ენები ისწავლა და მერე ულმობლოდ განვლო თავისი ცხოვრება ცნობიერებადარღვეულმა, აზროვნებადაქვეითებულმა და პიროვნებადაკარგულმა.

დარწმუნებული იყავით, ეს რიცხვი, მილიონჯერ მეტია იმათ რიცხვზე, რომელთაც ადრეული ბავშვობიდან ასწავლიდნენ უცხო ენებს, მაგრამ მიუხედავად ამისა, გამოჩენილი, დიდი ადამიანები გახდნენ.

ერთი სიტყვით, ბავშვი დედაენაზე უნდა აღიზარდოს.

და მცირეწლოვანი ქართველი ბავშვებისათვის რუსული ენის სწავლებას მხოლოდ ერთი სახელი ჰქვია — მტრობა საქართველოსი.

ვიდრე სახელდებით გიჩვენებდეთ, თუ ჩვენს დროში ვინ და როგორ უმტრო ქართველ ბავშვებს და საქართველოს, იმპერიის კიდევ ერთი ვერაგული ხრიკიც უნდა ვამხილო.

საბჭოთა (ანუ იმპერიული) სკოლა სწავლების განმავლობაში ბავშვს თანდათან უნერგავს აზრს, რომ რუსული ენა ქართველისათვის უცხო ენა არაა.

ესეც მარტივად კეთდება.

გაკვეთილების ცხრილში წერია:

ქართული ენა

რუსული ენა

უცხო ენა (გერმანული, ფრანგული ან ინგლისური).

თითქოს არაფერი საშინელი აქ არაა, მაგრამ აბა დააკვირდით, რა გამოდის.

გერმანული და ფრანგული თურმე უცხო ენებია, რუსული კი — არა.

მაშ, რა ან როგორი ენა ყოფილა რუსული?

თუმცა, მთლად მშობლიური ვერაო, გვეუბნებიან, მაგრამ არც ისე უცხოაო.

დედაენა თუ არა, დეიდა-ენა ნამდვილად არისო.

მოდა, ამ აზრს ათი წლის განმავლობაში სკოლაში და ხუთი წელიც ინსტიტუტში რომ აჭედებენ თავში ჟანგიანი ლურსმანივით, ბოლოს და ბოლოს კაცი ისე ეჩვევა რუსულის დეიდაენობას, რომ მართლაც აღარ მიაჩნია უცხო ენად.

ერთხელ კრებაზე ვთქვი, რუსულის გარდა უცხო ენა არ ვიცი-მეთქი და დარბაზის ნახევარს განცვიფრებისაგან — როგორ თუ რუსული უცხოაო — ხველა და ცხვირისცემინება აუტყდა.

ახლა კი ვნახოთ, თუ ვინ და როგორ „ილვწოდა" ქართველ ბავშვთა დაჩქარებული გარუსებისათვის.

ზოგმა მკითხველმა არც იცის, რომ ჩვენში ჟურნალიც კი გამოდის: „რუსსკი იაზიკ ვ გრუზინსკოი შკოლე".

ასეთი ჟურნალის არსებობა თავისთავად მრავლისმეტყველი ფაქტია.

საქართველოს ისტორია მიგდებულია (ყოველ შემთხვევაში, აქამდე ასე იყო), რუსული ენის სწავლებას კი მთელი ჟურნალი ეძღვნება.

მოდა, ამ ჟურნალის 1974 წლის პირველ ნომერში ასეთი დოკუმენტია დაბეჭდილი.

„საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 18.VI.1973 წლის № 431 ბრძანებისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს 10.VII.1973 წლის დადგენილების თანახმად მხარდაჭერილ იქნა მშობლების ინიციატივა, რომ ქართულ საბავშვო ბაღებთან შეიქმნას რუსული ენის შემსწავლელი ჯგუფები და გაეწიოს მათ ყოველმხრივი პრაქტიკული დახმარება".

ხედავთ, ძმებო, როგორ სჩადიან ღალატს?

ალბათ, ასე იჩენდა ხოლმე „ინიციატივას" რომელიღაც ქართველი. მისხდებოდა ბნელში და ციხეში შემოსასვლელ საიდუმლო კარს გაუღებდა მტერს.

კი, მაგრამ იმ ვაიმშობლების მოღალატურ „ინიციატივას" ინსტანციებმა მხარი რატომ დაუჭირესო, — იკითხავს გულდათუთქული ქართველი მკითხველი.

ვისგან გიკვირს, ძმაო, ზემდგომი ინსტანციებისაგან?

ნუ გიკვირს.

ეს სხვა თემაა, ამაზე სხვა დროს ვილაპარაკოთ. ახლა კი იმათზე ვთქვათ, ვინც ვალდებული იყო, წინ აღდგომოდა ინსტანციების ბრძანებებსა და დადგენილებებს.

რა ქნეს ქართველმა პედაგოგებმა?

რასაკვირველია, შეებრძოლნენ ანტიპედაგოგიურ და ანტიქართულ ბრძანებასა და დადგენილებას.

შეებრძოლნენ და დაასაბუთეს კიდეც იმ ბრძანებისა და დადგენილების მცდარობა. ეს არ იყო ძნელი, რადგან აღნიშნულ დოკუმენტს მხოლოდ [illegible] არგუმენტი ახლავს:

„ტენდენცია იმისა, რომ მეორე ენა, ბავშვის სკოლაში წასვლამდე დიდი ხნით ადრე ისწავლებოდეს, განპირობებულია ბავშვების ფსიქოლოგიური შესაძლებლობებით. ბავშვები მეორე ენას უფრო იოლად და უფრო ბუნებრივ პირობებში, მიბაძვის გზით სწავლობენ სკოლამდელ ასაკში".

განა შეიძლება ასეთი არგუმენტი არგუმენტად ჩაითვალოს?

რასაკვირველია, არა!

ბავშვი ყოველთვის ყველაფერს იოლად სწავლობს. ჩვენი ვალია, მას ის ვასწავლოთ, რაც საჭიროა.

ხოლო უცხო ენა პატარისათვის არათუ საჭირო არაა, არამედ მავნეცაა.

ამ ჭეშმარიტი აზრის გასამაგრებლად, ჭეშმარიტად ქართველმა პედაგოგებმა, ცხადია, კვლავ პედაგოგიკის კორიფეებს მიმართეს.

ჩეხი იან ამოს კომენსკიც გაიხსენეს, რუსი კონსტანტინე უშინსკიც და, რაც მთავარია, ქართველი იაკობ გოგებაშვილიც.

და გაიმარჯვებდნენ კიდეც. არ შეუშვებდნენ ქართულ საბავშვო ბაღებში რუსულს, მაგრამ პედაგოგთა შორისაც აღმოჩნდნენ მტრისთვის კარის გამღებნი, ანუ ციხის შიგნიდან გამტეხნი.

მათ აიტაცეს იმპერიის ნაკარნახევი იდეა და ჩაიხუტეს ვერქართულ მკერდში.

თანამედროვე, როგორც ირაკლი წერეთელი იტყვის, მოდერნიზებული იმპერია თავის იდეებს „დელიკატური" ხერხებით ახორციელებს.

ცარისტული იმპერია ადგებოდა და პირდაპირ გამოსცემდა კანონს, ასე და ასეო, კეთილი ინებეთ და როგორც გიბრძანებთ, ისე მოიქეცითო.

მოდერნიზებული იმპერია კი იპოვის რამდენიმე ქართველს, რომლებსაც უკარნახებს თავის იდეას და ესენი დაიწყებენ იდეის ხორცშესხმას.

იმპერია ამათ დაარქმევს ნოვატორებს, პროგრესისტებს და მთელი ქართველი ერის ინტერესთა გამომხატველებს, ხოლო იმათ, ვინც იმპერიულ იდეას წინ აღუდგება, მიაკერებს ჩამორჩენილობა და ნაციონალისტის იარლიყს.

რა უნდა ქნა კაცმა?

ვერაფერს ველარ იზამ!

ვინ არიან ხოლმე ციხის შიგნიდან გამტეხნი?

რატომ ხდება ადამიანი მოღალატე?

ამის მთავარი მიზეზი გახლავთ კარიერის მოწყობის სურვილი.

იმპერიის დასაყრდენი ძალა სწორედ ის ხალხია, ვისაც კარიერის მოწყობა კი სურს, მაგრამ ნიჭი და უნარი ნაკლებად გააჩნია.

და ხდება ორმხრივ სასარგებლო გარიგება:

— შენ დამეხმარები ჩემი იმპერიული მიზნების განხორციელებაში, მე კი შენ კარიერის კიბეზე სასწრაფოდ აგაცუნცულებო — ეტყვის იმპერია კარიერის მძებნელს და დაჰკრავენ ხელსხელს.

სწორედ ასე დაჰკრეს და დაიძრა საზარელი საქმე.

ეტყობა, ვიღაც-ვიღაცეებს ძალიან ეჩქარებოდათ კარიერისტული აღმასვლა და ისე ძალიან დაფაცურდნენ, რომ იმ ბრძანების გამოქვეყნებიდან სულ რაღაც სამ წელიწადში შესაძლებელი გახდა მოსკოვურ „უჩიტელსკაია გაზეტაში" ასეთი რამ დაბეჭდილიყო: „სსრკ-ს განათლების სამინისტროში" კოლეგიის მორიგ სხდომაზე განხილულ იქნა საქართველოს სსრ-ს ნაციონალურ სკოლამდელ დაწესებულებებში რუსული ენის სწავლების საკითხი.

(გაგრძელება მე-12 გვ.).

(გაგრძელება)

250 სკოლამდელ დაწესებულებაში (1621-დან), შექმნილია 700 ჯგუფი, სადაც სწავლობს 4-7 წლის ასაკის 10500 ბავშვი. უკვე არსებობს მეთოდური მითითებები. საბავშვო ბაღში ორგანიზებულია რუსული ენის კუთხეები.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კადრების შერჩევას. ბავშვებს ასწავლიან მასწავლებლები და აღმზრდელები, რომლებმაც დაამთავრეს უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლები რუსულ ენაზე. ხორციელდება პედაგოგთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ღონისძიებები.

პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ ბავშვები კარგად ითვისებენ საპროგრამო მასალას, წარმატებით ხსნიან პროგრამით გათვალისწინებულ სალექსიკონო მინიმუმს.

საბავშვო ბაღებში სწავლება საშუალებას აძლევს ბავშვებს უმცირესი დაძაბულობის ხარჯზე და უფრო ხარისხიანად აითვისონ რუსული ენის პროგრამა, რომელიც გათვალისწინებულია ნაციონალურ სკოლაში.

ამასთანავე სწავლების ორგანიზაცია მოითხოვს რათა შემდეგში გადაწყდეს მთელი რიგი პრობლემებისა, რომლებიც დაკავშირებულია სწავლების პროგრამისა და მეთოდების სრულყოფასთან, სკოლამდელი დაწესებულებების მეთოდური ლიტერატურითა და სასწავლო-თვალსაჩინო საშუალებებით მომარაგებასთან და კადრების მომზადებასთან.

კოლეგიამ მოიწონა (одобрила) მუშაობა, რომელიც ტარდება საქართველოს სსრ-ში სკოლამდელ დაწესებულებებში რუსული ენის სწავლებისათვის. მოკავშირე რესპუბლიკების განათლების სამინისტროებს რეკომენდაცია ეძლევათ (рекомендовано), „განიხილონ სკოლამდელ დაწესებულებებში ამგვარივე სწავლების განვითარების შესაძლებლობის საკითხები".

ხედავთ, როგორ გამოიჩინეს თავი ვითომქართველმა ვითომპედაგოგებმა?

იმპერიამ მათ მონურ გულმოდგინებას „ოდობრილა"-ც უქნა და სხვებს სანიმუშო მაგალითადაც კი დაუსახა — „რეკომენდოვანო"-ო.

როგორც მითხრეს, ამის შემდეგ ერთ-ერთ საკავშირო (ანუ იმპერიულ) კონფერენციაზე ბალტიისპირელ პედაგოგებს საყვედური უთქვამთ და კულტურულადაც გამოულანძღავთ კიდეც ჩვენი ლაქია პედაგოგები. თუ თავი არ გენანებათ, ჩვენ რაღას გვერჩით, რათა გვლუპავთო.

რატომ თავი არ გაუტეხეს!

მკითხველს ალბათ აინტერესებს, თუ კონკრეტულად ვინ ახორციელებდა საქართველოში ამ ვეება მასშტაბის ღონისძიებებს. ხუმრობაა 250 საბავშვო ბაღის ანუ 700 ჯგუფის ანუ 10500 ბავშვის გარუსებისთვის „ლვწვა" და ოფლის ღვრა? ამას დიდი ენერგიისა და გაქანების ხალხი სჭირდება.

სხვამ ალბათ სხვა სახელები იცის, მე კი იმათ შესახებ გეტყვით, ვის ნამოღვაწარსაც ვიცნობ.

**«Развитие первоначальных навыков русской речи в грузинских детских садах».**

აი, ასეთი „პედაგოგიური" ნაა-ზრევი იბეჭდებოდა ზემოთხსენებული ჟურნალის ოთხ ნომერში.

ბოლოში მიწერილი იყო:

„შედგენილია საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ექსპერიმენტული დიდაქტიკის ლაბორატორიის უფროსი მეცნიერი მუშაკის ვ. გ. ნიორაძის მიერ"-ო.

საინტერესოა, როდესაც უფროსი მეცნიერი მუშაკი ვ. გ. ნიორაძე ქართველი ბავშვების გარუსების გეგმებს ასე თავგამოდებით ახორციელებდა, სად იყო მისი უშუალო ხელმძღვანელი, რატომ არაფერი უთხრა?

ნუთუ მისი ნებართვის გარეშე დაბეჭდა თავისი ოდიოზური ოპუსი ვ. გ. ნიორაძემ?

თუ მართლაც ასე მოხდა, რა ქნა შემდეგ ხელმძღვანელმა? როგორ დასაჯა ურჩი თანამშრომელი?

არავინაც არ დაუსჯიათ.

დაუსჯიათ კი არადა, წაბით რა თქვა ხელმძღვანელმა თავის მეცნიერ მუშაკზე:

**«Дети... вы разрешите мне от вашего имени передать благодарность ученым и учителям — Валерии Гивиевне Ниорадзе и Ии Михайловне Манджгаладзе, у которых я научился для вас методике обучения высказываниям на глагольной основе?»**

კითხვის ნიშანი აქ ნაზხვათაშორისოდაა დასმული. ავტორი რასაკვირველია, დარწმუნებულია რომ ბავშვები აღტაცებულნი დაეთანხმებიან: აუცილებლად უთხარით მადლობა ჩვენს გამრუსებელ დეიდებსო.

ხედავთ რა ხდება?

თქვენ კი, მკითხველნო, ჩემი არ იყოს, გეგონათ, რომ ხელმძღვანელი დასჯიდა თავის თანამშრომელს.

ისლა დამრჩენია, გითხრათ, რომ ხელმძღვანელი ქმარი გახლავთ თანამშრომლისა, ხოლო ხელმძღვანელის მიერ მეუღლისადმი აღვლენილი ხოტბა დაბეჭდილია მისსავე წიგნში: **«Здравствуйте, дети!» (Москва. Просвещение, 1983.).**

ალბათ, ბევრი მკითხველი უკვე მიხვდა, ვისთანაც მივვიყვანა ამბავმა.

დიახ, დიახ, შალვა ამონაშვილთან.

სწორედ ისაა იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის ინსტიტუტის დირექტორი.

მიკიბვ-მოკიბვის გარეშე უნდა განვაცხადო, რომ შ. ამონაშვილი არის ტიპიური მაგალითი ისეთი „ნაცმენი" მეცნიერისა, ვინც იმპერიასთან ორმხრივ ხელსაყრელ გარიგებაშია.

— შენ მანდ ხალხი გამირუსე და აქ მე ვიცოდე, როგორ ჯინჯილებსაც ჩამოგკიდებო — ალბათ ერთხელაც სიტყვა გადაუკრა იმპერიამ ამონაშვილს.

— კი ბატონოო, — თავი წახარა ამანაც და აჰა, შედეგიც გულგასახარი და თვალისა დამატკბობელი:

შ. ამონაშვილი არა მარტო ინსტიტუტის დირექტორია, არამედ სასწავლო-საწარმოო სამეცნიერო გაერთიანების გენერალური დირექტორიც.

ეს აქ.

ხოლო „იქ" საბჭოთა კავშირის პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსია და როგორც ამბობენ, კინაღამ იმ აკადემიის პრეზიდენტობასაც კი გამოჰკრა ხელი. ამასთანავე, უფრო მყარად რომ იდგეს ფეხზე, „პატრონებმა" მას საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატობაც უბოძეს.

ვიცი, რომ მძიმე ბრალდება წავუყენე ადამიანს.

ამას, ცხადია, ვერ გავბედავდი, საბუთები რომ არა მქონდეს.

მინდა გითხრათ, რომ მათემატიკასავით პატიოსანი საბუთებიანმტკიცებიანი კრიტიკა მიყვარს.

ჯერ თეორემის წამოყენება, შემდეგ მისი დამტკიცება.

ჩემი „თეორემა" ორი ნაწილისაგან შედგება:

1. შალვა ამონაშვილი ცუდი მეცნიერია.

2. მისი „მოღვაწეობა" მართლაც იმპერიისათვის საჭირო იდეების განხორციელებაა და მეტი არაფერი.

ჯერ პირველ ნაწილზე მოგახსენებთ.

ალბათ გახსოვთ შ. ამონაშვილის „კამფეტების ერთობლივი წუწვნისა" და „თვალხუჭთავჩალუნობასას" მეთოდებზე თუ როგორ გვაცინა თამაზ წივწივაძემ.

საპასუხო წერილში აღნიშნული „მეთოდები" ვერ დაიცვა მათმა ავტორმა. მან ზოგადად განაცხადა, ეგეთი ტონით დაწერილ კრიტიკას არც ვუპასუხებო.

ვერ უპასუხებდა, თორემ როგორ არ უპასუხებდა.

ეს რომ მართლაც ასეა, ის ფაქტი ადასტურებს, რომ რაღაცაში მაინც შეეკამათა კრიტიკოსს.

ვნახოთ, როგორ შეეკამათა.

თამაზ წივწივაძემ გააცამტვერა შ. ამონაშვილის მიერ შედგენილი საკითხავი წიგნი. დაასაბუთა, რომ ეს წიგნი გრაფომანული „ნაწარმოებებითაა" სავსე.

ამაზე ამონაშვილმა უპასუხა, ლიტერატორი არა ვარ და იმიტომ შემეშალაო.

პასუხში გამოსჭვივის ის ამბავი, რომ შ. ამონაშვილმა თურმე არც კი იცის, თუ რა თვისებები უნდა ჰქონდეს პედაგოგს.

იაკობ გოგებაშვილი, რომელთან შეფარულ პოლემიკასაც წარმოადგენს შ. ამონაშვილის მთელი „მოღვაწეობა", ბრწყინვალე მცოდნე გახლდათ ლიტერატურისა. უფრო სწორად, მცოდნე კი არა — შემგრძნობი.

პედაგოგიკა ბავშვის სულის მშვენიერ ყვავილად გაფურჩქვნაა და თუკი პედაგოგი ვერ შეიგრძნობს ადამიანის სულის უპირველეს გამოვლინებას — სიტყვის ხელოვნებას, ის რაღა პედაგოგია.

თამაზ წივწივაძესთან ხერიოზულ შეჭიდებას რომ თავი აარიდა „ტონი არ მომეწონას" მომიზეზებით, საინტერესოა შოთა ნადირაშვილის წერილს რაღა მიზეზით არ გასცა პასუხი შალვა ამონაშვილმა?

ბატონმა შოთამ ჭეშმარიტი მეცნიერული არგუმენტაციითა და უნაკლო მსჯელობით ქვა ქვაზე აღარ დატოვა შ. ამონაშვილის პედაგოგიური „ექსპერიმენტებისასაგან". უფრო მეტიც, აღნიშნულ წერილში დასაბუთებულია, რომ ექსპერიმენტი, როგორც ასეთი, არც ჩატარებულა.

ექსპერიმენტი ხომ იმას ჰქვია, როდესაც მეცნიერს აქვს რაღაც ჰიპოთეზა და ექსპერიმენტი, მას სჭირდება ამ ჰიპოთეზის სისწორის შესამოწმებლად.

შ. ამონაშვილს არავითარი პედაგოგიური ჰიპოთეზები არ წამოუყენებია.

მისი და მისი მომხრეების ქმედების არსი ასეთია:

მოდი, ასე და ასე აღვზარდოთ ბავშვები, ვნახოთ რა გამოვაო.

ასეთი ქმედება კი სცილდება მეცნიერების საზღვრებს და ეთიკის სფეროში გადადის.

უბრალოდ რომ ვთქვათ „ვნახოთ რა გამოვა"-ს მეთოდი, როცა საქმე ბავშვებს ეხება, უზნეო მეთოდია.

რადგან არც თვით შ. ამონაშვილს და არც ქართველ პედაგოგთაგან ჯგუფად განმდგარ მის რამდენიმე მომხრეს არ გაუბათილებიათ მისი „მოღვაწეობის" კრიტიკოსთა არგუმენტები, შემძლია დასაბუთებულად ჩავთვალო, რომ შ. ამონაშვილის მეცნიერობა და აკადემიკოსობა ერთი ჩვეულებრივი საბჭოთა ბლეფია.

თუკი ბატონი შალვა ბოლოს და ბოლოს მიიღებს კრიტიკოსების გამოწვევას და თავისი „მეთოდების" დაცვას დაიწყებს, ახლავე ვაფრთხილებ, რომ გავაშიშვლებ მისი რუსულად გამოცემული ორი წიგნი („ზდრავსტვუიტე, დეტი", „კაკ პოჟივაიტე, დეტი") და შიგ ისეთ დიდრონ „მარგალიტებს" წავაწყდი, რომელთა სიმშვენიერესაც ვერაფრით დაიცავს ვერავინ.

აქ ამ წიგნებზე ვრცლად მსჯელობის ადგილი არაა, მაგრამ უსაბუთო კრიტიკოსის სახელი რომ არ გამივარდეს, ერთი პედაგოგიური „მარგალიტის" ბრწყინვას მაინც გაგიზიარებთ.

გადავშალოთ „ზდრავსტუიტე, დეტი!" 37-ე გვერდზე:

შ. ამონაშვილი ეუბნება პირველკლასელებს, თქვენ უკვე დიდები ხართ, არ გინდათ პატარებს უცქიროთო?

სად არიან პატარებიო? — ჰკითხეს იმათ.

პედაგოგი პასუხობს:

**«В детском саду. Хотите, я поведу вас к ним? Вы ПОНАБЛЮДАЕТЕ за ними, а потом расскажем друг другу, как они себя ведут!.. Приготовились... Станьте по двое... Вот так! Берите по одному флажку, — на улице мы всегда будем ходить с флажками. Пошли! Мамы, сопровождайте нас, пожалуйста!»**

ჯერ ეს ვიკითხოთ, რა ალმებზეა აქ ლაპარაკი?

შ. ამონაშვილის პედაგოგიკას უფრო საფუძვლიანად რომ გავაცნობთ, ეჭვის ნატამალიც აღარ დაგრჩებათ, რომ მან სწორედ წითელი ალმები დააკავებინა ხელში პირველკლასელებს.

რატომაა აუცილებელი, რომ ქუჩაში წითელი ალმებით ხელში უნდა იარონ პირველკლასელებმა?

საიდუმლოა!

და ეს საიდუმლო არც ბავშვებს, არც იმათ დედებს და არც ჩვენ, მკითხველებს, არ გაგვიმხილა პედაგოგმა.

მთავარი კი მოტანილ ნაწყვეტში არის სიტყვა „პონაბლიუდაეტე".

რატომ უნდა ჩაუნერგო ბავშვს, რომ ვინმე შეიძლება იყოს თვალთვალისა და დაკვირვების ობიექტი?

ამას ცუდი სუნი უდის.

გავყვეთ ამბავს.

აი, პედაგოგმა მიიყვანა პირველკლასელები საბავშვო ბაღთან.

**«Я предлагаю своим детям спрятаться за кустами и оттуда ВЕСТИ СВОЕ НАБЛЮДЕНИЕ так, чтобы маленькие их не заметили».**

— ერიჰა, ბატონი შალვა აღარა ხუმრობსო — ალბათ იფიქრეთ, თქვენ, ძვირფასო მკითხველებო.

მართლაც აღარა ხუმრობს. ნახეთ რას ეუბნება; ისე უნდა უთვალთვალოთ, რომ იმათ ვერ შეგამჩნიონო.

რა ჰქვია ფარულ მოთვალთვალეს?

მზვერავი, ბატონებო, ანუ „რაზვედჩიკი" იმ ენაზე, რომელზეც აღნიშნული წიგნია დაწერილი.

მართლაც აქეთ მიდის საქმე.

**«Ребятишки располагаются вдоль изгороди, кто садится на травку, кто опускается на колени; каждый НАХОДИТ ОКОШЕЧКО в кустах и ВЕДЕТ НАБЛЮДЕНИЕ. Я же, КАК КОМАНДИР В ТРАНШЕЕ, осторожно передвигаюсь ОТ ОДНОЙ ГРУППЫ НАБЛЮДАТЕЛЕЙ к другой и СОБИРАЮ СВОДКУ, а порой ВЕДУ НАБЛЮДЕНИЕ вместе с ними...»**

დიდება შენდა ღმერთო! იხსენ სულები ჩვენი!

ხედავთ მეგობრებო, როგორები ყოფილან საბჭოთა კავშირის პედაგოგიკის აკადემიის აკადემიკოსები?

თურმე მათ შეუძლიათ პირველკლასელი ბავშვები მოთვალთვალე ჯგუფებად ჩასვან ბუჩქებში და მერე „სვოდკები" აგროვონ, როგორც მთავარმა მოთვალთვალეებმა. საწყენია, რომ ავტორს დაავიწყდა ეთქვა, თუ დედები რაღას აკეთებდნენ, როცა მათ შვილებს მზვერავებად წვრთნიდა აკადემიკოსი. მისი ჩანაფიქრით, ალბათ ისინი აღტაცებულნი შესცქეროდნენ პედაგოგ-აკადემიკოსს და წითელ ალმებს აფრიალებდნენ საბჭოთა პედაგოგიკის ტრიუმფის აღსანიშნავად.

**«Я отвожу их в сторонку и они всеми средствами экспрессии рассказывают мне и друг другу, КАКИЕ ЭТИ МАЛЫШИ, ОКАЗЫВАЕТСЯ, СМЕШНЫЕ».**

პატარები სასაცილოები ყოფილან, ასე შეაჯამა მოთვალთვალეთა „სვოდკები" აკადემიკოსმა.

ნუთუ ერთმანეთთან მოთამაშე საბავშვო ბაღის აღსაზრდელები უფრო სასაცილონი არიან ვიდრე ბუჩქებში გატრუნულ მზვერავ-მოთვალთვალეთა ჯგუფები და მათი აკადემიკოსი პედაგოგი?

საინტერესოა, რა დაინახა სასაცილო ჩვენმა პედაგოგმა აი, ამ „სვოდკაში":

**«Два мальчика бегали и столкнулись друг с другом. Оба упали и один так заорал: «Мама!»**

„ვაი დედაო" ბავშვი რომ დაიყვირებს, ეტყობა რაღაც ეტკინა ძალიან.

და თუ ამ დროს ბუჩქებში ზიხარ და არხეინად განაგრძობ თვალთვალს, ცუდადაა შენი ზნეობის საქმე, უბრალო პირველკლასელი ხარ თუ პედაგოგიკის აკადემიკოსი.

ვინმეს რამე რომ ეტკინება, ტკივილი უნდა დაუამო და არ უძახო, სასაცილო და სულელი ხარო.

**«Какие они глупенькие... Вы еще приведете нас сюда? Да, конечно, дети, приведу! Вам же так хочется быть взрослыми! Наблюдая за поступками детей, которые младше, ЗАБОТЯСЬ О НИХ, вы почувствуете долг старшего, и чем глубже станет это чувство, тем быстрее вы будете взрослеть!..»**

ამით მთავრდება თავი, რომელსაც სათაურად აქვს „Ступенька взросления".

კაი „სტუპენკაა", ჩემმა მზემ!

ალბათ შემდეგი საფეხური ის იქნება, რომ კარის ჭუჭრუტანებთან ჩამოარიგებენ პირველკლასელებს.

აღსანიშნავია ისიც, რომ ჩვენს პედაგოგ-აკადემიკოსს თავისი ნაწერიდან სწორი დასკვნების გამოტანაც არ შეუძლია.

რომ წერს „заботясь о них"-ო, სადა ნახა ეს „ზაბოტა"?

ბუჩქებიდან თვალთვალს კანა ზრუნვა ჰქვია?

თვალთვალს ჰქვია თვალთვალი და კიდევ — ზვერვა.

დაბოლოს, როდესაც ბავშვს ასწავლი თვალთვალს და შეგროვილი ცნობების შენთან მოტანას, ერთხელაც იქნება და ეს საქციელი საშინელ ზნეობრივ დანაშაულად გადაიქცევა.

ასე, მაგალითად. ხომ შეიძლება, რომ ერთ მშვენიერ დღეს ერთმა საბავშვო ბაღელმა მეორეს უთხრას, აგერ იქ ბუჩქებში რომ ვილაცეები სხედან და გვითვალთვალებენ, ცოტა ჭკუაზე აფრაკად ხომ არ არიან თავიანთ პედაგოგთან ერთადო.

მოთვალთვალე ამ „სვოდკას" პედაგოგს მოუტანს და გახდება ნამდვილი მაბეზღარა ჯაშუში.

აი, ასეთი პედაგოგი და მეცნიერი გახლავთ შალვა ამონაშვილი. და ჩემი „თეორემის" პირველი ნაწილის მტკიცებას ამით ვამთავრებ. ვინც ვერ დავაჯერე, უმორჩილესად ვთხოვ, შემეკამათოს. •

(გაგრძელება იქნება)

## ჩაივლიან და გაიღიმებენ

თბილისში, საბურთალოს რაიონში, ერთი პატარა, წყნარი ქუჩაა, თუმცა სახელი, ცოტა არ იყოს, უცნაური აქვს — „წითელი პარტიზანების" ქუჩა.

კაცმა რომ თქვას, რას ვერჩით პარტიზანებს, თუნდაც „წითლებს", მაგრამ დღეს, როცა უამრავი კეთილშობილური საქმე ხორციელდება, როცა ბევრ ღირსეულ, აქამდე ჩრდილში მდგომ მოღვაწეს მივაგეთ შესაფერი პატივი, ვფიქრობთ, ურიგო არ იქნება, თუ ამ ქუჩასაც შევუცვლით სახელს. მითუმეტეს, რომ ამ პატარა ქუჩაზე ქართველებისთვის საყვარელი მსახიობი იპოლიტე ხვიჩია ცხოვრობდა. განა დავიწყებას იმსახურებს ქართული კინოს დამამშვენებელი უბადლო ღიმილის ოსტატი?

ამდენი უბედურების და ცრემლის შემყურე თბილისელებს ღიმილი და სიხარული დაგვავიწყდა, ჰოდა, როგორც პოეტმა თქვა, ვაჩუქოთ ერთმანეთს სიხარული, ხოლო საბურთალოს რაიონის მაცხოვრებლებს ერთი საჩუქრით მეტი — იპოლიტე ხვიჩიას სახელობის ქუჩა.

წინასწარ გიხდით მადლობას. ვიცით, თბილისელები გულგრილნი არ დარჩებიან. ყველა სიამოვნებით ჩაივლის იპოლიტე ხვიჩიას ქუჩაზე, ჩაივლის, გაახსენდებათ ნიჭიერი, კეთილშობილი მსახიობი და გაეღიმებათ.

**ხელს აწერს ოცდაორი მოქალაქე.**

## ლიტერატურული დილა

ამას წინათ, თბილისის მე-15 საშუალო სკოლის ექსპერიმენტული Iა კლასის (ხელმძღვანელი ნუნუ შველიძე) მოსწავლეებმა გამართეს ლიტერატურული დილა, რომელიც მიეძღვნა დავით აღმაშენებლის ხსოვნას.

ამ დღემ კიდევ ერთხელ დაადასტურა ის ჭეშმარიტება, რომ ნორჩი თაობის ეროვნული სულისკვეთების ჩამოყალიბება სკოლის პირველივე კლასიდან იწყება, რომ ბავშვების პატრიოტულ აღზრდას სწორი მიმართულება ესაჭიროება. ამ მიზანს ისახავდა ეს დღეც. საგულისხმოა ისიც, რომ პირველკლასელები პაატა საააძის საზოგადოების წევრები არიან.

ლიტერატურულ დილაზე საპატიო სტუმრად მიწვეული იყო დავით აღმაშენებლის საზოგადოების პასუხისმგებელი მდივანი, პოეტი ბალათერ არაბული.

# განდგომილი პასტერნაკი

მე დავიბადე სამი წლით ადრე იმ მოვლენებამდე, რომლებზეც ვწერ და, ბუნებრივია, არ შემიძლია ჩემი პირადი შთაბეჭდილებები გაგიზიაროთ. მაგრამ მაინც ვერ ვბედავ. არ მინდა ბორის პასტერნაკის ირგვლივ მოწყობილ იდეოლოგიურ შაბაშთან ჩემი დამოკიდებულების დამალვა.

„ჩვენ სახელდებით გავიხსენებთ ყველას, ვინც ჩვენზე ხელი აღმართა!" — გვიანდერძა გალიჩმა. ყველას გავიხსენებთ, სახელდებით გავიხსენებთ. არა გვაქვს ჯალათთა სახელების მიჩუმათების, დამსმენ-მაბეზღართა ფსიქოლოგიის დეტალების აწონ-დაწონის, ეგზეკუციის დროის მჭვრეტელთა ნაზი სულების უსიამო გახსენებათაგან დაფარვის უფლება... მიტევების უფლება მხოლოდ მსხვერპლთა აქვთ. ბორის პასტერნაკის გათელვის, ზნეობრივად დაგმობის, საზოგადოების მიერ ჩადენილი ცოდვის გამო მონანიება ყველა ჩვენთაგანის მოვალეობაა.

●

**„თუ ტანჯვით შეიძლება გამოხყიდვა იმ ხიმართლისა, რომელიც მე ვიცი, ეს ახალი ამბავი არ იქნება და ყოველგვარი ტანჯვისთვის მზადა ვარ". ბ. პასტერნაკი, 1957 წლის 20 აგვისტო.**

1957 წლის 5 ოქტომბერს იტალიაში გამოდის ბ. პასტერნაკის რომანი „დოქტორი ჟივაგო" იტალიურ ენაზე.

1958 წლის 24 აგვისტოს ჰოლანდიაში „დოქტორი ჟივაგო" პირველად გამოდის რუსულ ენაზე.

1958 წლის 23 ოქტომბერს ბ. პასტერნაკს ნობელის პრემია ენიჭება „თანამედროვე ლირიკულ პოეზიასა და რუსული პროზის ტრადიციულ სარბიელზე დიდი მიღწევებისთვის".

...ოვაციები არ ყოფილა. ადამიანის სულის ინჟინრები ემზადებოდნენ მორიგი იდეოლოგიური იერიშისთვის — არ ეეჭვებოდათ, რომ ახლაც, ჩვეულებისამებრ, შესძლებდნენ გათავხედებული იმპერიალიზმისთვის ყურის აწევას. ლიტერატურულ მოხალისეთა მხედრიონისა და პირველი დათბობის დროინდელ ფერმკრთალ თეთრყვავილათა — მემარჯვენეთა და მემარცხენეთა, უნიჭოთა და ნიჭიერთა, ხანდაზმულთა და ახალგაზრდათა — ერთსულოვანი აღტყინება, ჭეშმარიტად გასაოცარი თანადგომა. „უცოდველო ლაქიავ, ნერწყვი მოიმარაგე, ადრიანად ისწავლე სამართლიანად განრისხება!" — ასე წერდა გალიჩი. თავშენახულმა „ნოვი მირმა" არქივებიდან ძველი რეცენზია ამოაჩოჩა...

**„ლიტერატურნაია გაზეტას" რედაქციას.** ჟურნალ „ნოვი მირის" რედაქცია გთხოვთ, თქვენს გაზეთში გამოაქვეყნოთ 1956 წელს ჟურნალის მაშინდელი რედკოლეგიის წევრების მიერ ბ. პასტერნაკისთვის მისი რომანის „დოქტორი ჟივაგოს" ხელნაწერის გამო გაგზავნილი წერილი.

...ჩვენ ამჯერად აუცილებლად მივიჩნევთ გავასაჯაროოთ „ნოვი მირის" წინანდელი რედკოლეგიის წევრთა ეს წერილი ბ. პასტერნაკისადმი. ის საკმაოდ დამაჯერებლად ხსნის, რატომ არ შეიძლებოდა პასტერნაკის რომანი გამოქვეყნებულიყო საბჭოთა ჟურნალში, თუმცა, ბუნებრივია, ეს წერილი სრული ძალით არ გამოხატავს არა მარტო ჩვენს, არამედ ყველა საბჭოთა მწერლის იმ გულისწყრომასა და ზიზღს, რომელიც გამოიწვია პასტერნაკის ამჟამინდელმა სამარცხვინო, ანტიპატრიოტულმა პოზიციამ". ჟურნალ ნოვი მირის" მთავარი რედაქტორი **ა. ტვარდოვსკი**, სარედაქციო კოლეგია: **ე. გერასიმოვი, ს. გოლუბევი, ა. დემენტიევი** (მთავარი რედაქტორის მოადგილე), **ბ. ზაკსი, ბ. ლავრენევი, ვ. ოვეჩკინი, კ. ფედინი.** 1958 წლის 24 ოქტომბერი.

**ჟურნალ „ნოვი მირის" რედკოლეგიის წევრთა წერილიდან ბ. პასტერნაკისადმი:**

„თქვენი რომანის სულისკვეთება სოციალისტური რევოლუციის მიუღებლობის სულისკვეთებაა. თქვენი რომანის პათოსი იმის მტკიცების პათოსია, რომ ოქტომბრის რევოლუციას, სამოქალაქო ომს და მათთან დაკავშირებულ შემდგომ სოციალურ მოვლენებს ხალხისთვის ტანჯვის გარდა არაფერი მოუტანია, რუსი ინტელიგენცია კი ან ფიზიკურად მოსპეს ან მორალურად". **ბ. აგაპოვი, ბ. ლავრენევი, კ. ფედინი, კ. სიმონოვი, ა. კრივიცკი,** 1956 წ. სექტემბერი.

„ლიტერატურნაია გაზეტა" ოპერატიულად გამოეხმაურა „ნოვი მირის" თხოვნას: 1958 წლის 25 ოქტომბერს გამოაქვეყნა ორივე წერილი, რომლებსაც წარუმძღვარა თავისი სარედაქციო სტატია „საერთაშორისო რეაქციის პროვოკაციული გამოხდომა". „სიტყვიერებისა და ენათმეცნიერების შვეციის აკადემიამ 1958 წლის ნობელის პრემია ლიტერატურის დარგში მიანიჭა პოეტ-დეკადენტ ბ. პასტერნაკს, „როგორც თანამედროვე ლირიკაში, ისე დიდ რუს პროზაიკოსთა ტრადიციების



სფეროში მის მიერ შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისთვის" (დადგენილებაში ასეა ნათქვამი). ამ სენსაციურ, სიცრუითა და ფარისევლობით გამოწვეულ გადაწყვეტილებას რეაქციული ბურჟუაზიული პრესა აღფრთოვანებული ღრიანცელით შეხვდა".

„რეაქციული პროპაგანდის აურზაური ლიტერატურული სარეველას ირგვლივ", — „განაწყენებული და გაბოროტებული ობივატელის უსაშველოდ გაზვიადებულმა წარმოდგენამ თავის თავზე პასტერნაკის სულში საბჭოური ღირსებისა და პატრიოტიზმის ყოველგვარი კვალი წაშალა, — შენიშნავს **დ. ზასლავსკი** „პრავდის" იმავე ნომერში, — პასტერნაკი მთელი თავისი მოღვაწეობით ადასტურებს, რომ ნათელი კომუნისტური საზოგადოების აშენების პათოსით ანთებულ ჩვენს სოციალისტურ ქვეყანაში ის სარეველაა".

და მწერალთა მეგობრული ბრიგადა მწერლური ყანის მარგვლას იწყებს: „გუშინ სსრკ მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის, რსფსრ მწერალთა კავშირის ორგკომიტეტის ბიუროსა და მწერალთა კავშირის მოსკოვის განყოფილების გამგეობის პრეზიდიუმის გაერთიანებულ სხდომაზე განიხილეს სსრკ მწერალთა კავშირის წევრის ბ. პასტერნაკის საბჭოთა მწერლისთვის შეუფერებელი მოქმედების საკითხი, სხდომის თავმჯდომარის ნ. ტიხონოვის შესავალი სიტყვისა და სსრკ მწერალთა კავშირის გამგეობის მდივნის გ. მარკოვის გამოსვლის შემდეგ გაიშალა ცხარე მსჯელობა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს **ს. მიხალკოვმა, ვ. კატაევმა, გ. გულიამ, ნ. ზარიანმა, ვ. აჟაევმა, მ. შაგინიანმა, მ. ტურსუნ-ზადემ, ი. სმოლიჩმა, გ. ნიკოლაევმა, ნ. ჩუკოვსკიმ, ვ. პანოვამ, მ. ლუკონინმა, ა. პროკოფიევმა, ა. კარაევამ, ლ. სობოლევმა, ვ. ერმილოვმა, ს. ანტონოვმა, ნ. გრიბაჩოვმა, ბ. პოლევოიმ, ს. ს. სმირნოვმა, ა. იაშინმა, ა. ნილინმა, ს. ვ. სმირნოვმა, ა. ვენცელოვამ** და სხვებმა. ყველა გამომსვლელმა ერთხმად დაგმო... ერთხმად მოუწოდეს ყველა საბჭოთა ლიტერატორს კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმონ... კიდევ უფრო მეტად იფხიზლონ..." და ა. შ. და ა. შ.

**სსრკ მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის, რსფსრ მწერალთა კავშირის ორგკომიტეტის ბიუროს, რსფსრ მწერალთა კავშირის მოსკოვის განყოფილების გამგეობის პრეზიდიუმის დადგენილებიდან „სსრკ მწერალთა კავშირის წევრის ბ. ლ. პასტერნაკის საბჭოთა მწერლისთვის შეუფერებელი მოქმედების შესახებ".**

„...იქცა ბურჟუაზიული პროპაგანდის იარაღად, იმ წრეების სპეკულაციის სარფიან ობიექტად, რომლებიც აჩაღებენ ცივ ომს, ცდილობენ ყველაფერი პროგრესული ლაფში ამოთხვარონ... ის შეუერთდა მათ გამძვინვარებულ, მაგრამ უიმედო ბრძოლას... პასტერნაკის ლიტერატურული მოღვაწეობა დიდი ხანია ამოწურა ეგოცენტრულმა განდგომილობამ... რომანი „დოქტორი ჟივაგო" წარმოაჩენს მხოლოდ მწირაზროვანი ავტორის უსაშველოდ გაზვიადებულ წარმოდგენას თავის თავზე... განდგომილი ბ. პასტერნაკი...

სსრკ მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმი, რსფსრ მწერალთა კავშირის ორგკომიტეტის ბიურო და რსფსრ მწერალთა კავშირის მოსკოვის განყოფილების გამგეობის პრეზიდიუმიართმევენ ბ. პასტერნაკს საბჭოთა მწერლის სახელს, რიცხავენ მას სსრკ მწერალთა კავშირის წევრთა რიგებიდან (დადგენილებას ერთხმად უჭერენ მხარს)".

თავისი სიტყვა პარტიის ერთგულმა თანაშემწემ — კომკავშირმაც თქვა.

1958 წლის 29 მაისი, საკ. ალკკ ცკ-ის პლენუმი, საკ. ალკკ ცკ-ის პირველი მდივანი **ე. სემიჩასტნი:** „...პასტერნაკის სახით ჩვენს სოციალისტურ საზოგადოებაში ქეციანი ცხვარი გვყავს... ამ ადამიანმა ხალხს სახეში შეაფურთხა... პასტერნაკს ღორს თუ შევადარებთ, ღორი არ იზამს იმას, რაც პასტერნაკმა ჰქნა (ტაში)... ჩვენგან მისი მოკვეთა ჰაერს გაწმენდდა (ტაში)".

**ე. ევტუშენკო:** „მე ვესწრებოდი კომკავშირის მიტინგს, რომელზეც სემიჩასტნი შთაგონებული სადისტური ექსტაზით ანადგურებდა პასტერნაკს".

ევგენი ბორისის ძე პასტერნაკი იხსენებს, რომ ბორის ლეონიდის ძეს საბჭოთა მწერლების კავშირიდან გარიცხვაზე უფრო მისთვის ნობელის პრემიის მინიჭების გამო გათამაშებული ისტერია აღელვებდა. სსრკ-დან განდევნის საშიშროებასთან შედარებით მწერალთა კავშირიდან გარიცხვა ბალღურ თამაშს ჰგავდა. ის სერიოზულად მოსკოველ მწერალთა საერთო კრებამ დააფრთხო: მწერლები რეპრესიებს მოითხოვდნენ. ეს საშინელი, საზარელი რამ იყო.

1958 წლის 31 ოქტომბერს გაიმართა მოსკოველ მწერალთა საერთო კრება. თავმჯდომარეობდა **ს. ს. სმირნოვი:**

„...ჩვენ მთავრობას უნდა მივმართოთ თხოვნით, რომ მან პასტერნაკს საბჭოთა მოქალაქეობა ჩამოართვას! (ტაში)". **ლევ ოშანინმა** გაახსენა პასტერნაკს „მისი რეაქცია უნგრეთის მოვლენებზე", დაადანაშაულა ის კოსმოპოლიტიზმში, დამსწრეთ აუწყა, რომ იცის, თუ „რას ამბობდა ის მანდელშტამზე...", „...ჩვენ ასეთი მოქალაქე არ გვჭირდება!" არ ჰკირდებათ მათ ასეთი მოქალაქე. **კ. ზელინსკი** — ლიტერატურათმცოდნე, კრიტიკოსი: „პასტერნაკი ცივი ომის დროშაა"... „პასტერნაკის პორტრეტებს პირველ გვერდებზე ბეჭდავენ გაზეთები სხვა გამყიდველის. ჩან კაი შის პორტრეტების გვერდით". შემდეგ მომხსენებელმა ვიაჩესლავ ივანოვის საქციელი შეაფასა („მან დემონსტრატიულად არ ჩამოართვა ხელი") როგორც „პოლიტიკური დემონსტრაცია", საქმეში ერევა მშვენიერი სქესი — **ვალერია გერასიმოვა:** „ხალხმა და მთელი მსოფლიოს ინტელიგენციამ იგრძნო ამ პროვოკაციის (ბ. პასტერნაკისთვის ნობელის პრემიის მინიჭების — ი. გ.) სუნი".

შესვენების შემდეგ **ვ. პერცოვმა** დამსწრეთ აუწყა „პასტერნაკი ინდივიდუალისტიაო" და წინადადება წამოაყენა, მთავრობას ეთხოვოს, რომ „პასტერნაკი მოსახლეობის მომავალ აღწერაში არ მოხვდესო" (ტაში). კიდევ რამდენი იყვნენ: **ბეზიმენსკი:** „რუსი ხალხი სწორად ამბობს: „მყრალი ბალახის ადგილი ბოსტანში არ არისო!" **სოფრონოვმა** გაიხსენა „ის აპოლოგეტური შეფასება, რომელიც პასტერნაკმა ბუხარინის შემოქმედებას მისცა", „არ უნდოდა საბჭოთა ადამიანი, საბჭოთა მწერალი ყოფილიყო, არა? ჰოდა, გავაძევოთ ჩვენი ქვეყნიდან! (ტაში)"; **თ. ანტონოვი** „...მშვიდობის ძალები იზრდება და პირები, რომლებსაც ამ უკანასკნელ წლებში ლიტერატურის სფეროში ნობელის პრემიები ენიჭებათ, სულ უფრო და უფრო კნინდებიან. ამის მაგალითად შეიძლება გამოდგეს კოლაბორაციონალისტი ფრანგი კამიუ". **ნიკოლაევა:** „პასტერნაკის ისტორია გამცემლობის ისტორიაა", „ის ჩვენ გვეზიზღება", „ამ ადამიანის ადგილი საბჭოთა მიწაზე არაა"; **სოლოუხინი:** „ის ჩვენ არ გვჭირდება და მას მალე დაივიწყებენ", „პასტერნაკს სავსებით დაივიწყებენ", „ერთი თვის შემდეგ, მას ლაყე კვერცხებით მოისვრიან"; **ბარუზდინი:** „ყველაზე სწორი ის იქნება, რომ პასტერნაკმა სასწრაფოდ მოუსვას ჩვენი ქვეყნიდან (ტაში)", **მარტინოვი, პოლევოი, ჩერტოვა, სლუცკი.** გამოვიდა 14 კაცი. სიტყვა ითხოვეს **ევგენი დოლმატოვსკიმ, სერგეი ვასილიევმა, მიხეილ ლუკონინმა, გალინა სერებრიაკოვამ, პაველ ბოგდანოვმა, პაველ არსკიმ, პ. ლუკნიცკიმ, ს. სორინმა, ვ. ინბერმა, ნ. ამეგოვამ, ვ. დუდინცევმა, რ. აზარხმა, კუგულტინოვმა** (უმაღლესი ლიტერატურული კურსების მსმენელთა სახელით), მაგრამ მათ გამოსვლა ვერ მოასწრეს. პრეზიდიუმს მწერლებმა გადასცეს ბარათები, რომლებშიც „გამოხატეს თავიანთი პატრიოტული გრძნობები" — **სმირნოვი:** „ასეთი ბარათები მოგვაწოდეს **ი. ლევჩენკომ, ვ. კულემინმა** და სხვ. (კითხულობს სიას). ისინი ყველანი მხურვალედ უჭერენ მხარს ჩვენს..." კრების რეზოლუციის განხილვაში მონაწილეობა მიიღეს **ამხ. ბოლოტინმა, რ. აზარხმა, ა. კაზანცევმა, ამხ. ტრიფონოვამ, ვ. ინბერმა.** „ეთხოვოს საბჭოთა მთავრობას, რომ პასტერნაკს ჩამოერთვას საბჭოთა მოქალაქეობა". „რეზოლუციას ერთხმად იღებენ".

როგორც ყოველთვის, ქუხს ტაში და გაისმის შეძახილები ადგილებიდან: „სწორია!" — მწერალთა კავშირმა გააკეთა თავისი საქმე. პირველად კი არ გააკეთა.

და გაჩაღდა, გახურდა კამპანია... ღმერთო, როგორ არ ვერცხვენია მაინც? აი, ისე, როგორც მაშინ, როცა გეგმას არ ვასრულებთ. და საქმეში ჩაერთო „თხუთმეტი თავისუფალი რესპუბლიკა": მწერლები და მკითხველები, შრომის გმირები და ინტერნაციონალური მოვალეობის ერთგული ვეტერანები, დელეგატები, დეპუტატები, ორსულ ქალთა წარმომადგენლები... მთელი საბჭოთა ხალხის, მუშათა კლასის, მოძმე რესპუბლიკათა და ნაციონალური ოკრუგთა სახელით... „საბჭოთა ადამიანები გმობენ ბ. პასტერნაკის საქციელს". „მოსკოველ მწერალთა ხმა". „ყველა პატიოსანი ადამიანის აბუჩად აგდება".

ერთსულოვნება. ერთსულოვანი დეპეშები და ტელეფონოგრამები რესპუბლიკებიდან, მხარეებიდან, ოლქებიდან.

**ლენინგრადი.** ლენინგრადელ ლიტერატორთა საერთო კრებამ გამოხატა აღშფოთება ანტიხალხური მოქმედებით პასტერნაკისა, რომელმაც საბჭოთა მწერლის წმინდა სახელი შეარცხვინა და იკისრა ანტისაბჭოური პროპაგანდის რუპორის, საერთაშორისო რეაქციის ხელშემწყობის როლი. ლენინგრადელები მოუწოდებენ ყველა მწერალს, კიდევ უფრო მჭიდროდ დარაზმონ თავიანთი რიგები ირგვლივ... მიაღწიონ შემდგომ აყვავებას...

**კიევი.** უკრაინის მწერალთა კავშირისა და რესპუბლიკის მკითხველთა აქტივის საერთო კრებაზე... ბ. პასტერნაკი თავის რომანში მოგვევლინა ბინძური ჰასკვილით... სავსებით გასაგებია, რატომაც ჩაებღაუჭნენ ამ ანტისაბჭოურ ნაყალბევს!!! ყოველგვარ რეკლამას უწევენ უნიჭო მწერალს...

**მინსკი.** ბელორუსიის მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმმა მწერალთა ფართო აქტივთან ერთად...

**ტაშკენტი.** ბ. პასტერნაკის პიროვნება, ისევე, როგორც მისი „გმირის" — გამყიდველ დოქტორ ჟივაგოსი, უზბეკეთის ყველა მწერლის ზიზღს იწვევს.

**თბილისი.** „ძნელი გადმოსაცემია ის აღშფოთება, რომელიც დაეუფლა საქართველოს საზოგადოებრიობას ბ. პასტერნაკისთვის ნობელის პრემიის მინიჭების გამო", — ითქვა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმისა და რესპუბლიკის სხვა შემოქმედებითი კავშირების წარმომადგენელთა სხდომაზე, რომლის მონაწილეებმაც ერთხმად დაგმეს...

**ბაქო.** აზერბაიჯანელი მწერლები გმობენ ბ. პასტერნაკს იმის გამო, რომ გაჰყიდა საბჭოთა ხალხი, სოციალიზმის საქმე.

**ერევანი.** სომხეთის მწერლები ერთსულოვნად გმობენ...

**ტალინი.** ესტონეთის სსრ მწერალთა კავშირის გამგეობის გაფართოებულმა სხდომამ მკაცრად დაგმო ბ. პასტერნაკი საბჭოთა მწერლისთვის შეუფერებელი... ბ. პასტერნაკის მოქმედება ერთხელ კიდევ შეგვახსენებს, რომ აუცილებელია ფხიზლად... აუცილებელია დაუცხრომლად...

„ბ. პასტერნაკის გამცემლური საქციელისა და მისი საზღვარგარეთელი მფარველების მტრულ მოქმედებათა საყოველთაო გმობას უერთებენ თავიანთ ხმებს ლატვიის მწერალთა კავშირი, მოლდავეთის მწერალთა და კომპოზიტორთა კავშირები, სტალინგრადის, თათრეთის, მორდვეთის, ქ. გორკის, სამხრეთ ურალის ლიტერატორები, შორეული აღმოსავლეთის შემოქმედებითი მუშაკები, კარელიის, თურქმენეთის, ნოვოსიბირსკის, კრასნოდარის მხარის, სარატოვის, იჟევსკის, ჩეჩნეთ-ინგუშეთის ასსრ-ის, ყირგიზეთის, ადიღეის, დაღესტნის, ორენბურგის მწერლები, საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის მუშათა პროფკავშირების ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი, კუიბიშევის, სვერდლოვსკის, ყაბარდო-ბალყარეთის ასსრ, ყირგიზეთის, დაღესტნის ლიტერატორები, სსრკ კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის სამდივნო და რსფსრ კომპოზიტორთა კავშირის ორგკომიტეტის ბიურო, სსრკ კინემატოგრაფიის მუშაკთა კავშირის ორგკომიტეტი, უმაღლესი კურსების მსმენელნი, კიროვის ოლქის, ყაზახეთის, სტავროპოლის, ირკუტსკის, თურქმენეთისა და სხვა მწერლები".

კალამს ჰკიდებენ ხელს მკითხველებიც („ხელი კალმისკენ იწევს, კალამი — ქაღალდისკენ"): „მე პასტერნაკი არ წამიკითხავს, მაგრამ..."

ღმერთო! შემდეგ ირკვევა, რომ მათ არც ბროდსკი წაუკითხავთ, არც სინიავსკი, არც დანიელი, არც სოლჟენიცინი... და საიდან ჩნდებიან ისინი ყოველ ასეთ დროს? რატომ არ ჩანან, როცა აუცილებლად საჭირონი არიან? „არ წამიკითხავს, მაგრამ ვიცი", „არ ვიცი, მაგრამ დარწმუნებული ვარ"... და მიზანს რომ არასოდეს აცდენენ! და ყოველთვის გაფთრებით იმაღლებენ ხმას, უყოყმანოდ, თითქოს სხვა საქმე არ ჰქონდეთ: გადაათვალიერე ცენტრალური გაზეთები სამსახურის შემდეგ და დაგმე ყველა, ვიზეც კი მიგითითებენ... თქვენ არ გჯერათ, რომ ეს იმათ დაწერეს, ვინც ხელს აწერს? მე მჯერა!

„მუშის სიტყვა. პასტერნაკმა შეგნებულად დაწერა ცილისწამება, ანტისაბჭოური შხამით მოწამლული რომანი ჩვენს მტრებს მისცა ხელში: ინებეთ, გამოიყენეთ, იხმაურეთო!" **პ. ეგოროვი,** ქარხანა „წითელი ექსკავატორის" მჩარხავი. კიევი.

**წერილების სტრიქონები.** წავიკითხე ყველაფერი, რაც გაზეთში დაიწერა ბ. პასტერნაკზე და ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ მას არა მარტო სძულს საბჭოთა წყობილება და საბჭოთა ადამიანები, არამედ, სძულს საერთოდ ადამიანი, და განსაკუთრებით მუშაკაცი. **ზ. არაქელიანი,** კიროვის სახელობის

(დასასრული მე-14 გვ.)

* იბეჭდება მცირე შემოკლებით.

სურათზე: ბ. პასტერნაკი. ე. იარალოვის ნახატი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

(დასასრული).

ქარხნის საამქროს უფროსი. ერევანი.

...გულისწყრომით და აღშფოთებით შევიტყვი გამცემლური საქციელი ბ. პასტერნაკისა, რომელმაც თავისი საძაგელი პასკვილი გაყიდა უცხოეთში, სადაც მის ირგვლივ მორიგი ანტისაბჭოთა აურზაურია გამართული. **ევგენ კაპი,** სსრკ სახალხო არტისტი. ტალინი.

...პასტერნაკის გამცემლური საქციელი მისი ზიანისმომტანი დეკადენტური „შემოქმედების" ლოგიკური დაგვირგვინებაა. ოდინდელი ბუხარინის პანეგირიკი მისი მისამართით შემთხვევითი არ იყო! **ა. მეხიტინი,** პედაგოგი. მოსკოვის ოლქის მოჟაისკის რაიონი.

...პასტერნაკის მანერული ზაუმისადმი ყოველთვის გულგრილი ვიყავი, ისევე, როგორც გულგრილია მის მიმართ საბჭოთა ადამიანთა უმრავლესობა. **დაინა ვალიპა,** პიანისტი. რიგა.

...ზიზღი ჩვენი ქვეყნისა და ჩვენი დიადი მონაპოვრების მოძულე პასტერნაკს! **ე. ბუხტარევი,** ინჟინერ-ეკონომისტი. მინსკი.

...მისი სახელი დავიწყებას მიეცემა, მის წიგნებს პატიოსანი ადამიანის ხელი არ შეეხება. **გენოვაიტე რაძევიჩიუტე,** წიგნის მაღაზიის გამყიდველი. ვილნიუსი.

...და პასტერნაკი კიდევ ბედავს დიდი მაიაკოვსკისთვის ჩირქის მოცხებას! პასტერნაკი ხომ მისი ფეხის ფრჩხილადაც არ ღირს! მე კარგად ვიცი, როგორ უყვართ მუშებს მაიაკოვსკის პოეზია, როგორ იზეპირებენ მის ლექსებს. პასტერნაკს რაც შეეხება, ბევრ ჩვენთაგანს მასზე აქამდე ძალზე ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა. ახლა მან სახელი გაითქვა, როგორც იუდამ. დაე, ეს მოღალატე, ღვარძლის გუბედ დადგეს, დაე, კაპიტალისტებმა სვლიპონ ამ გუბის წყალი. ჩვენ კი, საბჭოთა ადამიანები, ჩვენს მაიაკოვსკისთან, ჩვენს მშობლიურ საბჭოთა ლიტერატურასთან დავრჩებით. **ა. მამონტოვი,** მუშა, მოსკოვი.

და, დასასრულ: **„ბაყაყი ჭაობში..."**

რა ხდება? გაზეთები წერენ ვიღაც პასტერნაკზე, თითქოს ასეთი მწერალი არსებობდეს. მასზე აქამდე არაფერი მსმენია, მისი წიგნები არასოდეს წამიკითხავს. მე კი მიყვარს ჩვენი ლიტერატურა, — კლასიკურიც და საბჭოთაც. მიყვარს ალექსანდრე ფადეევი, მიყვარს ნიკოლოზ ოსტროვსკი. მათი ნაწარმოებები ჩვენ ძალას გვმატებენ და გვაკეთილშობილებენ. ბავშვობიდან ვკითხულობ მიხეილ შოლოხოვს და მიყვარს ის.

ჩვენ ბევრი კარგი მწერალი გვყავს. ისინი ჩვენი მეგობრები და მოძღვრები არიან.

პასტერნაკი კი ვინაა? მისი ნაწარმოებების ციტატებიდან ჩანს, რომ მას ოქტომბრის რევოლუცია არ მოსწონს. რა გასაკვირია, ეგ ხომ მწერალი კი არა, თეთრგვარდიელია. ჩვენ კი, საბჭოთა ადამიანებმა, კარგად ვიცით, რომ ადამიანის მოდგმამ ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ გამოიღვიძა.

...ჩვენ ვამთავრებთ დიად ნაგებობას ვოლგაზე. მე კალაპოტის გადაკეტვაზე ვმუშაობ. აი, ღამით ქარიშხალი ამოვარდა. ბევრი უბედურება დაატრიალა. მძიმე ღამე იყო. დღეს ყველაფერი გამოსწორებულია.

პასტერნაკის გუბეში კი რა ქარიშხალი შეიძლება ამოვარდეს? გუბის ბაყაყს რა შეუძლია? ისეც ხდება, რომ ასეთ ჭაობს მასში მჯდარი ბაყაყითურთ ჩემი ჩამჩა ამოხაპავს და გადაწუწავს.

დავუშვათ, რომ ბაყაყი უკმაყოფილოა და ყიყინებს. მე კი, მშენებელს, მის მოსასმენად არ მცალია. ჩვენ საქმეს ვაკეთებთ.

არა, მე პასტერნაკი არ წამიკითხავს, მაგრამ ვიცი, რომ ლიტერატურაში უბაყაყობა სჯობს.

**ფილიპ ვასილცოვი,** ექსკავატორის უფროსი მემანქანე, სტალინგრადი.

## ესთეტობიდან მორალურ დაცემამდე.

...მრავალი წლის მანძილზე მე და ჩემი სამსახურის ამხანაგები ძალზე ვინტერესდებით საბჭოთა ლიტერატურის სიახლეებით. მაგრამ ბ. პასტერნაკის სახელი მხოლოდ ყურმოკრულად ვიცით. ჩვენ გაგონილი გვაქვს, რომ ის ესთეტური, ზაუმური, მკითხველებისათვის გაუგებარი ლექსების ავტორია. და, რასაკვირველია, საერთაშორისო რეაქციას მისთვის ამ ლექსების გამო არ მოუცია მოწყალება.

**რახიმ კასიმოვი,** მენავთობე, ბაქო.

აი, „მომავალი მწერლების" კოლექტიური წერილის სათაური: „სამარცხვინო საქციელი". ვის სამარცხვინო საქციელზეა საუბარი?

...ჩვენ ა. მ. გორკის სახელობის ლიტერატურული ინსტიტუტის სტუდენტები გამოვხატავთ ჩვენს განრისხებასა და აღშფოთებას პასტერნაკის — ჩვენი რევოლუციისათვის, ჩვენი ცხოვრებისთვის ცილის დამწამებლის გამცემლური საქციელის გამო.

ჩვენ ვოცნებობთ, გავხდეთ მწერლები, ჩვენი მშობელი ხალხის ფიქრთა გამომხატველნი (ეტყობა, ამ გულმხურვალე სურვილმა მისცა ბიძგი სტუდენტებს, რომ გაზეთში გაგზავნილი დასმენისთვის ხელი მოეწერათ — **ი. გ.**), და ჩვენ ვგმობთ ჩვენი მტრების ცდას, რომ პასტერნაკი საბჭოთა მწერლად წარმოადგინონ. ასეთი საბჭოთა მწერალი არ არსებობს. და ის ამბავი, რომ ამ გულღრძო არსებას ჯერ კიდევ ჰქონდა სსრკ მწერალთა კავშირის წევრის ბილეთი, ჩვენთვის მწარე და გულსატკენი გაუგებრობაა (როგორ გამოეპარათ ასეთი რამ უფროს ამხანაგებს? — ცუდი ამბავია! აი, ესენი, როცა მწერლები, „ფიქრთა გამომხატველნი" გახდებიან, ასეთ შეცდომებს არ დაუშვებენ. — **ი. გ.**). ჩვენ სავსებით ვუჭერთ მხარს... განა დრო არ არის, რომ შინა ემიგრანტი პასტერნაკი გაემგზავროს... **ა. სტრიგინი, ვ. გერასიმოვი, ნ. ნეკრასოვი, დ. ბლიანსკი, ვ. ფირსოვი, ნ. სერგოვანცევი, ვ. ტიტარენკო** და სხვ. (სულ 110 ხელისმოწერა).

## „პასკვილიანტი"

პასტერნაკის საეჭვო ლიტერატურულ საქონელს დიდხანს არ ედება ფასი უცხოეთში. მისი ადგილი — უვარგისობის გამო — სანაგვეზეა!

**ა. დუბინსკი,** ინჟინერი, კიევი.

და კვლავ **„წერილების სტრიქონები":**

„პასტერნაკსა და ჟივაგოს ერთი და იგივე სახე აქვთ. ცინიკოსის, გამცემლის სახე". **კანიშ ხატფაევი,** მეცნიერი. ალმა-ათა.

„როგორ ბედავს ეს გაბოროტებული გოშია საბჭოთა ხალხის წმიდათაწმიდა ფასეულობებს უყეფდეს?! ის ბატონი პასტერნაკი კი არა, უბრალოდ, სიცარიელე და სიბნელეა". **ვ. სიმონოვი,** პენსიონერი.

1958 წლის 2 ნოემბერს გაზეთ „პრავდაში" ქვეყნდება ბ. პასტერნაკის საშინელი წერილი.

**„საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს. ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვს.**

**პატივცემულო ნიკიტა სერგის ძევ, მე მოგმართავთ პირადად თქვენ, სკკპ ცკ-ს და საბჭოთა მთავრობას.**

**ამხ. სემიჩასტნის მოხსენებიდან ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ მთავრობა „არავითარ წინააღმდეგობას არ გაუწევდა ჩემს წასვლას სსრკ-დან".**

**ჩემთვის ეს შეუძლებელია. მე რუსეთთან ვარ დაკავშირებული დაბადებით, ცხოვრებით, მუშაობით.**

**მე ჩემი ბედი ვერ წარმომიდგენია მისგან განცალკევებულად და მის გარეთ. როგორიც არ უნდა იყოს ჩემი შეცდომები და ცდომილებები, მე არ შემეძლო წარმომედგინა, რომ აღმოვჩნდებოდი ცენტრში ასეთი პოლიტიკური კამპანიისა, როგორიც ჩემი სახელის ირგვლივ გააჩაღეს დასავლეთში.**

**გავაცნობიერე რა ეს, შევატყობინე აკადემიას, რომ ნებაყოფლობით ვამბობდი უარს ნობელის პრემიაზე.**

**სამშობლოს საზღვრებს იქით წასვლა ჩემთვის სიკვდილს უდრის და ამიტომ გთხოვთ, რომ ჩემს მიმართ ასეთი უკიდურესი ზომა არ გამოიყენოთ.**

**გულზე ხელს დავიდებ და ვიტყვი, რომ საბჭოთა ლიტერატურისათვის ცოტაოდენი რამ კი გავაკეთე და კიდევ შემიძლია მისთვის სასარგებლო ვიყო.**

**ბ. პასტერნაკი,**
**1958 წლის 31 ოქტომბერი".**

და, აი, სანდაზმული, გატანჯული ადამიანისათვის „დედამიწის ერთი მეექვსედის" ხელმძღვანელთა მიერ გაცემული მასხრად ამგდები პასუხი.

## ტასსის განცხადება

**დღეს პრესაში გამოქვეყნებულ ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვისადმი ბ. ლ. პასტერნაკის წერილთან დაკავშირებით ტასსი უფლებამოსილია განაცხადოს, რომ საბჭოთა სახელმწიფო ორგანოების მხრიდან არავითარი წინააღმდეგობა არ გაეწევა, თუ ბ. ლ. პასტერნაკი გამოთქვამს მისთვის მინიჭებული პრემიის მისაღებად საზღვარგარეთ გამგზავრების სურვილს. ბურჟუაზიული პრესის მიერ გავრცელებული ვერსიები, თითქოს ბ. ლ. პასტერნაკს უარი ეთქვა საზღვარგარეთ გამგზავრებაზე, უხეში მონაჭორია.**

**როგორც ცნობილი გახდა, ბ. ლ. პასტერნაკს აქამდე არ მიუმართავს თხოვნით რომელიმე საბჭოთა სახელმწიფო ორგანოსათვის საზღვარგარეთ გამგზავრებისთვის საჭირო ვიზის მისაღებად და ამ ორგანოებს უარი არ უთქვამთ მისთვის საზღვარგარეთ გასვლისათვის საჭირო ვიზის მიცემაზე და არც ამის შემდეგ ეტყვიან.**

**იმ შემთხვევაში, თუ ბ. ლ. პასტერნაკი მოისურვებს საერთოდ წავიდეს საბჭოთა კავშირიდან, რომლის საზოგადოებრივ წყობილებას და ხალხს მან ცილი დასწამა თავის ანტისაბჭოთა თხზულება „დოქტორ ჟივაგოში", ოფიციალური ორგანოები მას ამაში არავითარ წინააღმდეგობას არ გაუწევენ. მას მიეცემა საბჭოთა კავშირიდან წასვლისა და „კაპიტალისტური სამოთხის სიამეთა" თავის თავზე გამოცდის საშუალება".**

და „პრავდის" იმავე ნომერში დაბეჭდილი იყო ეს მასალებიც: „სკკპ ცკ და სსრკ მინისტრთა საბჭოს დადგენილება „მოსკოვის ოლქის სპეციალიზირებულ საბჭოთა მეურნეობების წარმოებაზე დაყრდნობით ქალაქ მოსკოვის კარტოფილითა და ბოსტნეულით უზრუნველყოფის შესახებ", „სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება დაჯილდოების... მინიჭების... შესახებ", ლექსები მიკოლა ბაჟანისა „პარტიის დროშით" („ლენინის გზით, თავისუფლების სიმღერით დაუცხრომლად მივიწევთ წინ"), პეტრუს ბროვკას „მიწა მშობლიური" („ჩვენი თავისუფალი ალიონები მეგობრობისა და ბედნიერებისკენ გვიხმობენ"), გ. რეგისტანის „სამშობლოს დიდება" („სამშობლო მშვიდობისა და ბედნიერებისა, თავისუფალი სამშობლო ჩვენი"), დიმიტრი კაბალევსკის სიმღერა სერგეი სმირნოვის სიტყვებზე („შენ აგვამაღლე და დაგვრაზმე ყველაზე შესაშური ხვედრისთვის") და ა. შ.

ბ. პასტერნაკი გარდაიცვალა 1960 წლის 30 მაისს. 1987 წელს ის აღადგინეს სსრკ მწერალთა კავშირის წევრად. სამარცხვინო გარიცხვას სამარცხვინოვე აღდგენა მოჰყვა. მე ამგვარი „სამართლიანობის ზეიმი" გულს სიხარულით არ მიჩქროლებს. აქვს კი უფლება იმ ორგანიზაციას, რომელმაც ბორის პასტერნაკი მოკლა, ის თავის ყოჩაღ მხედრიონში მიითვალოს?... კიდევ რამდენი ასეთი უსირცხვილობა იარსებებს ჩვენს სამშობლოში?...

**იური გონჩაროვი,**
**ლიტერატორი, ლიტერატურულ-მუსიკალური სტუდიის „პირდაპირი თქმის" ხელმძღვანელი.**

გაზ. „სოვეტსკი ცირკი"
21-27 სექტ. 1989 წ.

თარგმნა **ჯუმბერ თითმერიამ**

# ორი თეატრალური პრემიერა





16 მარტს რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურმა თეატრმა მაყურებელს სეზონის ახალი სპექტაკლი შესთავაზა, — წარმოადგინა გურამ ბათიაშვილის ორმოქმედებიანი დრამა „შეთქმულება".

სპექტაკლის რეჟისორია გ. ქავთარაძე, კომპოზიტორი — გ. ყანჩელი, მხატვარი — მ. შველიძე. როლებს ასრულებენ: გ. მაღალაშვილი (ნიკოლოზ ფალავანდიშვილი), ტ. ყველაიძე (სოლომონ დოდაშვილი), გ. სალარაძე (ჯამბაკურ ორბელიანი), გ. გეგეჭკორი (პეტრე ზავილეისკი), კ. საკანდელიძე (გენერალ-მაიორი ბაიკოვი), მ. ჯინორია (დუშეთის ისპრავნიკი პაუშენკო), თ. გიორგაძე (თავადი ელიზბარ ერისთავი), გ. ძნელაძე (იასე ფალავანდიშვილი), ა. ხიდაშელი (გენერალი ჩევკინი), მ. პიპინაძე, ვ. გოგიტიძე, ე. სახლთუხუციშვილი, ბ. ხიდეშელი და სხვ.

პიესის თემაა 1832 წლის ცნობილი შეთქმულება. ავტორი გვიჩვენებს იმ რთულ ეროვნულ-პოლიტიკურსა და ფსიქოლოგიურ ვითარებას, რაც ამ შეთქმულების მომენტში შეიქმნა და, ამავე დროს, ცხადად მიანიშნებს იმასაც, რომ ქართული ეროვნული ხასიათის ძირითადი ნიშნები დრო-ჟამის დინების მანძილზე მუდამ მტკიცე, უცვლელი რჩებოდა და, რომ ღირსეული ეროვნული აღმავლობის ფესვები სწორედ ამ სიმტკიცეშია საძიებელი



●

25 მარტს კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრმა შემოგვთავაზა პრემიერა, — წარმოადგინა ჯაბა იოსელიანის ორმოქმედებიანი პიესა „საქართველოს უკანასკნელი დედოფალი".

სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორია მ. კუჭუხიძე, კომპოზიტორი — გ. გაჩეჩილაძე, მხატვარი — გ. გუნია. როლებს ასრულებენ: ნ. კობერიძე (დედოფალი მარიამი), ო. მელვინეთუხუცესი (გიორგი XII), ს. ჰიპერელი (დარეჯან დედოფალი), კ. მახარაძე (ციციანოვი), ჯ. მონიავა (სოლომონ ლიონიძე), რ. ჩხიკვიშვილი (დავით ბატონიშვილი), მ. გორგილაძე (იულონ ბატონიშვილი); აგრეთვე ვ. გელაშვილი, ზ. წაქაძე, გ. გაბუნია, ვ. თანდილაშვილი, გ. ბურჯანაძე, ა. იოსელიანი, გ. ციცქიშვილი, მ. ეგუტია, ვ. კვიტაიშვილი და სხვები.

ეს ნაწარმოებიც ისტორიულ თემაზე, კერძოდ, საქართველოს რუსეთთან შეერთების პერიოდის ამბებზეა აგებული. საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი მეთორმეტის კარის ტრაგედია განზოგადებულია, როგორც ქართველი ერის ისტორიული უბედობა და ეს თვალსაზრისი ამ სპექტაკლშიც ღირსეულობის სამზერიდანაა წარმოდგენილი.

**თამარ ცერცვაძე**



**სურათებზე: სცენები სპექტაკლებიდან „შეთქმულება" და „საქართველოს უკანასკნელი დედოფალი". მურმან ხაჩუა ფოტოები.**

# ᲬᲐᲠᲛᲝᲕᲘᲓᲒᲔᲜ ᲘᲛ ᲓᲦᲔᲡᲐᲪ



. 15 თებერვალს შეიქმნა საქართველოს ფეხბურთის დამოუკიდებელი ფედერაცია, ფეხბურთელებმა თავი დაიხსნეს ცენტრის დიქტატისაგან და გადაწყვიტეს, თავს თავადვე უპატრონონ.

საით მიდის თავისუფლების გზა, რა ჰორიზონტები მოჩანს წინ, რას გვპირდება გზის დასაწყისი — ეს კითხვები აღელვებს დღეს ქართული ფეხბურთის ყველა ქომაგს. — დიდსა თუ პატარას.

ჩვენი ინტერვიუც ამ მღელვარების ტალღას მიჰყვება. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **ᲜᲝᲓᲐᲠ ᲐᲮᲐᲚᲙᲐᲪᲘ** ესაუბრება „ლიტერატურული საქართველოს" კორესპონდენტს **ᲘᲕᲐᲜᲔ ᲐᲛᲘᲠᲮᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲡ**.

●

— ბატონო ნოდარ, თქვენ, როგორც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს, რა მიგაჩნიათ იმ უპირველეს ღონისძიებად, რის განხორციელებასაც დღესვე ითხოვს ქართული ფეხბურთის მდგომარეობა?

— მართალი გითხრათ, გაუმართლებლად მიმაჩნია რაიმე კერძო პრობლემის გამოყოფა და მხოლოდ მასზე ზრუნვა. საქმისადმი ასეთი მიდგომა საფუძველშივე მცდარია და, რაღა თქმა უნდა, ვერასდიდებით სიკეთეს ვერ მოგვიტანს. თუ გვსურს წარმატებას მივაღწიოთ, საკითხს მთლიანობაში უნდა შევხედოთ და მუშაობაც საერთო ფრონტით წარვმართოთ. მოგეხსენებათ, ეს იოლი საქმე არაა, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, თავისუფლება შეუძლებელსაც შეგვაძლებინებს.

ფედერაციაში ჩამოვაყალიბეთ საშეჯიბრო, რეზერვებთან მუშაობის, დისციპლინარული, სამეცნიერო-მეთოდური და ნაკრები გუნდების, მსაჯთა და ინსპექტორთა, საფინანსო-კომერციული და ტექნიკური კომიტეტები, აგრეთვე გენერალური სამდივნო, რომლებმაც ფაქტიურად უნდა წარმართონ ჩვენი საფეხბურთო ცხოვრება. კომიტეტები ჯერ მთლიანად არაა დაკომპლექტებული. უპირველეს ყოვლისა, თანამშრომლებად მოვიწვევთ ფეხბურთის ცნობილ, ავტორიტეტულ ვეტერანებს; ვეძებთ ინიციატივიან სპეციალისტებს.

— პირველი ეროვნული ჩემპიონატი გაზაფხულ-შემოდგომის ნაცადი პრინციპით ტარდება, მაგრამ მომავალში ალბათ ევროპის რიტმში ჩავერთვებით, ანუ შემოდგომა-გაზაფხულის პრინციპზე გადავალთ.

— კალენდარს იმ სისტემაზე ავაგებთ, რომელიც მეტად შეუწყობს ხელს ქართული ფეხბურთის განვითარებას. შემოდგომაზე, როცა ჩემპიონატი დამთავრდება, მოვიწვევთ ფეხბურთისა და სხვადასხვა დარგის სპეციალისტებს, მათ შორის, ეკონომისტებს, დავსხდებით, ყველაფერს გავაანალიზებთ, ავწონ-დავწონით და გავარკვევთ, რომელი პრინციპი აჯობებს: გაზაფხული-შემოდგომა თუ შემოდგომა-გაზაფხული.

— როგორ წარმოგიდგენიათ ქართული ფეხბურთის მომავალი, ვთქვათ, ათი წლის შემდეგ?

— ფედერაციის მუშაობის სტრატეგიული გეგმა თუ ზუსტად განხორციელდა, კარგ შედეგებს უნდა ველოდეთ. ყოველ შემთხვევაში, გაუმჯობესდება საწვრთნელი ბაზები, დაიხვეწება სასწავლო პროცესი, ამაღლდება მწვრთნელთა კვალიფიკაცია. დიახ, შემთხვევით არ მითქვამს — მწვრთნელთა კვალიფიკაცია; გადაწყვეტილი გვაქვს დავნერგოთ მწვრთნელთა სტაჟირება უცხოეთში, მოვაწყოთ სემინარები უცხოელი სპეციალისტების მონაწილეობით და ა. შ. რაც შეეხება თამაშის ხარისხს, ეს დამოკიდებულია ქართველი ფეხბურთელების პროფესიონალიზმსა და სპორტულ შეგნებაზე, რაც უსათუოდ ამაღლდება ჩვენი ცხოვრების კულტურის დახვეწის კვალად.

— პროფესიონალიზმი ახსენეთ, ხომ არ აპირებთ პროფესიონალის სტატუსის შემოღებას?

— ვაპირებთ, რა თქმა უნდა. სამწუხაროა, რომ დღემდე ოფიციალურად არ არსებობდა პროფესია — ფეხბურთელი, რის გამოც დიდად ზარალდებოდა როგორც ფეხბურთი, ისე ფეხბურთელი. პროფესიონალის სტატუსის დაწესებასთან ერთად შევქმნით ფეხბურთელთა და მწვრთნელთა პროფკავშირს, შევიმუშავებთ საკონტრაქტო სისტემას.

— ხომ არ არის მოსალოდნელი, რომ ჩვენს ფეხბურთელებს თვალი გაექცეთ საბჭოთა კავშირის პირველობისაკენ, ანუ იმ გუნდებისაკენ, რომლებიც სსრკ პირველობებზე თამაშობენ?

— მგონია, ქართველ ფეხბურთელს დღეს აღარ ჰირდება იმის შეხსენება, რომ მან თავისი ნიჭი და უნარი სამშობლოს, მშობელ ხალხს უნდა მოახმაროს, მაგრამ თუკი მაინც აღმოჩნდა ისეთი, ვისაც ეს მაღალი დანიშნულება არაფრად ულირს, მაშინ, დაე, თვით ხალხმა შეაფასოს „უძღები შვილის" საქციელი.

— მაშასადამე, ჩვენები საბჭოთა კავშირის „ეროვნულ" ნაკრებსაც „გამოემშვიდობნენ".

— დიახ. ვინაიდან საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია დამოუკიდებელი ორგანიზაციაა და ატარებს დამოუკიდებელ ჩემპიონატს, არც ერთ ავის წევრს არ მისცემს უფლებას, ითამაშოს სსრკ-ის ნაკრებში. აკრძალვა მსაჯებსაც ეხებათ, — ამიერიდან ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები სსრკ პირველობის მატჩებს აღარ იმსაჯებენ და აღარ გამოვლენ საერთაშორისო ასპარეზზე სსრკ ფეხბურთის ფედერაციის ეგიდით.

— ახლახანს მოსკოვში შეხვდით ФИФА-ს გენერალურ მდივანს იოზეფ ბლატერს და ФИФА-ს იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარეს პაბლო პორტას. როგორ აფასებთ ამ შეხვედრას, არის თუ არა ეს რაღაც ნაბიჯი ФИФА-სთან დაახლოების გზაზე?

— მოულოდნელად გაჩნდა ამ შეხვედრის შესაძლებლობა. შანსის ხელიდან გაშვება დანაშაული იქნებოდა. უნდა ითქვას, რომ ბლატერი და პორტა მხოლოდ 24 საათით იყვნენ ჩამოსული და რომ არა ბატონი გივი გუმბარიძისა და ბატონი ვაჟა ლორთქიფანიძის დახმარება, შეხვედრა, ალბათ, არ შედგებოდა.

ჩვენი ყოველი არგუმენტი და მტკიცება — რომ კონსტიტუციურად სუვერენული რესპუბლიკა ვართ, რომ საქართველო ანექსირებული, დაპყრობილი ქვეყანაა, რომ, ბოლოს და ბოლოს, ჩვენს გამოყოფას საფუძვლად არა პოლიტიკური, არამედ სპორტული მოტივი ედო, — მათ თვალში ამაო გამოდგა, თანაც ჩანდა, რომ ჩვენს შესახებ საერთოდ მწირად არიან ინფორმირებული.

მოსკოვის ამბების შემდეგ ბევრმა იმედი გადაიწურა. მაგრამ ჩვენ მაინც ოპტიმისტებად ვრჩებით. მართალია, ერთი შეხედვით, თითქოს წყალი ვნაყეთ, მაგრამ, აბა დავფიქრდეთ, ასე თუ ისე, ხომ მოგვისმინეს, ჩვენსას ხომ ვუმტკიცებდით მთელი ორი საათის მანძილზე (სხვათა შორის, სსრკ სპორტსახკომის თავმჯდომარესთან რუსაკთან საათიც არ უსაუბრიათ); იმას ხომ მაინც მივახვედრეთ, რომ თვითიზოლაციასა და კარის გამოკეტვას არ ვაპირებთ. ერთი სიტყვით, ეს იყო შეხვედრა, რომელსაც შეიძლება მოლაპარაკების პირველი რაუნდი ვუწოდოთ, და, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, მეორე რაუნდი არსებით შედეგს მოგვიტანს.

— მეორე შეხვედრა, ალბათ, საგანგებო იქნება.

— ცხადია. გადავწყვიტეთ, საზღვარგარეთის ინფორმაციის საშუალებებს სისტემატურად მივაწოდოთ მასალები ჩვენი პოზიციისა და ინტერესების თაობაზე და როგორც კი უცხოეთის საფეხბურთო წრეებს გარკვეულ წარმოდგენას შევუქმნით, ФИФА-სთან დიალოგს უშუალოდ მის შტაბ-ბინაში, ციურიხში განვაგრძობთ.

— ვიქონიოთ იმედი, რომ...

— ФИФА აუცილებლად გვაღიარებს, ოღონდ ამას ჰირდება გარკვეული დრო, თუმცა არა მაინცდამაინც წლები.

— მინდა, გაგახსენოთ მოსკოვში, პრესკონფერენციაზე პორტას მიერ წარმოთქმული ერთი ფრაზა, რომელიც, შესაძლებელია, ფარულად თუ ქვეცნობიერად მიანიშნებდეს ФИФА-ს წარმომადგენელთა გაუმჟღავნებელ პოზიციას — როცა მან თქვა, რომ ФИФА-ს წესდებით არ შეიძლება საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღიარება, ვინაიდან რესპუბლიკას დამოუკიდებლობის სტატუსი არ აქვსო, იქვე დასძინა — **ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲘ ᲘᲡᲔ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲓᲔᲡ, ᲠᲝᲛ ФИФА-Ს ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲛᲐ ᲒᲐᲓᲐᲮᲔᲓᲝᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲬᲔᲡᲓᲔᲑᲐᲡᲝ**.

— მოდით, ამ ფრაზის კომენტარისაგან თავი შევიკავოთ და დაველოდოთ ФИФА-ს ივნისის კონგრესს, რომელზედაც პაბლო პორტა, როგორც ფეხბურთის საერთაშორისო ასოციაციის წესდების გადამსინჯავი კომისიის თავმჯდომარე, თავის მოსაზრებებს წარმოადგენს.

— თქვენი აზრით, შესაძლებელია ფეხბურთის არსებობა პოლიტიკის გარეშე?

— ძალზე იოლია, თქვა, — პოლიტიკაში არ ვერევით და ხელი დაიბანო. დამოუკიდებელ ფედერაციას არ გვაღიარებენ — პოლიტიკაში არ ვერევითო, მაგრამ, სწორედ ისაა პოლიტიკაში ჩარევა, რომ არ გვაღიარებენ. ФИФА-მ აუცილებლად უნდა გადასინჯოს თავისი წესდების შესაბამისი ნაწილი, თუ სურს, რომ ამიერიდან უხერხულ მდგომარეობაში არ ჩაიგდოს თავი. დღეს თუ არა, ხვალ რომ უკრაინის ფეხბურთის ფედერაციამ დამოუკიდებლობა გამოაცხადოს, რას იზამს ФИФА, არ აღიარებს, არ გაითვალისწინებს, რომ უკრაინა ᲒᲐᲔᲠᲝ-ს წევრია?.. ერთი სიტყვით, პოლიტიკა ის მორიაა, მარტო ФИФА-ს კი არა, მთელ კაცობრიობას რომ დასტრიალებს თავს.

— ბლატერმა და სსრკ ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარემ კოლოსკოვმა წყალი გადაგვიწურეს: ოფიციალურად აღიარებული ფედერაციების წარმომადგენელ გუნდებთან შეხვედრა არ გაბედოთ, თორემ სასჯელი არ აგცდებათო... მაგრამ, აი, „თბილისელებმა" ორი მატჩი გამართეს საკავშირო ფედერაციის იურისდიქციის ქვეშ მყოფ გუნდებთან — განჯის „ქიაფაზთან" და ლვოვის „კარპატისთან". რას იზამს სსრკ ფეხბურთის შეფი?..

— ვერ მოგახსენებთ, მაგრამ იმის თქმა კი შემიძლია, რომ ეს შეხვედრები ადასტურებს ჩვენს სურვილს — არ ჩავიკეტოთ, არ მოვექცეთ იზოლაციაში, დავამყაროთ თანასწორუფლებიანი კავშირები იმ ფედერაციებთან, ვინც ჩვენს დამოუკიდებლობას აღიარებს (ჯერჯერობით, — თუნდაც დუმილით).

როგორც კი სსრკ ფეხბურთის ფედერაცია ოფიციალურად გვაღიარებს, ეს დღე კი შორს არ არის, მზად ვართ, მაშინვე მივუსხდეთ მოლაპარაკების მაგიდას და საქმიანი ხელშეკრულებები გავაფორმოთ მოკავშირე რესპუბლიკების, საზღვარგარეთის ქვეყნებისა და თვით სსრკ ფეხბურთის ფედერაციებთან.

— როგორ გგონიათ, საქართველოს პირველი ეროვნული ჩემპიონატის მატჩი 30 მარტს, თბილისში „თბილისსა" და ფოთის „კოლხეთს" შორის სიმბოლური, მშვიდობიანი იქნება, როგორც ეს, მაგალითად, მსოფლიო ჩემპიონატის გახსნაზე ხდება ხოლმე, თუ — საბრძოლო? ამ კითხვას ერთი ქვეტექსტიც აქვს — აქა-იქ გაისმის ხმები, ჩვენს სტადიონებზე თამაშის სიმწვავე მოიკლებს და მატჩების უმრავლესობა ფორმალურ ხასიათს მიიღებსო.

— სუბიექტური პროგნოზებითა და წინასწარი რეცეპტებით თავის შექცევა არასერიოზულ საქმედ მიმაჩნია. მე პირიქით მგონია, ყველაფერს თვით ჩემპიონატი გვიჩვენებს.

აქვე, მინდა მოგახსენოთ ტექნიკურ სიახლეზე: საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში აიწევს მოგების პრესტიჟი — გუნდს გამარჯვებისათვის დაეწერება 3 ქულა, ფრესათვის — 1; აგრეთვე, უდისციპლინობისათვის ფეხბურთელი, დისკვალიფიკაციასთან ერთად, დაჯარიმდება ფულადი თანხით.

— ფულადი ჯარიმის პრაქტიკა საზღვარგარეთ ხომ ჩვეულებრივი ამბავია. ახლახანს მარადონამ ორი ვარჯიში გააცდინა და ამისათვის ოთხი ათასი დოლარით დააჯარიმეს.

— ჩვენი ფედერაციის დისციპლინარული კომიტეტი მოედნიდან გაძევებულ ფეხბურთელსაც დააჯარიმებს. დაე, ფეხბურთელმა იცოდეს, რომ თავისი უწესობითა და უდისციპლინობით აზარალებს არა მარტო კლუბს, არამედ — ოჯახსაც, საკუთარ თავს. ამ შეგნებით ის უფრო სცემს პატივს თავის პროფესიასაც და თავის გულშემატკივარსაც.

— საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე საკავშირო პრესამ და, რაღა დასამალია, ზოგიერთმა ჩვენიანმაც, მრავალმნიშვნელოვნად გადააქნია თავი — ქართულმა ფეხბურთმა ყელი გამოიჭრაო.

— ფეხბურთს საქართველოში ასწლიანი ისტორია აქვს. გაიხსენეთ, ჯერ კიდევ 1890 წელს გაზეთ „ივერიაში" დაიბეჭდა ინფორმაცია საფეხბურთო მატჩის შესახებ. საპორტო ქალაქებში გასული საუკუნიდანვე იმართებოდა საერთაშორისო ამხანაგური მატჩები ინგლისელ, გერმანელ, ფრანგ მეზღვაურებთან. 1918-21 წლებში მარტო თბილისში ოთხი საფეხბურთო კლუბი არსებობდა. რამდენი ქართველი ფეხბურთელი შეუყვანიათ მსოფლიოს, ევროპისა და საბჭოთა კავშირის ნაკრებებში. ან კიდევ, — ვინ მოიპოვა ევროპის თასი, რომ არაფერი ვთქვათ საბჭოთა კავშირის ჩემპიონობასა და თასზე. ნიჭი ქართულ ფეხბურთში არასოდეს გამოლეულა. თუ ყელის გამოჭრად ის მიაჩნიათ, რომ ამიერიდან ყინულის ან ნოსის მოედნებზე აღარ ვითამაშებთ, რომ ათიათასკილომეტრიან საჰაერო რეისებში აღარ ვიფრენთ და მგზავრობაში მილიონობით მანეთს აღარ გავფლანგავთ, რომ ოჯახებს აღარ მოვწყდებით და რომ საწვრთნელად მეტი დრო დაგვრჩება, მაშინ ოპონენტები გულწრფელობას ნამდვილად ვერ დაიჩემებენ, დაბოლოს, ნუ დაგვავიწყდება, — დამოუკიდებლობა რომ არ გამოგვეცხადებინა და კვლავ სსრკ პირველობაზე განგვეგრძო თამაში, ФИФА-ში შესვლის შესახებ ფიქრის უფლებაც არ გვექნებოდა.

— სკეპტიკოსები იმასაც ამტკიცებენ, პირველი ჯგუფისთვის თვრამეტი გუნდი ძალზე ბევრია, სათანადო კლასის ამდენი გუნდი არ გვყავს, თამაშის საერთო დონე მოიკლებსო.

— ფედერაციის პრეზიდიუმის აზრით, ამჟამად, ამ სიტუაციაში, სწორედ თვრამეტი გუნდია ოპტიმალური ვარიანტი.

— უკმაყოფილება გამოითქვა იმის გამოც, რომ ზოგიერთი რეგიონი, მაგალითად, კახეთი, ეროვნული ჩემპიონატის პირველ ჯგუფში არაა წარმოდგენილი.

— თავიდან ვფიქრობდით, პირველი ჯგუფისთვის გუნდები რეგიონებისა და სპორტული ბაზების ხარისხის გათვალისწინებით შეგვერჩია, მაგრამ აღმოჩნდა, რომ, მაგალითად, ტყიბულს თუ შესანიშნავი ბაზა აქვს, სამაგიეროდ, ასე თუ ისე ხეირიანი გუნდი არ ჰყავს; ასევე, მშვენიერი სტადიონი აქვთ სენაკში, მაგრამ გუნდი ვერ თამაშობს. შესანიშნავი ბაზა აქვს თელავსაც, მაგრამ ფეხბურთელები არ ჰყავს, მაშინ, როცა ყვარელს ბაზა არ გააჩნია, მაგრამ გუნდი კარგად თამაშობს. აი, ასეთ წინააღმდეგობებს წავაწყდით და ამიტომაც გადავწყვიტეთ, გუნდები სპორტული მაჩვენებლების მიხედვით შეგვერჩია. თუმცა, უნდა მოგახსენოთ, რომ უყურადღებოდ არ მივატოვებთ იმ გუნდებს, რომებსაც კარგი ბაზები აქვთ, მაგრამ პირველ ჯგუფში ვერ მოხვდნენ. ვეცდებით, რომ უახლოეს ხანში მათი თამაშის დონე ავამაღლოთ.

— წელს ჩატარდება თასის გათამაშება?

— რა თქმა უნდა; ფინალური მატჩი 18 ნოემბრისათვისაა დაგეგმილი.

— ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ჩვენი პრესა და ტელევიზია საზღვარგარეთის ამბებს უფრო ფართოდ აშუქებს, ვიდრე შინაურ საფეხბურთო საკითხებს...

— ამ საქმეში ყინული უკვე დაიძრა. იქმნება სპეციალური გაზეთი, რომელიც პროფესიულ დონეზე გააშუქებს რესპუბლიკის საფეხბურთო ცხოვრებას.

— ამას წინათ, კოლოსკოვმა განაცხადა, ნოდარ ახალკაცი წელს საზღვარგარეთის ერთ-ერთ კლუბში აპირებდა მუშაობის დაწყებასო...

— ეს კოლოსკოვის აზრია. მართალია, ბოლო სამი წლის მანძილზე, რაც პრაქტიკულ საფეხბურთო ცხოვრებას მოვწყდი, მქონდა მიწვევები საზღვარგარეთისა და საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კლუბებისაგან, მაგრამ თბილისიდან ფეხი არ გამიდგამს, სერიოზულად არც მიფიქრია ამ საქმეზე, — ჯერ ერთი, რომ ჯანმრთელობა აღარ მიწყობს ხელს, მეორეც, თუ რამ ძალა და ენერგია შემომრჩა, მირჩევნია ისევ ჩემს ქვეყანას მოვახმარო.

— როცა სტადიონზე პირველი ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატის ალამი აღიმართება და საქართველოს ჰიმნი აჟღერდება, რა შეიძლება იმ მომენტში გაგახსენდეთ (წარსულიდან) და რა შეიძლება წარმოგიდგეთ (სამომავლოდ)?

— არ შეიძლება, ამ ისტორიული დღის მომსწრე ყოველ ქართველ ადამიანს, დიდი იქნება ის, თუ პატარა, ქალი თუ კაცი, თვალს ცრემლი არ მოადგეს.

რა თქმა უნდა, გამახსენდება ჩვენი ბრწყინვალე გამარჯვებები, ჩავლილი სიხარული, ჩავლილი ზეიმები... გულში ტკივილიც გაიღვიძებს, გამახსენდება ის ფეხბურთელები, ვინც ვერ მოესწრო ამ დღესასწაულს.

ალბათ წარმოვიდგენ იმ დღესაც, როცა წლების მერე, ჭეშმარიტად თავისუფალი საქართველოს თავისუფალი შვილები მოვლენ ეროვნული ნაკრების მორიგ თამაშზე, ფეხზე ადგებიან, გულზე ხელს დაიდებენ და ფეხბურთელებთან ერთად იმღერებენ სამშობლოს ნამდვილ ჰიმნს.

## ფრთხილად!

სტადიონი — აფეთქება
თითქმის აურ-ზაური,
მიშა მესხის ჩაწოდება
კალოევის თაური.

ღმერთო ჩემო, რა ტანდემი
ქართველის და ოსისა,
და ებრძოდნენ მოედანზე
საქართველოს მოსისხართ.

ის დღეები მაგონდება,
იმ დღეებზე ვოცნებობ,
ფრთხილად, ჩემო ქართველებო,
ფრთხილად, ჩემო ოსებო.

**ჯემალ ჩახავა**





# მხატვრის ირაციონალური სამყარო

ამ წლეებში ჟურნალისტის სახლში თბილისის სამხატვრო აკადემიის თანამშრომლებისა და საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის მესვეურთა ინიციატივით გაიხსნა თვითნასწავლი მხატვრის ალბერტ (ხვიჩა) მინდიაშვილის პერსონალური გამოფენა. დარბაზში შესვლისთანავე მნახველი სიურრეალიზმის ირაციონალურ გარემოში ხვდება. კედლებზე გამოფენილია საშუალო და მცირე ზომის სურათები, რომლებზეც ყოველდღიურობაზე ამაღლებული ადამიანის სამყაროს კოსმიური განცდა, სიკეთის და ბოროტების, სიყვარულის და სიძულვილის მუდმივი ჭიდილი და მასში ჯანსხეულებული მარტოსულის დრტვინვაა ალბეჭდილი.

ნამუშევრები უსახელოა და მეტწილად კონკრეტულობას მოკლებული. ისინი სერიულ ხასიათს ატარებენ და თითქოს ერთიანი პანოს ნაწილებს წარმოადგენენ. ერთი იდეა — „ლოგოსის" იდეა აერთიანებთ. მხატვარი ახატავს საიდუმლოებით მოცულ უკიდეგანო სამყაროს მასზე გაბნეული ვარსკვლავებით. ქაოტურ ხლართში ჩაბმული ადამიანები, ფანტასმაგორიული არსებები, კოსმიური სხეულები, ურბანისტული არქიტექტურის დეტალები რთულ კომპოზიციურ დინებას ქმნიან, რომელიც ხან ზესკნელისკენ, ხან კი ქვესკნელისკენ მიექანება.

ალბერტ მინდიაშვილის ნამუშევრებში, სურათიდან სურათში ვხვდებით აპოკალიპსურ, ხელის მტევნით დაბოლოებულ ფიგურებს, ადამიანებს აზდილი თავის ქალით, ზოგან თავი ბურთულა ნაწილაკებად „იშლება" და უსასრულობაში დნება, ზოგან კი იგი თვალცრემლიანი, გაბზარული ნიღბის სახით გვხვდება. სურათზე მიმოფანტული „საიდუმლო" ბურთულები სიცოცხლის ნაწილაკებად ალიქმება. ისინი ხშირად გუნდებად იკვრებიან და ერთ მრგვალ ზეციურ სხეულს ქმნიან, რომელსაც თითქოს ნირვანაში წასული ადამიანი აგვირგვინებს.

ერთადერთი კონკრეტული მოვლენა, რომელიც აისახა მხატვრის შემოქმედებაში, არის 9 აპრილი. ამ დღისადმი მიძღვნილ სურათზე გაპობილი ცა, მიწაზე გართხმული თეთრი რაში და აყირავებული ჯვარია მასზე გაკრული საქართველოს რუკით. ზურგით გამოსახულ უსახო ნიჩბოსანს ჯვარცმული საქართველოს ნაწილი ჩამოუგლეჯია და ილლიაში ამოუჩრია.

მთელი ეს სიზმრისეული სამყარო გადმოცემულია დამაჯერებელი რეალისტური ნახატით, რომელიც მკაფიო კონტურით და ირიბი შტრიხებითაა მოდელირებული. ხშირი ირიბი შტრიხები გამოიყენება, აგრეთვე, გარკვეული მხატვრული ხერხის მისაღწევად — ისინი თითქოსდა ფარდას ქმნიან მაყურებელსა და გამოსახულებას შორის და დროის წარმავლობის შეგრძნებას ბადებენ. ამავე მიზანს ემსახურება, რიგ შემთხვევაში, სახის თუ სხეულის ნაწილების დეფორმაცია.

მოქმედება ერთ სიბრტყეზე ვითარდება. მთავარს მეორეხარისხოვანისაგან მხატვარი მასშტაბური დაპირისპირებებით განასხვავებს, მაგალითად, მცირე ზომის არქიტექტურული ნაგებობის გვერდზე მსხვილი პლანით წინ წამოწეულია ადამიანის სახე.

ფიგურებს არა აქვთ მატერიალური სახე. მხატვარს აქცენტი ადამიანის სულიერ სამყაროზე გადააქვს, რაც ძალაუნებურად დროის წარმავლობაზე, სამყაროს უსაზღვროებასა და სიცოცხლის არსზე დაგვაფიქრებს. ეს განწყობა სურათიდან სურათში გადადის.

ზოგიერთ ნამუშევარში მხატვარს წვეთის, მასზე არეკლილი შუქის თუ კანის ფაქტურის შეგრძნებები შემოაქვს და ყველაფერი ეს ისეთი პრიმიტიული მასალით მიიღწევა, როგორიცაა... უბრალო ქაღალდი (რვეულიდან ამოხეულიც კი), ფანქარი და ფერადი კალმები („პასტას" რომ ეძახიან). საქმე ისაა, რომ ამ გამოფენის ავტორმა, 31 წლის ახალგაზრდამ, სიცოცხლის თითქმის ნახევარი ციხეში გაატარა. პატიმრობის პირობებშიც კი მან შეძლო ინტერესი გამოევლინა ფილოსოფიისადმი, შეესწავლა მსოფლიო რელიგიები, რათა უფრო ღრმად ჩასწვდომოდა სამყაროს საიდუმლოებას.

**ნუნუ გალიაშვილი**

**რედაქციისაგან:**

საგულისხმოა, რომ ალბერტ მინდიაშვილი დღესაც საჭელს იხდის და გამოფენის გახსნასთან დაკავშირებით ათიოდე დღით არის განთავისუფლებული. არადა, ასეთი ნიჭის შემოქმედი უთუოდ იმსახურებს გარკვეულ შეღავათებს. სხვათაშორის, ეს აზრი ერთხულოვნად გამოიკვეთა გამოფენის გახსნაზეც, სადაც ცნობილმა სპეციალისტებმა მაღალი შეფასება მისცეს ალბერტ მინდიაშვილის ნამუშევრებს. ვფიქრობთ, სათანადო ინსტანციებში კიდევ ერთხელ გამოიჩენენ გულისხმიერებას და ყველაფერს ილონებენ ახალგაზრდა შემოქმედის დასახმარებლად.





სამშაბათს, 3 აპრილს, საღამოს რვა საათზე ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართება ლიტერატურულ-პუბლიცისტური საღამო **მზია ხეთაგურისა** და **ვანო ჩხიკვაძის** მონაწილეობით.

საღამოს შემოსავალი გადაირიცხება საქართველოს დემოგრაფიულ ფონდში.



# ია დოლბაია

საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირის შემოქმედებით კოლექტივს გამოაკლდა ახალგაზრდა ხელოვნებათმცოდნე, სცენოგრაფიის კაბინეტის გამგე, საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირისა და მხატვართა კავშირის წევრი ია დოლბაია. უდროოდ წავიდა ჩვენგან თეატრალური ხელოვნების სპეციალისტი, შთაგონებული, ნიჭიერი პიროვნება. ხანმოკლე, მაგრამ მეტად ნაყოფიერი იყო მისი ცხოვრება. იგი ერთგულად ემსახურებოდა ქართული სცენოგრაფიული ხელოვნების პროპაგანდის საქმეს. იყო მოთავე და ორგანიზატორი მრავალი გამოფენისა, მათ შორის ჩვენი თანამედროვე ქართველი თეატრალური მხატვრების პერსონალური გამოფენებისა, რომლებმაც შორს გაუთქვეს სახელი ეროვნული სცენოგრაფიის მიღწევებს როგორც საბჭოთა კავშირის მასშტაბით, ისე მის საზღვრებს გარეთ. ია დოლბაია დიდ ყურადღებას უთმობდა რესპუბლიკის რაიონული თეატრების სცენოგრაფიის პროფესიულ სრულყოფას. მისი დახვეწილი გემოვნება და განათლება ხმარდებოდა ქართული თეატრალური მხატვრობის განვითარებას.

ია დოლბაია იყო სიცოცხლით სავსე ადამიანი, რომელსაც არ შეეძლო გულგრილი და პასიური არსებობა. იგი მთელი თავისი არსებით, ემოციურად და ინტელექტუალურად ჩაბმული იყო თეატრის მიმდინარე პროცესებში, დაუღალავად ილვწოდა თეატრის მოღვაწეთა კავშირის ცხოვრებაში: აქტიურად ავლენდა ყველგან თავის მოქალაქეობრივ პოზიციას, კეთილშობილებას, გულთბილ მეგობრულ ურთიერთობებს.

ძნელია შეურიგდე ასეთი პიროვნების უდროოდ დაკარგვას.

ია დოლბაიას ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი კოლეგებისა და მეგობრების გულში.

**თეატრის მოღვაწეთა კავშირი,**
**მხატვართა კავშირი.**

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა და გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს" რედაქცია თანაუგრძნობენ პოეტ მზია ჩხეტიანს დედის

**ნინო ჩხეტიანის**

გარდაცვალების გამო.

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა, გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს" რედაქცია თანაუგრძნობენ პოეტ ზურაბ კუხიანიძეს ძმის

**გიორგი კუხიანიძის**

გარდაცვალების გამო.

**რედაქტორთა საბჭო.**

სარედაქციო კოლეგია: **თამაზ ბიბილური** (მთავარი რედაქტორის მოადგილე), **ზვიად გამსახურდია, ლაშა თაბუკაშვილი, ჯუმბერ თითმერია** (მთავარი რედაქტორის მოადგილე), **ანა კალანდაძე, ნოდარ ნათაძე, ზურაბ ფანჯიკიძე, ოთარ ჩხეიძე, თამაზ ჩხენკელი, სარბის ცაიშვილი, ბიძინა ძნელაძე, თამაზ წივწივაძე, თამაზ ჭილაძე, ელიზბარ ჯაველიძე** (მთავარი რედაქტორი)

პასუხისმგებელი მდივანი **გივი ჯოხაძე**

მორიგე რედაქტორი **უჩა შერაზადიშვილი.**



**რედაქციის მისამართი:**
**380005, თბილისი,**
**გუდიაშვილის**
**მოედანი №2**

**ტელეფონები:**

მთ. რედაქტორის მოადგილის — 99-91-89
პასუხისმგებელი მდივნის — 99-67-10
განყოფილებების — 99-72-89; 99-71-63; 99-03-65.
რედაქციაში შემოსული მასალა არ უნდა აღემატებოდეს მანქანაზე ნაბეჭდ 18 გვერდს.
მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

ლიტერატურული საქართველო

«ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО»
ОРГАН ПРАВЛЕНИЯ
СП ГРУЗИИ

**გამოდის პარასკეობით**

**ფასი 20 კაპ.**